


2-82.

73



საქართველოს მწერები



მღწინავე. ალ. მაშაშვილი.—ლენინ. ბ. ბუჩიძე.—
 საქართველოს პროლეტარულ მწერალთა მხარე ყრილობის
 შედეგები. კონსტ. ლორთქიფანიძე.—გარეუბნის უჯრედი—
 ივავ არაკი კრილოვის ფინიას შვილის შვილის შესახებ.
 ვ. ლუარსაშიძე.—შენიშვნები ბლოკნოტიდან. ს. ეული.—
 ლენინის სახელს. მ. კახიანი.—სოციალისტური მშენებ-
 ლობა და კულტურული რევოლიუცია. ილ. ხოშტარია.—
 საუბარი მოხუც კომუნართან. შ. რადიანა.—კ. კალაძე.
 დ. რონდელი.—ლიტერატურულ რევოლიუციის სახლ-
 რებთან. ალ. ხულავა.—ი. ლიბედინსკ ს შემოქმედება.
 ვ. მაქავარიანი.—სიუჟეტური სქემები თუ რეალური მასალა.
 ბიბლიოგრაფია. ქრონიკა.

საქართველი

1

საქართველი

1928



გელაძე ვიქტორ

პროლეტარებო ყველა ჰვეყნისა, შვერსდით

პროფესორული ბნაჩობა

№ 1 (13)

1928 წ.

საქართველოს პროლეტარული მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური
ბ. ბუაჩიძის, ვაკელის, ვ. ლუარსაბიძის, ლ. მაშაშვილის, შ. რადიანის და
ბ. ბუაჩიძის, ვაკელის, ვ. ლუარსაბიძის, ლ. მაშაშვილის, შ. რადიანის და
ბ. ბუაჩიძის, ვაკელის, ვ. ლუარსაბიძის, ლ. მაშაშვილის, შ. რადიანის და



1928 წ. იანვარი.

მიმდინარე წლის დასაწყისი პროლეტარული მწერლობისათვის
აღინიშნა, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, ყრილობების
ჩატარებით.

საქართველოს პროლეტარულ მწერლებს მეორე და შემდეგ
ამიერ-კავკასიის პირველმა ყრილობამ -- დამუშავა და გადასჭრა მთე-
ლი რიგი აქტუალური საკითხები, ვაკეთებულ იქნა ჯამი ორგანიზა-
ციულ-მასსიური და შემოქმედებითი მუშაობის, -- აღნუსხულ და გა-
თვალისწინებული ჯერ კიდევ არსებული ნაკლულოვანებანი.

ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია პროლეტარული მწერ-
ლის მუშაობის პირობებს; სწავლის და თვით კრიტიკის საკითხებს,
შემოქმედებითი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, პროლეტარ-
ულ მწერლობის მტრულ და თანამგზავრულ ლიტერატურულ
გარემოცვას ხელოვნების ფრონტზე და საკუთარი მხატვრული პლატ-
ფორმის დამუშავებას. ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა
პირველმა ყრილობამ საბოლოოთ გააერთიანა და შეამჭიდროვა სა-
ერთო ამოცანების და პრაქტიკულ საქმიანობის ნიადაგზე თურქი,
სომეხი და ქართველი პროლეტარული მწერლები.

აღნიშნულ ყრილობების მიერ წარსულ გამოცდილებების და-
მუშავება და საპერსპექტივო გეზის დასახვა, ძირითად საფუძვლად
უნდა დაედვას შემდეგ მუშაობას, რომელიც უნდა წარიმართოს შე-
მოქმედებითი მონაცემების გაძლიერებით, კულტურული ცხოვრების
სრულ იდეური მესვეურობის მიხვევისაკენ. ეს ერთად ერთი მთავა-
რი ამოცანაა აღმავალი და სოციალიზმის მშენებელი კლასის ლიტე-
რატურის. უკანასკნელმა ყრილობებმა გამოამჟღავნეს, რომ პროლე-

592

ტარულ მწერლობას იდეურ მესვეურობისათვის უკვე აქვს პიროველი მონაცემები, მომავალ განვითარების დიდი შესაძლებლობებით.

ქართული პროლეტარული მწერლობისათვის უკანასკნელი წლები, ლიტერატურული თვით დამტკიცებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო. მან შესძლო თანამედროვეობის ყოველდღიურ საქმიანობის აღლოს ალება და მისი დაკვეთების ნაწილობრივ შესრულება. მწერლობამ თავი დააღწია განყენებულ სქემებს, მიუახლოვდა აღმშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს და ახალი ადამიანის მხატვრული ჩვენებას. სცადა გამომეტადებდა მხატვრულ პროზაში მომუშავე ძალეები. მართალია ჯერ კიდევ არ არის შექმნილი დიდი მნიშვნელობის ნაწარმოებები, მაგრამ არსებული მონაცემები ამ სფეროში, პროლეტარულ მწერლებს მიერ წარმოებული ეხერჯიული მუშაობა, თავდება იმისა, რომ შეიქმნება თანამედროვეობის შესაფარდი მხატვრული ტილო.

პროლეტარული მწერლობის ძალთა ზრდა, მხატვრული ფაქტების ხარისხობრივი გაუმჯობესება, შემოქმედებითი მონაცემების სიზრავლე მიმართულია ახალი მკითხველის შექმნისაკენ. საქ. პრ. მწ. მეორე ყრილობამ მკითხველის შექმნას და მასთან მკიდრო კავშირის დაკერას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ამისათვის გამოიმუშავა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებებისა. ერთ-ერთი ძირითადი საშუალება მწერლობის მკითხველთან კავშირის, ბუკვდითი ორგანოებია.

ჩვენმა ჟურნალმა „პროლეტარულმა მწერლობამ“ გასულ წელს შესძლო საკუთარი სახის ჩამოყალიბება, შემოკრიბა თავის გარშემო პროლეტარულ მწერლების საუკეთესო ძალები და შექმნა თავის მკითხველთა კადრი. მიმდინარე წელს „პროლეტარულმა მწერლობამ“ კიდევ მეტი გარკვეულობით უნდა განახორციელოს თავისი პირდაპირი ამოცანები და ის პრაქტიკული მითითებანი, რომელიც დასახა მეორე ყრილობამ. მთავარია მუშათა მასსიურ მკითხველთან უშუალო კავშირის გაბმა; პროლეტარულ საზოგადოებრივობის კულტურულ ცხოვრების ყოველდღიურ მტკივნეულ საკითხებზე პასუხის გაცემა. ამ ამოცანებთან დაკავშირებით ჟურნალი სათანადოთ გადახალისებული იქნება.

ჟურნალი გარდა იმისა, რომ წარმოადგენს პროლეტარული მწერლების უახლოეს პრაქტიკას მხატვრულ მწერლობის დარგში — განსაკუთრებულ ადგილს დაუთმობს მარქსისტულ კრიტიკას, რაც არ იქნება შემოფარგლოლი მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურით, არამედ მთლიანად ხელოვნების და კულტურას ფრონტით.

„პროლეტარული მწერლობა“ სისტემატიურათ ადგილს დაუთმობს მკითხველთა აქტიურ ფენების გამოძახილს, მასთან უშუალო დაკავშირების მიზნით.

პროლეტარულ საზოგადოებრივობის დახმარებით საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო შეასრულებს თავის ამოცანას, რაც უმთავრესი გზა იქნება კულტურის ფრონტზე პროლეტარულ მწერლობის იდეური ჰეგემონიის ნისახწევით.

რედაქცია.

ლ ე ნ ი ნ

მე (დღემდე
ბრძოლის ხმით დაჭრილი პოეტი)
 ეხლა შენს სახეზე
 კვლავ ბრძოლებს ვიგონებ,
და შენი ღიმილი
 მაგონებს ყოველთვის
პატაკზე დაწერილ სისხლიან სტრიქონებს!
ლენინ, ჩენს საკმეში
ხარ ჩაუქრობელი,
 ზღვა თვალებს მზესავით
 ცეცხლები უსვრიათ,
თავი ხომ
(მსოფლიო აზრების მფლობელი)
 თითქმის უზარმაზარ
 მიწის გლობუსია!

კისერი გაჰყვირის გამურულ ქალაქებს,
ქარხნების კვამლებიც
დგებიან ხროტინით,
 ცხოვრება დასეტყვილ
 ქუსლებით გალაქეს
 და შენი მკერდივე
 სდგას ეშაქოტივით!
მოდიან გუგუნით,
მრისხანე ხმებია—
ქუჩებზე გადმოღვრილ ზღვა—პროლეტარების,
 დროშის ქვეშ დგებიან...
 და ვარსკვლავდ ბიან
 ოქტომბრის დღეებათ
 გაშლილი თვალები!

ვინ იცის:
 რამდენი სიცოცხლე იზრდება

მახვილათ დაგეშილ მებრძოლის თვალეზში,
სადაც: მოზღვავებულ სისხლიან ზეართებათ
რისხვათა ღელვაა
და ცეცხლის თარეში?
შენ დედა-მიწა ხარ საბჭოთა კავშირის
და გივლის ტანშივე
ხმა დაუშრობელი:
ორდიდო მდინარე
ძარღვებათ გაშლილი
ღონი დაუნდობი
და ვოლგა მშობელი!

ჩვენ კომუნარები
სხვა და სხვა ქვეყნიდან,
სხვა და სხვა ენის და
გზის გამომსახველნი
შევეყრილვართ შენს ირგვლივ
და ზღვა
თვალეზიდან
მზესავით ამოგვიდის შენივე სახელი!
მუდამ და
უშიშარ
ბრძოლას გვასწავლიდი,
მშრომელთა მასსების
ხარ დიდი ბელადი,
უხვია:
(რუსეთის პურის მარცვალივით)
ეგ შენი სიტყვები
და მოწოდებანი!

ყოველგან
მედგარი ბრძოლების ხმებია,
სისხლი გადაჰკივის
ზღვაზე და
ხმელეთზე,
ტყვიების, წამლების
კვამლები დგებიან
ქარხნების მიღებათ ამართულ ხელეზზე!

ბლავილით მოსულან
აზიის შფარველათ
უხეშნი ზანგებიც
და მიწას ლებავენ:
ბარიდან ბარამდე
სკდება ყუმბარებათ
ბობოქარ ბრბოების
ბრბო ამბოხებანი!

ლენინ!
უძლევია პარტიის რიგები,
ჩვენ ისევ გადამწყვეტ
ბრძოლისთვის ვუწყობით:
დღეშივე მილიონ
თვალეზში იზრდები
როგორც ბოლშევიკი
და როგორც მებრძოლი!

მეც: (დღემდე
ბრძოლის ხმით
დაჭრილი პოეტი)
ეხლა შენს სახეზე
კვლავ ბრძოლებს
ვიგონებ...
და შენი ღიმილი
მაგონებს ყოველთვის
პატაკზე დაწერილ
სისხლიან სტრიქონებს!

ლენინ!
შენს თვალეზში
კივის მხურვალეობა,
ზღვა ბარომეტრივით
მზის ტალღებს უცინის:
იფეთქებს თუ არა
მსოფლიოს ალებათ
პირველი ქუხილი
რევოლიუციის?!

ბ. ბუაჩიძე

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა მეორე კრილოზის შედეგები

საქ. პროლეტარულ მწერალთა მეორე კრილოზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. პირველ კრილოზას და მეორე კრილოზას შორის დიდი დრო არ გასულა, მაგრამ პროლეტარულ მწერლობის განვითარება იმდენად ჩქარი ტემპით წავიდა, რომ მეორე კრილოზას განსახილველად და შესაფასებლად დიდი მასალა ჰქონდა დაგროვილი. უკანასკნელ წლების პროლეტარულ მწერლობის ორგანიზაციული გაძაგრება და ჩამოყალიბება უშუალოდ დაკავშირებული არის სწრაფ შემოქმედებით ზრდასთან. კრილოზამ ხაზი გაუსვა და შემდგომი ზრდისათვის აუცილებელ საფუძვლად დასაბა პროლეტარულ მწერლობის მუშაობის ძირითადი მხარეები, როგორცაა: სწავლა, შემოქმედება და თვითკრიტიკა. სახელმძღვანელო ორგანოების საანგარიშო საქმიანობა უმთავრესად ამ ღონისძიებების განხორციელების ხარისხის მახედვით იქნა შეფასებული. ის კოლექტიური ღონისძიებანი, რომელსაც მიმართავდა პროლეტარული მწერალთა ასოციაცია სწავლის სათანადო დონეზე დასაყენებლათ, დადებითად იქნა ცნობილი. ამ მიზნით წარმოებული შემოქმედებითი საღამოები, წრეებში მუშაობა—აუცილებლად თავის მიზანს აღწევდა და როგორც სწავლების მეთოდი გამართლებული იყო.

პროლეტარულ მწერალთა ახალი კადრების მზადება უნდა ხდებოდეს მასსიურ უჯრედებში, როგორცაა კომკავშირულ მწერალთა წრეები და სხვა.

მეორე კრილოზამ აღნიშნა ის მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მონაცემები, რომლითაც ხასიათდება პროლეტარულ მწერლობის უკანასკნელი წელი. ეს მას საშუალებას აძლევს გარკვეული ადგილი დაიჭიროს ლიტერატურის სინამდვილეში, განსაკუთრებით წამოწყებანი მხატვრული პროზის დარგში. მეორეს მხრივ, კრილოზის ყურადღების ცენტრში იყო ახალი მკითხველის საკითხი. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მასიური მუშაობა, მუშა მკითხველთა წრეების დაარსება-კლუბებთან, წარმოებებთან, მუშააკებში და პარტსკოლებში, პირდაპირი საშუალებაა მკითხველის მომზადებულ კადრთა შექმნისათვის. წარსულში ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. კრილოზამ აუცილებლად სცნო რომ შესწავლილი იქნეს მუშათა მკითხველი და ვათვალისწინებული მოთხოვნილებანი, რომელსაც უყენებს ის თანამედროვე მწერლობას. მწერლების და მუშათა მასის უშუალო დაკავშირება აუცილებელია პროლეტარული მწერლობის შექმნისა და განვითარებისათვის. ეს უმთავრესი ამოცანაა ლიტერატურულ ორგანიზაციისა, რომელმაც უნდა გამოიზიაროს კონკრეტული ღონისძიებანი ასეთი კავშირის რეალურად დამყარებისათვის. ამ მიზნით, გარდა წრეების სისტემატიური მუშაობისა, შემოღებულ უნდა იქნეს მუშათა კრიტიკის საღამოები.



ყრილობამ გაარკვია რა პროლეტარული მწერლობის დამოკიდებულება არა პროლეტარულ მწერლობის სხვა და სხვა ფენებთან (მის მტრულ, მერყევ და თანამგზავრულ ნაწილებთან), დაადასტურა წარსულ გამგეობის დადგენილება და აუცილებლად სცნო საქაროველოს სინამდვილეში საბჭოთა ძწერლების ფედერაციის შექმნა. საქიროა გაძლიერებულ იქნეს მწერალთა მერყევ ფენებზე ზედგავლენა, თანამგზავრულ მიმდინარეობათა დაახლოება მათი საბოლოო გადამუშავებისათვის.

ყრილობამ აღნიშნა, რომ პროლეტარულ მწერლობას ჯერ კიდევ სუსტი გავლენა აქვს ხელოვნების სხვა დარგებზე, (თეატრი, კინო) თავისთავად თეატრი და კინოს იდეოლოგიური და მხატვრული სახე ჩამოუყალიბებელაა, რევოლიუციონური ხაზით, რის გამოც კრიზისის განიცდიან. ხელოვნების ამ ფრონტის მდგომარეობა დახასიათებელი იყო როგორც საანგარიშო ისე განსაკუთრებით ამბ. მიხ. კახიანის მოხსენებაში. ყრილობამ აუცილებლად სცნო, რომ პროლეტარულმა მწერლობამ გარკვეულ ღონისძიებებს მიწართოს, როგორც ხელოვნების ამ დარგებში თავისი შემოქმედებითი ენერჯის გადატანით, ისე კრიტიკული ბრძოლის წარმოებით, თეატრისა და კინოს მოწინააღმდეგე იდეოლოგიის, მეშინურ და ობივატელური მასის გავლენისაგან განსათავისუფლებლად. მეორეს მხრივ, პროლეტარული ხელოვნების ჩანასახების გასაძლიერებლად საჭიროდ იქნა ცნობილი, შეიქნეს პროლეტარულ ხელოვნათა გაერთიანება.

ყრილობაზე ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად იყო დასმული შემოქმედებითი მხატვრული პლათფორმის გამომუშავება. ის შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც დღეს პროლეტარულ მწერლობის საერთო ჯამში არის, საშუალებას იძლევიან გაიომუშავებულ იქნას გარკვეული სისტემა მხატვრული შემოქმედებითი პლათფორმის სახით. სათანადო მოხსენებების დასმით ყრილობაზე მოხდა აზრთა ვაკვლა-გამოცვლა; პროლეტარული მწერლობის მხატვრული მეთოდისა ანუ პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი გზების (კურსი რეალიზმზე, პროლეტარული სტილი, ახალი ადამიანის მხატვრული ჩვენება, თანამედროვე ლიტერატურული ეანრები) საკითხებზე და სხვა. მხატვრული პლათფორმის დამუშავება საკავშირო მასშტაბით ხდება. ძირითადი შემოქმედებითი პლათფორმა, პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციებს საერთო აქვთ, ხოლო მისი შემდეგი განვითარება და სრული დამუშავება უახლოვეს ხანის ამოცანაა.

ყრილობამ მოისმინა ამბ. მიხ. კახიანის მოხსენება სოციალისტური აღმშენებლობისა და კულტურული რევოლიუციის შესახებ. მომხსენებელმა ვრცელი ანალიზი გაუკეთა სოციალისტური აღმშენებლობას და დაახასიათა კულტურული რევოლიუციის სხვა და სხვა საფეხურები. მომხსენებელმა გაარკვია პროლეტარულ მწერლობის გადახრები და მისი წარმოშობის მიზეზები. ყრილობაზე აღნიშნული იქნა, რომ პროლეტარულმა მწერლობამ უკანასკნელ ხანებში შესძლო გადახრათა ლიკვიდაცია, გარდა ჯერ კიდევ არსებულ მცირე ნაშთებისა.



ამხ. კახიანიმა ხაზი გაუსვა და სათანადო პასუხი გასცა იმ-
გვირთ უარყოფით მხარეებს, რომელიც გამომქლავნდა ყრილობაზე:
როგორც იყო ერთგვარი ლიტ. ოპოზიცია კომყოფაობისა, ულტრა-
მემარცხენეობის და ორგანიზაციული კინკლაობის ნიადაგზე აღმოცე-
ნებულა.

წარსული მუშაობის შეფასების დროს ყრილობა იძულებული
იყო სათანადო ყურადღება მიექცია ასოციაციის ზოგიერთი წევრის
დემორგანიზატორულ მოქმედებისთვის. ვარდინისტული „მემ-
რ-
ცხენობის“ რეციდივს, უპრინციპობას, საერთო მუშაობის შემ-
ფერხებელ ზოგიერთ უპასუხისმგებლო ამხ. მოქმედებას, გარკვე-
ული მაჯავარი დასდო. ყრილობამ აუცილებელ საჭიროდ სცნო
პროლეტარულ მწერლების რიგების შემკიდროება, ერთიანი შეთან-
ხმებული მუშაობის წარმოება, რისთვისაც მიმართა გადაწყვეტ ლო-
ნისძიებებს, რათა უზრუნველ-ეყო მომავალი მუშაობის გვეგმიანობა
და მთლიანობა.

ყრილობამ სათანადო ყურადღება მიექცია საბჭოთა პრესაში
კრიტიკის საკითხს. აღნიშნულ იქნა კრიტიკის ერთი ნაწილის ცალ-
მხრივობა, როგორც პროლეტარულ მწერლისადმი დამოკიდებულება-
ში, ისე მისი სისუსტე საერთოდ. ამ მხრივ ჯერ კიდევ ადგილი აქვს
სათანადო მემარჯვენე განხივებს. აუცილებლად იქნა ცნობილი ბრძო-
ლა ამ მოვლენების აღმოსაფხვრელად. ბრძოლა ერთის მხრივ, რომ
პროლეტარული მწერალი შეენჯიოს სათანადო ახანაგურ კრიტიკას,
მეორეს მხრივ აღმოფხვრილი იქნეს ის მემარჯვენე თავდასხმები პრო-
ლეტარულ მწერლობაზე, რომელიც ხასიათდებიან არა ახანაგური,
არამედ მტრული მოპყრობით, გარეშე და პირდაპირი მტრის წინააღ-
მდეგ და პროლეტარულ საზოგადოებრივობისათვის დაპირდაპირე-
ბულ ლიტერატურულ საქმიანობის შეფასებაში და აღკვეთაში, კი
ხასიათდებიან იდეოლოგიური აბნეულობით და კლასიური ალღოს
სიჩლუნვით. ყრილობამ თანაბარი მნიშვნელობის საშიშროებად და-
სახა როგორც „მემარცხენე“ გადახრები, ისე სხვა და სხვა ხასიათის
მემარჯვენეობის ზედდაწოლანი. მათ წინააღმდეგ ბრძოლა პროლეტა-
რული მწერლობის გადაუღებელ ამოცანას შეადგენს.

პროლეტარულ მწერლების ყრილობამ საბოლოოდ დაამუშავა
საკითხი სხვა და სხვა ეროვნებათა ლიტერატურის ინტერნაციონა-
ლური დაკავშირებისათვის, კერძოდ: გამომუშავებული იქნა კონკრე-
ტული ღონისძიებანი ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა
იდუურ-ორგანიზაციულ შეკავშირებისათვის. საქართველოს ყრილო-
ბის შემდეგ ჩატარებულმა ამიერ-კავკასიის პირველმა ყრილობამ სავ-
სებით ჩამოაყალიბა ეს საკითხი. ამიერ-კავკასიის ყრილობა ჩატარდა
საოცარ ერთსულოვნებით. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა პროლე-
ტარულ მწერლების ინტერნაციონალურ დაკავშირებას, მათ ურთი-
ერთ გაეცნობას. ამ ყრილობაზე გამომქლავნდა, რომ ამიერ-კავკასიის
პროლეტარულ მწერლებს საერთო მიზნებთან ერთად მუშაობის სა-
ერთო პირობები აქვთ და განვითარების საერთო გზები. ეს ერთი-
ანობა კი ითხოვდა შეკავშირებას და საერთო გვეგმიან მუშაობას,



რაც ძირითადადში განახორციელეს პროლეტარულმა მწერლებმა პირველ ყრილობაზე ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შექმნით.

როგორც საქართველოს ისე ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა ახალი პერიოდის დაწყების მაუწყებელია პროლეტარულ მწერლობის განვითარების ისტორიაში. ყველა ის ამოცანები, რომელნიც დასახა ამ ყრილობებმა გატარებულ უნდა იქნეს სინამდვილეში. არსებულ მიღწევებთან ერთად, მომავალი მუშაობა შექმნის იმ პირობებს კულტურულ განვითარებაში, რომლითაც პროლეტარული მწერლობა მიაღწევს ისტორიულად კუთვნილ იდეურ ჰემონიას

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

გარეუბნის უჯრედი

სურათი

რომელ ციდან მოფრენილი შტრედი ხარ,
რომ ღულუნებ როიალთან ნელ-ნელა;
აღეჟ რაღა გომბორელო ტეტია
სათამაშო გუნდის მოსაგროვებლად.

გრომუა.

ღიხელო
ხაქარო—

ჩემს ირგვლივ
მოგროვდით საჩქაროთ.

ბიჭებო, უჯრედის სხდომა ჯერ
ადრეა ადრეა ადრეა.
გავეყოთ, რომელი ფეხმარჯვე
მიასწრებს ქედმაღალ ჭადრებთან.

არჩევანი მე-
არადანი
შენ—

ეს ბიჭი მე,
ეს ბიჭი შენ,

ლელო დანიშნეთ.

ვერ მოგართვით ბადრიტანი,
არჩევანი მე!
შენი გლახა მე რათ მინდა,
შენ წაიყვანე!

ეი, გლახას ვის ეძახი
აგრე ნუ მიცქერ
თორემ...

კმარა, რა გაჩხუბებთ
აბა დაიწყეთ!

გრომუა

ქარმუხლი კაცი ხარ
გვიჩვენე ნაქები სიჩქარე,
იციოდე თუ თუხი დაგიცდა
დაგადებთ ქონიან ნიჩაბზე.

გაჰკრეს და გამოჰკრეს კამარა,
გავარდენ

ჰოპუნა

და უცებ უივილმა დაჰთარა
ჰირქვე დამხობილი გრომუა.

სახე აელეწა და ხვნიშით
იძახის:—რამ ავახარხარათ,
ჯერ კვანტი შემიგდო ფეხებში
მერე ეს,

მერე ის იხმარა.

შემდეგი, შემდეგი ვინ არის
მუხლებში ქარული სიჩქარით!

ჯირითი გახურდა, გაფიცდა
ზედი-ზედ ლელოში ვიქრებით,
თითქოს ფოლადის ძათისგან
დაგვირისტებული ბიჭები.

იქვე დიდ მუხის ჩრდილოში, სადაც მოედნის გულია
დანარჩენები ქალებთან სიმღერით ფერხულს უვლიან.
ხან მისუსტდება სიმღერა, გულშივე გაინაბება,
ხან ისევ ზენა ქარივით წამოვა, დაგრიალდება.

გამყივანო მოდი

ჩამოჯექი თავში,

დასცხე ბიჭო დასცხე—

გენაცვალე ხმაში

თქვენ კი

ტაში

ტაში

ტაში

(გუნდი)

ერთხელ თურმე წყაროსთან

პელომ უთხრა ზაქაროს:

—თუ მდივნად არ გახდები,
არ მინდებხარ საქმაროთ.

შენმა ცქერამ სახეზე
ნაოჭები მომფინა,
ჩემი ქმარი ჯერ კიდევ
პიონერი ყოფილა.

ტყეში მუხა მოვკერი
გავაკეთე როდინათ,
გამიჩინა გენია
პარტბილეთის ლოდინმა.

დედი უპარტიო კაცს
საქმაროთ ნუ ამირჩევ,
ქადის ცხოვრით ბუხართან
ხელზე შექექს გამიჩენს.

რამიშვილმა შემოთვალა:
— წუხელ ვნახე სიზმარი,
წადით, თორემ განანებთ
ჩვენ თუ ჩამოგისწართ.

კახიანმა შეუთვალა:
— ნუ იოჯებით ამოთ,
თორემ თქვენთვის ღიაა
აქ დიდყურაა აბანო.

აზუზუნდი ფუტკარო
ჩემს საცოლეს უთხარო,
მე მუშფაკში მივდივარ
მოწყენილი ნუ ხარო.

დაირით და გიტარით
დავიარეთ მინდორი,
გოგო ერთის წამითა
სანახავათ გვინდორი.

ნააპო

ნააპო

ნაპტარია ნაპიტო—

ანარიას ბიჭებო

სად არიან

ქალები!

მეიმავრენ სხვა უჯრედს,

დადგომიათ თვალები!

ახალგაზრდობავ, სიცოცხლის დაუშრეტელო თასებო,
ჯანით ფხიანხო; მუდამ ეამს აღფრთოვანებით საესენო,
ერთხელ რომ მოხვალ შემდეგაც რატომ არ განმეორდები,
სანამ ახმაურდებოდეს სამარის ცივი ლოდები.

აგრე ძალუმათ ძარღვებში რა მოთქრიალებს ხმაურით,
ეს ხომ ძნელადის სისხლია ყოველ ჩვენგანში ჩარწყული—
თქვენ შეგემატოს ბიჭებო რაც მას სიცოცხლე დააკლდა,
ინარეთ, მეც გამახარეთ მტრებისა გულმოსაკლავად.

მზე მთების იქით ჩავარდა, ცეკვა თამაში ვათავდა
მეც ბევრი ვიმხიარულე იქ ერთმა იმათოგანმა.

ტფილისი
1928 წ.

კონსტანტინე ლოკთქიჯანიძე

იბავ-არაპი კრილოვის ფინიას ფვილის ფვილის ფესახებ

რადგანაც სიტყვამ მოიტანა, გთხოვთ ნუ გამეციქვავთ,
რო შოგახსენებთ თქვენ ფინია-ძაღლის შესახებ.
დიდ ყინვების დროს—ო ის წუთი რათ არ დაიქცა—
გაძვალეებული ჩამოვისახლე.

დარაჯათ მიდგა. მას, აღტურვილს ძაღლის თვისებით
შეუსაბამო საქმეს ხომ არ დავაფალებდი?!
შემომხედავდა, როცა პურის ნატებს მიეცემდი
დაწყლიანებულ ვიწრო თვლებით.

ვცხოვრობდით მშვიდად. სალამო ეამს ხან ჩემს მუხლებთან.
გარინდღებოდა ფეხმორთხმული ძაღლური თვლებით;
ხან ფანჯარასთან გაჩერებულ მთვარეს უყვებდა
და მაწონებდა თავს კულის ქნევით.

ტანით დამრგეალდა, გასუქდა და იწყო ყბედობა.
ქერქის მაგიერ მოითხოვა რბილად სახრავი,
და ითაკილა ჩემი სახლის მეთვალეობა,
თუმც არ გააჩნდა ნიჭი სხვა რამის.

ეს, რალა ბევრი გავაგრძელო, თან-დაყოლილი
ავი ზნე უფრო გააღრმავა ბოლო ხანამდე,
ჭირვეულობდა მელიოგინე ავათყოფივით
დალაშებიდან განთიადამდე.

გამომდინარე შედეგები უკვე ცხადია,
ვერ შემითვისდა და ზამთარი როცა ვათავდა,
ძაღლმა—რომელიც ვზარდე ერთი წელიწადია—
იხელთა დრო და გაჰჭრა თვალთავან.

ორხელ თუ სამხელ მოვიკითხე ამხანაგებთან
და მერე მივეც დავიწყებას ესე ამბავა,
...წუხელ ქალაქში წვიმა—ნისლის დაბანაკებამ
მომცა ფინიას ნახვის საბაბი.

კის ქვეშ მომისწრო შუა ღამით შხუილა წვიმამ,
ჩამოვისაფრე დერეფანი მახლობელ სახლის.
ის იყო თმები გავისწორე რომ უცებ წვივთან
გაშმაგებული მემგერა ძალი.

არ მომასვენა, წამოვედი, მომსდევს ყფითა,
გზა გადმილობა... და მერე ვინ... ჩემმა ფინიამ!
ყოველ ნაბიჯზე შეჩხირება, გადამეკიდა
და ცდილობს კიდევ გამკრას კბილი მან.

რა უნდა მექნა? ძალს ხომ მონის ხასიათი აქვს,
ერთს დაუყვავებ, პურს მიუგდებ და გააჩუმებ,
მაგრამ ვიფიქრე:—მე ვინ მომცემს ხვალ გარანტიას,
რომ ყფით არ მთხოვს კიდევ საჩუქრებს.

და მივმართე ჩემს პურ-მარაოზე გასუქებულ ძალს:
—იყფე გლახავ, იყფე და გული იჯერე,
იკოდე ერთხელ გადაწყვეტით ამორჩეულ ვხას,
მაგ ძალღურ ყფით ვერ შემიჩერებ.

ტფილისი.
1928 წ.

3. ლუკსაზიძე

შენიშვნები ბლოკნოტიდან

1

კომუნისტების ერთ ავტორიტეტულ კრებაზე (კომაკადემიაში) ამხ. პრეობრაჟენსკის მიერ გასროლილ იქნა ფრთიანი ფრაზა—„საბ-
ქოთა კულტურის კრიზისის“ შესახებ ამ ფრაზას სერიოზული ყურად-
ღება უნდა მიექცეს, ვინაიდან იგი შემთხვევითი არაა, ლოგიურ აუ-
ცილებლობით მოიმართება პრეობრაჟენსკის ეკონომიურ თეორიიდან
და შეხედულებათა იმ სისტემიდან, რომლის მიხედვითაც სოციალი-
სტური მშენებლობისათვის დამლოჰველია ის ტიპი, რომლითაც ჩვე-
ნი სამეურნეო და კულტურული მშენებლობა ისაზღვრება. რას ნიშ-
ნავს „საბქოთა კულტურის კრიზისი“? ამხ. ვ. კერინის სწორი შე-
ნიშვნით, — სოციალიზმისათვის გაშლილი ბრძოლის ერთ-ერთ მნიშ-
ვნელოვან და მძიმე ფრონტზე მუშათა კლასის დაშარცხებას—რეალუ-
რად არსებობს თუ არა აღნიშნული „კრიზისი“? ფაქტია თუ არა
ჩვენი კულტურული ზრდის შეჩერება? ჩამოვრჩით თუ არა კულტუ-

როდეს მშენებლობაში ჩვენი მშენებლობის სხვა დარგებს? ორგანიზაციის სუბი არ შეიძლება არსებობდეს, რასაკვირველია არა.

ორი წელია, რაც ებრძვის „მემარცხენე“ უმცირესობა ვაპპის უმრავლესობას. ლეღეიანი ჯამს უკეთებს ამ ბრძოლას, როდესაც სა-რატოვის ურ. „Коммунист. Путь“ (№ 21—22) პანიკორულ მოსახ-რებათა სისტემას იძლევა: „ამხ. პრეობრაჟენსკის სიტყვას საბჭოთა კულტურის დაცემულობის და კრიზისის შესახებ მთლიანად ვეთან-ხმები... კულტურულ ფრონტზე ბურჟუაზიული შეტევა მთელი სიძლიე-რით იშლება... ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაწოლა პროლეტარულ მწერლობაში გადაგვარებით პოზიციებს აჩენს... უფლება გვაქვს ვილაპა-რაკოთ საბჭოთა კულტურის კლასიურ შინაარსის კრიზისზე“ და სხვ. ნადება „კრიზისის თეორია“ რაღაცა „საბჭოთა კულტურის“, (!) პრო-ლეტმწერლობის კლასიურ გადაგვარების და ა. შ. რაც თეორეტიულ-პრაქტიკულად ეწინააღმდეგება ნაპოსტოველობას. ვაპპის უმრავლესობა ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ უმცირესობის „მემარცხენე“ ფრაზებს ქვეშ იფარება პოლიტიკური პანიკორობა დაცემულობას-თან და პროლეტმწერლობის ძაღების შეუფასებლობასთან დაკავში-რებული. ნაპოსტოველებისათვის პროლეტარიატის დიქტატურასთან პარალელურად არაპროლეტარულ იდეოლოგიის გაბატონების შესა-ძლებლობა შეუძლებელია, ყოველად წაომოუდგენელია ნაპოსტოველო-ბის (ბრძოლა პროლეტარიატის კულტურულ გეგმონიისათვის) კრი-ზისის თეორიასთან, ტროცკიზმთან შეთავსება, ვინაიდან ზოგადათ რომ გამოვთქვათ „ამა თუ იმ ეპოქის გაბატონებული იდეები ყოველ-თვის მხოლოდ გაბატონებულ კლასის იდეები იყო“; ნუ თუ ძნელი გასაგებია, რომ აღამაანთა ცხოვრების პირობებთან, სოციალურ ურ-თიერთობასთან და მდგომარეობასთან ერთად მათი წარმოდგენა, მათი აზრი და ცნებანი—მთელი მათი შეგნება იცვლება.

როგორც ყოველთვის ხდება ცნობილ „კრიზისის თეორიას“, ეკლექტიურ „კონცეპციას“ ჩვენშიც გამოუჩნდა ახალგაზრდა მიმდევ-რები. ათჯერ გამოცხადებულ და ერთხელ ძლივს შემდგარ „დისპუტ-ზე“ ეს გაბატონები ისტერიულად სლოკინობდენ ქართულ ლიტერა-ტურის ყველა მიმართულებათა შემოქმედებით კრიზისზე და ხსე-მართალია ჩვენი უპრინციპობები განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერა-ტურით კმაყოფილდებიან, ისიც მხოლოდ მისი „შემოქმედებით“ მო-მენტით (შემოქმედებითი კრიზისი იდეოლოგიურ კრიზისის გარეშე არ არსებობს!), მაგრამ ობიექტიურად „კრიზისის თეორიას“ არიან შერჩენილი. ჩვენის დაკვირვებით „ქართულ ლიტერატურის ყველა მიმართებებში ადვილი აქვს არა კრიზისს, არამედ ქართველი მწერ-ლის იდეოლოგიურ-ლიტერატურულ გამორკვევის პროცესს: ნაწილი უკვე თანამგზავრულ ტენდენციებს შლის, რიგი სმენავებოვურ ლიბე-რალიზმს, ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ „თავი-სუფლებათა“ განწყობილებებს, გაჩუმებულთა წყება კი—ძალზე უმ-ნიშვნელოა. ასე, რომ არავითარ კრიზისთან არა გვაქვს საქმე, არა გვაქვს საფუძველი „საბჭოთა კულტურის“, მწერლობის კრიზისზე ვილაპარაკოთ. განსაკუთრებით კი პროლეტარულ მწერლობაზე. რა-



საკვირველია ზრდაში მყოფ პაროლემწერლობის წინაშე დიდი სიძინე-
 ლეები, აქვს ადგილი იდეოლოგიურ-მხატვრულ გადახრებსაც (ზრდის
 ტკივილები), რაც ფრთიანი ფრანგებით სწავლითაცის საჭიროების
 საბაზს როდი იძლევა. წარსულ წლებთან შედარებით, რომ პაროლემ-
 მწერლობა მტკიცე იდეოლოგიურ-ლიტერატურულ პოზიციებზე სდგას,
 გამოსულია გეგმონისათვის ბრძოლის ფართე გზაზე, იპყრობს მა-
 სიურ მკითხველს და სხვ.—ფაქტია, რასაც ამტკიცებს გასული წლის
 ლიტერატურული პროდუქცია და მიმდინარე საზოგადოებრივ-ლიტე-
 რატურული პროცესები. გასულ საანგარიშო წელში სერიოზული
 ლიტერატურული ძვრები სწარმოებდა, პაროლეტარულმა მწერლობამ
 გარკვეულად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ლიტერატუ-
 რულ სინამდვილეში და იდეურ-ლიტერატურული ავტორიტეტის
 შეუზღრებელი ზრდის ნიშნის ქვეშ მიიძარბება. მოცემული მომენტი
 ავტორიტეტულად აღინიშნა საქ. კ. პ. (ბ) მე-1-ე ყრილობაზედაც,
 როდესაც ამბ. მიხ. კახიანი (ცეკა-ს საანგარიშო მოხსენებაში) გან-
 ცხადა: „ჩვენ უკვე მივალწიეთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც პარო-
 ლეტარული მწერალი მხატვრულ ლიტერატურაში პირველ ადგილს
 იკავებს“ და ა. შ.

ჩვენ ფართე ფრონტი ვმოძრაობთ წინ... კულტურული რევი-
 ლიუციის გზებით ზრდაში მყოფ სოციალისტური ეკონომიკის სა-
 ფუძელებზე. ასე, რომ ლაპარაკი ყველა მიმართებათა შემოქმედებით
 კრიზისზე გამოწვეულია რუ' ვთიდაა „თეორიის“ ქართველ დამთრე-
 ვის დილექტანტური უმწეობით.

2

მეორე მხრივ გესურს ხაზი გაუსვათ ე. წ. *литературная любитель-*
щина-ს და მახინჯ ლიტერატურულ პოლიტიკის რეციდივს. მოცე-
 მულ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების ობიექტი გ. მუშიშვილის გადა-
 მუშავებული სტენოგრამაა — „თანამედროვე ლიტერატურის ვითარე-
 ბა“ (იხ. გ. წ. „მნათობი“ № 11—12). სტენოგრამას სრულეებით არ
 შეეცხებოდით, რომ „კამათის ფარგალს“ არ გასცილებოდა. მაგრამ რად-
 განაც სტენოგრამა წერილის საბით დიდ ტანიან ჟურნალშია მოთავსებუ-
 ლი დ უკვე ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელსაც შეუძ-
 ლიან არაკვალიფიკაციურ მკითხველის შეცდომაში შეყვანა, ამიტომ იძუ-
 ლებული ვართ „თანამედროვე ლიტერატურული ვითარების“ ლიკვი-
 დატორულ ხაზზე მიუთითონ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს... (და განა
 მარტო მათ!) გ. მუშიშვილი პაროლეტარულ მწერლობას თითქმის ვერ
 ამჩნევს და წერილიც ამ გეგმითაა აგებული. ავტორი უმთავრესად
 ე. წ. „ქართულ მწერლობას“ ეხება და თითქმის ყველას საეჭვო ქა-
 ლდლზე დაბეჭდილ თანამგსავრობის პასპორტებს ურიგებს: მაგალ-
 ტიცთან ტაბიძეში დიდი ვარდატეხა მომხდარა, ვინაიდან ყოვლად
 უმნო და მთლიანად ყალბი სტრიქონები დაუწერია:

„ვინ დახრის დროშას მალალ ტარიანს
 როცა ის მოაქვს პაროლეტარიატს“...



სხვათა შორის მუშიშვილმა ამ 100% ხალხურის წითელ ღირსებაზე ლოზუნგად მოთავსებაც კი მოითხოვა, თუ არ ვცდებით გასულ წელს, ასოციაციის გამგეობის მარტის გაფართოებულ პლენუმზე. მერე რა უყოთ, შჩედრანმა სთქვა: „Кому конституция правится, а кому севрижина с хлебом“. ჩვენ ყოველთვის ვწერდით, რომ ტ. ტაბიძის შემოქმედების ანალიზი გვაჯერებს იმაში, რომ მისი თანდროულობისადმი დაახლოება ოპტიკური მოტყუებაა; ამას მისი ყოველი ფაქტი (ანტროპოლოგიური, დაცემულობის, რეტროგრადული, ბანალური და სხვ.) გვაჯერებდა და გვაჯერებს. იხილეთ თუნდაც მისი „მოსკოვი“, ყოველად ბანალური ლექსი, რომელიც ასე თავდება:

„ჩვენ ძველი დაგვრჩა მაინც სინდისი
და სიყვარულით გულში მოგვცდებით“.
(„ქართ. მწერლობა“ № 11—12).

ჩვენი ჟურნალის ოქტომბრის №-ში ვწერდით, რომ „არსებობს რიგი მწერლების, რომელნიც სცდილობენ ოქტომბრის მონაპოვარნი თანამედროვე მეშინის და აქტიურ ობიექტელის ინტერესებს და გემოვნებას დაუჯავშრონ“. ამ კატეგორიაში მოვაქციეთ, სხვათა შორის, გრიგოლ ცეცხლაძეც; ანალოგიურადვე შეაფასა ცეცხლაძის „მოღვაწეობა“ ანბ. კახიანიძაც. მუშიშვილი კი გამოდის და მეცენატური გულშეპყრობით აცხადებს—„ეს არ იქნება სიმართლეო“. როგორი იქნება „სიპართლე“? ვერც თვითონ ამბობს და პრიმიტიული ფრაზებით მკითხველი გაუგებრობაში... უკეთ განცვიფრებაში შეჰყავს, ამას „ლიუბიტელჩინა“ ჰქვია და არა ლიტერატურული კრიტიკა, რაზედაც სტენოგრაფის ავტორს ალბად პრეტენზიები აქვს. არაა სწორი მისი მოსაზრებანი ვარლამ რუხაძეზე, მიხ. ჯავახიშვილზე, ე. წ. „ფუტურისტებზე“ და სხ.

დასასრულ: ჩვენ გვინდა მოვხაზოთ ამ სტენოგრაფის ლეიტ-მოტივი. შესაძლებელია მისი დომინანტაც: ობიექტიურად ისე გამოდის (შესაძლებელია ავტორს ეს არ სურდეს), თითქოს მთელი ქართული მემარჯვენე ლიტერატურა მემარცხენდება, ხოლო პროლეტარული კი—მემარჯვენდება. მით უმეტეს, რომ ავტორი პროლეტარულ მწერლობაზე სრულებით არას ამბობს, სწერს მხოლოდ პროლეტარულ მწერლობის ორ წარმომადგენელზე, ისიც გადახრების მატარებლებზე (რაქდენ და კარლო კალაძეები). ეს კი **ობიექტურად** ლიკვიდატორული ლიტპოლიტიკაა პროლეტმწერლობის მიმართ, რაც ყოველად დაუშვებელი მოვლენაა.

მეშინი მრავალსახიანია. იგი არავითარ სამოსს არ იწუნებს. ჩვენი ამოცანა ამ სამოსის ჩამოხსნა იქნება. ის „ულტრა-მემარცხენე რევიოლიუციონერის“ სამუშაო ბლუზა, „მოხერხებულ“ რეკლამისტის საბჭოთა პიჯაკი, სმენაივხოველ პროფესორის სწავლული სერთუჯი, რომელიმე გაბრწილ კორენკოვის გულმოდლელი ტოლსტოვა თუ



იმედ დაკარგულ „ურწმუნოს“ ტყავის ქურთუკი... ამხ. ვ. ერმილოვის მიერ მეშჩანის ეს კლასიკური განსაზღვრა გაგვახსენდა, როდესაც გადავათვალეირეთ ლ. ესაკიას ბროშიურად გამოცემული ბიბლიოგრაფია— „მემარცხენეობის მემარცხენეობა“. ამ რეცენზიას „დიდი“ ისტორია აქვს, ბევრი წვალემა გადიტანა, მოიარა ყველა თურნალ-გაზეთები და ვერსად ვერ ელირსა დასტამბვას. აილო ავტორმა და თვითონ გამოსცა.—რასაკვირველია, რეცენზიაზე არ შევჩერდებით, ვინაიდან ზედმეტად მიგვაჩნია, მოკლედ კი ვიტყვი: ეს ძმაბიჭური რეცენზია ხალტურის, დაცემულობის და იდეოლოგიურ გაუგებლობის აპოლოგიაა.

ვიმეორებთ, ამხ. ერმილოვის ზემოდ მოთავსებული სტრიქონები მოგვაგონდა, როდესაც ლ. ესაკიას ნახელავს გადავხედეთ.

სანდრო ეული

ლენინის სახელს

ლექსი შეათე

დრო ჩანთქავს ყოველს და დაგვაფიწყებს,
დროში ყოველი ჩაიფერფლება:

დრო აქრობს ძველსა და ახალს იწყებს
და ამას ქვია ჩვენი ცხოვრება.

არ კვდება მხოლოთ აზრი მზიური,
სანამ მზე მზეობს—გვენთება ცეცხლათ,
სანამ ჩვენ ყველას ერთი გვაქვს გული,
ლენინის გულთან რომ ძგერდა ერთათ.

განა სიკვდილი წაშლის მის სახელს
გული მთლიანათ რომ უკავია,
ერთი მიზანი რომ დავისახეთ,
მისი დროშის ქვეშ უნდა ვიაროთ.

არ მიწერია, ლექსი არასდროს,
რომ არ ქონოდა ბოლო—სტრიქონი,
ლენინზე ლექსებს არა აქვს ბოლო,
ასეთ ლექსებში ვარ სტიქიონი...

რა გადურჩება საუკუნეებს,
რამდენს სიცოცხლე ჩაეფერფლება,
მაგრამ ლენინის ბრწყინვალე სახეს
შუქს მოჰფენს მუდამ მზე—უკვდავება.



მიხ. კახიანი

სოციალისტური გზენებლობა და კულტურული რევოლუცია *)

პროლეტარული ხელოვნება

პროლეტმწერლობის ავტორიტეტის წრდა

რაც შეეხება ჩვენს მუშაობას პროლეტარულ მწერლობასთან, აქ საინტერესოა ვიციოდეთ, თუ როგორი ამოცანები დავისახეთ ამ დარგში და როგორი მიღწევები გვაქვს საქართველოში ამ ფრონტზე?

მე უნდა ვთქვა, რომ როგორც საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში, ისე აქაც, საქართველოში ჩვენ გვაქვს განსაზღვრული წარმატებანი და ეხლა პროლეტარული მწერალი, მე ვტყვობი, ისე როდი ფასდება, მას ისე როდი უცქერიან, როგორც უწინ. განსაკუთრებით საქართველოში ვხვდებით ბურჟუაზიულ მწერლებს აზრს, რომ რას წარმოადგენს პროლეტარული მწერალი, ის არაფერს არ სწერს, არავითარი პროდუქცია მას არ გააჩნია, ის მხოლოდ ატარებს მწერლის სახელს და დიდი ფანჯანა უნდა ჰქონდეს კაცს, რომ წარმოიფხინოს, რომ ეს პროლეტარული მწერალი როდისმე შესძლებს ჰეგემონი გახდეს ლიტერატურის დარგში.

ეხლა სურათი შეიცვალა, მდგომარეობა გამოკეთდა და ეს ბურჟუაზიული მწერალი უკვე იმას უყურებს, თუ რას იტყვის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, როგორ დადგენილებებს გამოიტანს, როგორ მიღწევებს აღნიშნავს ლიტერატურის დარგში და სხვ ყოველივე ეს უკვე მოწმობს იმას, რომ ჩვენ თანდათან ვანბორცივლებთ იმ ამოცანას, რომელიც დასაბა პარტიამ. ეს, რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნაკლი არა გვაქვს, სწორედ დღეს მე მიინდა უფრო ვილაპარაკო ჩვენ დეფექტებზე და არა ჩვენს მიღწევებზე, ვინაიდან მიღწევებს ყველა ხედავს, ისინი გამტკიცებულა და მათ ვერაფერ ვერ წაგვართმევს. რაც შეეხება დეფექტებს, ისინი რაც შეიძლება უფრო ხშირად გამოვამყარავთ, რაც შეიძლება უფრო ხშირად გავამართავთ, რათა ისინი შემდეგში აღარ განმეორდეს.

ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ

მე უნდა ვთქვა, რომ ისეთ ჰეგემონიაში, როგორც საქართველოა, უფრო უნდა გვეზინოდეს ნაციონალისტური განწყობილებების. რომ ეს განწყობილებები არ შეიპაროს პროლეტარულ ლიტერატურაში, ვინაიდან ეს სრულებით არ ვარგა. მე ერთ კრებაზე, ზგონი კომკავშირის კრებაზე, შევეხე ზოგერთ ჩვენ პროლეტარულ მწერლებს, რომლებიც აკყენენ ნაციონალისტურ განწყობილებას და ისე სწერენ. როგორც შეუძლია სწეროს საერთოდ ყოველმა ნაციონალისტმა მწერალმა. მე დავასახელებ კარლო კალაძე და მაშაშვილი, ჩვენი ახალგაზრდა, საკმაოდ ნიჭიერი პოეტები აი სწორედ ეს კარლო კალაძე სწერდა, რომ საჭიროა საქართველოში გადმოვასახლოთ ფერეიდანელი ქართველები. სადღაც საპარსეთში სცხოვრობენ ქართველები, რომლებიც დიდი ხანია აქედან გადასახლდნენ. და აი პროლეტარული მწერალი ვერ პოულობს სხვა თემას, გარდა იმისა, რომ მიმართოს მათ და

*) ამხ. მიხ. კახიანის მოხსენებიდან — საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე

რ ე დ.

მოიწვიოს ისინი საქართველოში. ამ ლექსს აქვს ასეთი მყვირალა სათაური „ძახილი ალმასავლეთს“. შეიძლება და გვეუქტა, რომ პროლეტარული მწერალი მიმართავს ალმასავლეთის ჩაგრულ მასებს, მიმართავს ჩინეთის მუშათა და გლეხთა მასებს და გვიხატავს ჩინეთის რევოლუციას. ეს იქნებოდა საესებით შეხმატკბილებული ჩვენი რევოლუციის მოტივებთან, მაგრამ, რატომღაც კარლო კალაძემ ამოიჩინა სულ სხვა თემა. ის მიმართავს ფერეიდანელ ქართველებს ვინაიდან ეს ხალხი, როგორც ის თითონ გვიხსნის, „სისხლით და ნათესაობით“ ქართველებია. ეს, ამხანაგეთა, უკვე ნაციონალისტური გადახარა, რომელიც სრულებით არ შეგვენის პროლეტარულ მწერალს.

მეორე ადგილას, მეორე მწერალმა... არა პროლეტარულმა, არამედ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტურად განწყობილმა პოეტმა პაოლო იაშვილმა, როგორც სჩანს იმ მიზნით, რომ ესიაშვილებია ჩვენი მთავრობისათვის, სთქვა, რომ საკიროა ლახისტანში შეიქმნას ალმასკომი და თავუდომარედ იქ იყოს ფილიპე მახარაძეო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ყველგან ალმასკომის თავუდომარედ ვნებადვდეთ ფილიპე მახარაძეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იაშვილმა ეს ფრაზა მიტომ წამოისროლა, რომ სურს ცოტათი გააფართოს საქართველოს საზღვრები, რახტდაც ის და მისი მეგობრები უწინაც ოცნებობდენ—ცარიზმისა და მენშევიზმის ხანაში. ასეთმა ნაციონალისტმა ბუნებრივად იჩინა თავი იაშვილის სიტყვებში და ის გაიმეორა კარლო კალაძემ.

ებლა, ამ ყრილობაზე მე წავეკითხავ რამოდენიმე ლექსს, რომლებშიც ადგილი აქვს „გადახარას“, მაგალითად „თბილისი“.

„და თუ თბილისის სიყვარულმა ბევრი მოკლა,
მშობლიურ მიწის რაინდებთან ვდგები მხარდამხარ!...
ჩვენ მასთან ერთად ვწამებულვართ,—
სისხლით და ხორციით.
მასთანვე იყო, თუ ოდესმე გაგვიხარია...
თბილისო მოვალთ.—და ერთმანეთს უამბოთ ისევ
„თუ რაოდენი მწუხარება დაგვიმარზია“.

(კ. კალაძე. თბილისი. რჩეული ლექსები. სახელგამი. გვ. 63-65.)

აქ ისევ ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა დაეუბრუნდეთ მშობლიურ მიწას და მხარში ამოუდგეთ წარსულის რაინდებს. აქ ისეთი რამეებია, რომლებსაც არაფერი არა აქვს საერთო პროლეტარულ პოეზიასთან.

ა. მაშაშვილის ლექსი--„გარდატეხა“.

„ქუხათ ზეტრალს დავეჩვიე მე უბედურო,
სამშობლო მიწა და სახლ-კარი ჩემთვის არ არის...
ბევრი დამცინის, ბევრი მაქებს, ბევრი მემდურის,
რადგან ეს გული წავია, ვით ლანდი სამარის“...

(აღიო მაშაშვილი. გარდატეხა, ლექსები. სახელგამი. გვ. 63).

ზომ ზედავთ, როგორი პესიმისტური განწყობილებით არის შეპყრობილი ეს ახალგაზრდა პროლეტარული მწერალი და სრულიად უადგილოდ. მას არ გააჩნია არც მშობლიური მიწა, არც კერა და დანის ასეთი სვედით შეპყრობილი. ეს, რა თქმა უნდა, მე ზიტომ კი არ მომეყავს, რომ გავლანძლო ამხ. მაშაშვილი, მე იმას ვაფასებ, როგორც პროლეტარულ მწერალს, მაგრამ ვამბობ, რომ ასეთი შეცდომები უნდა გამოსწორდეს.

აი კიდევ მაგალითი:

თქვენ, პოეტებო, თუ სწერთ ქართულად,
თუ ჩსურთ რეკავდეს სიტყვა ქართული,
იმის წაქცევას ვერვიც ვაბედავს
ის ურყევია, ვით საქართველო.

(ლექსები, გვ. 73).

პროლეტარულ პოეტის ასეთი „მდიდარი“ ლექსიკონი და ასეთი სტილი შეუძლებელია ვინმეს შეშურდეს. ქართველი, ქართულად, საქართველო და შემდეგ კი არავითარი სახეები, არავითარი პერსპექტივები...

ახალგაზრდობას ამ ლექსების წაკითხვა სწყინს, მაგრამ ავიღოთ ცოტა უფროსი ხალხი, ვინაიდან ისინი ფიქრობენ, რომ უცოდველი არიან. არსებობს ასეთი პოეტი—ქუთათელაძე სამსონიძე. ის რატომღაც სწერს „შეგ ლექსს“.

ჩვენ სამარეს ვამზადებთ ბურჟუაზიისათვის, ამ ლექსში კი არის გულგატეხილობა და პესიმიზმი, რაც არ შეეფერება პროლეტარულ პოეტს.

ებლა უკანასკნელი ლექსი—ეს ენება სანდრო ეულს. ის სწერს „ოქტომბრის მარშს“ და აი ასე ამთავრებს:

და შევლებოთ
ცეცხლის ფერით
ყველაფერი!
ერთი, ორი!
ერთი, ორი!
თანაწორი—
ყოფნა ერთად
გწამდეთ ღმერთად!“

(სანდრო ეული. ოქტომბრის მარში. ლექსები. სახელგამი გვ. 22).

ამს. ეულს სრულებით არ უყვარს ღმერთი, ის ანტირელიგიურად განწყობილი კაცია, მაგრამ როდესაც სწერს „ოქტომბრის მარშს“, ის რატომღაც ფიქრობს, რომ ღმერთთან უფრო უნდა იყოს დაახლოებული.

არც ფორმით, არც შინაარსით ასეთ ნაწარმოებების გამართლება არ შეიძლება, არამედ უნდა შევეცადოთ, რომ რაც შეიძლება მალე აღვეკეთოთ ასეთი მოვლენები ჩვენს პროლეტარულ ლიტერატურაში.

პროლეტარიატის დიქტატურა და ნაციონალური კულტურა

როცა მე ვლაპარაკობ იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ნაციონალისტურ განწყობილებას და მიმდინარეობებს და უნდა გავაძლიეროთ ჩვენი პოზიციები ინტერნაციონალიზმისათვის ბრძოლაში, ვინაიდან აქ არის მენშევიზმის, მუსავატიზმის და დაშნაკების წყველი მემკვიდრეობა,—ამით მე სრულიადაც არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენთვის არ არის საჭირო ეროვნული კულტურის განვითარება. არიან ზოგიერთი, ეგრედწოდებული „მემარცხენეები“, რომლებიც სთვლიან, რომ ნაციონალური კულტურის განვითარების ღონისძიებას უარყოფაა. თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ გვყავდა ვარდინი, რომელიც არქი-მემარცხენედ ითვლებოდა ლიტერატურაში და პარტიასშიც მან დააკანონა თავისი „მემარცხენეობა“, მოექცა რა პარტიის-გარეშე. ის არა ერთხელ ამტკიცებდა, რომ ეროვნული კულტურის ღონისძიება—თავიდან ბოლომდე რეაქციონური ღონისძიება, რომ ეროვნულ კულტურის შესახებ ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუშვებელია, ვინაიდან ეს ღონისძიების უარყოფაა. სწორედ ესვე განიმეორა ჩვენმა ნაცნობმა ვაგახანმა, რომელმაც დასწერა სპეციალური წიგნი „ეროვნულ კულტურის“ შესახებ, რომელშიც ის ილაშქრებს სტალინის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ეროვნულ კულტურის ღონისძიება ნასესხებია მენშევიკებისაგან, ოტო ბაუერისა და ნოე ჟორდანიასაგან.

მართალია თუ არა ეს? რასაკვირველია, ეს სრულებით არ არის მართალი. როცა წინად ღენინი გამოდიოდა ამ ღონისძიების წინააღმდეგ, მას შეეძველობაში ჰქონდა სრულიად სხვა პირობები, როცა ერები ვითარდებოდნენ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეროვნულ კულტურაზე ლაპარაკი მაშინ ნიშნავდა მემამულეების, ხუცების, ბურჟუაზიის კულტურაზე ლაპარაკს. ჩვენს პირობებში კი ეროვნულ



კულტურაზე ლაპარაკი ნიშნავს იმ მუშებისა და გლეხების კულტურაზე ლაპარაკს, რომელთაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასის ავანგარდი—კომუნისტური პარტია.

პირობები ძირბუდიანად შეიცვალა. ეს ზოგიერთებს არ ესმით და ამიტომ წინააღმდეგობებში ვარდებიან.

აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. სტალინმა შემდეგნაირად დაახასიათა ეროვნული კულტურა:

„რა არის ეროვნული კულტურა? როგორ უნდა შევათავსოთ ის პროლეტარულ დიქტატურასთან? განა ლენინი ჯერ კიდევ ომამდის არ ამბობდა, რომ ჩვენ გვაქვს ორი კულტურა—ბურჟუაზიული და სოციალისტური, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი არის ბურჟუაზიის რეაქციონერი ლოზუნგი, რომლის მიზანია მშრომელთა შეგნების მოწამელა ნაციონალიზმის შიშით? როგორ უნდა შევათავსოთ ნაციონალურ კულტურის შენება, სკოლების და კურსების განვითარება მშობლიურ ენაზე და ადგილობრივ ხალხისგან კადრების მომზადება სოციალიზმის აღმშენებლობასთან, პროლეტარული კულტურის აღმშენებლობასთან? არის თუ არა აქ რაიმე გარდაუვალი წინააღმდეგობა? რასაც პროლეტარული კულტურა, არამედ ფორმას აძლევს მას. ეროვნული კულტურის ლოზუნგი იყო ბურჟუაზიული ლოზუნგი, სანამ ხელისუფლების სათავეში იდგა ბურჟუაზია, ხოლო ერის კონსოლიდაცია ხდებოდა ბურჟუაზიულ წესწყობილების პირობებში. ეროვნულ კულტურის ლოზუნგი პროლეტარული ლოზუნგი გახდა, როცა ხელისუფლება სათავეში ჩაუდგა პროლეტარიატი და ერის კონსოლიდაცია ხდებდა საბჭოთა წესწყობილების პირობებში. ვისაც არ ესმის ეს პრინციპიალური განსხვავება ორ სხვადასხვა მდგომარეობას შორის, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ლენინიზმს, ვერც ეროვნულ საკითხის ბუნებას ლენინიზმის თვალსაზრისით“.

აი რას ამბობდა ამხ. სტალინი ჯერ კიდევ 25 წელში. ის იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებოდა ამ საკითხს დისკუსიის დროს, როცა ოპოზიციამ ასტემა ხმაური ეროვნული კულტურის საკითხის გარშემო.

ცეკას აგვისტოს პლენუმზე ზინოვიევიმ გაკერიტ სიტყვა, რომ თუმცა ის არ ეთანხმება ვაგანიანს საესებით, მაგრამ იმავე დროს სცნობს რომ ვაგანიანი უფრო მართალია, ვინც ყველა ისინი, რომლებიც იცავენ ეროვნულ კულტურის ლოზუნგებს. ამხ. სტალინმა კვლავ გარკვევით გამსაზღვრა ეროვნული კულტურის ცნება: „ბურჟუაზიის ბატონობის გამოქაში ეროვნულ კულტურის ლოზუნგს ჩვენ ბურჟუაზიულ ლოზუნგათ ვსთვლით. რატომ? იმიტომ, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში ნიშნავს ეროვნებათა მშრომელ მასების სულიერ დაძორიჩლებას ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისათვის, მისი ბატონობისათვის, მისი დიქტატურისათვის. პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ ჩვენ წამოგაყენეთ საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის საბჭოების ნიადაგზე განვითარების ლოზუნგი, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის განვითარებას უთანხმებთ სოციალიზმის ინტერესებს და მოთხოვნილებებს. პროლეტარული დიქტატურის ინტერესებს და მოთხოვნილებებს, საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მშრომელების ინტერესებს და მოთხოვნილებებს, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ეროვნული კულტურის წინააღმდეგი ვართ საერთოდ? არა, არ ნიშნავს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ ეხლა მზარს უტერო საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის განვითარებას, ეროვნული ენის, სკოლის, ბეჭდვითი სიტყვის და სხვ. განვითარებას საბჭოების ნიადაგზე. რას ნიშნავს „საბჭოების ნიადაგზე“ ეს ნიშნავს, რომ თავისი შინაარსით საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კულტურა უნდა იქნეს ყველა



მშრომელთათვის საერთო კულტურა, სოციალისტური კულტურა, თავისი ფორმით კი ის არის და იქნება არა ერთნაირი კულტურა საბჭოთა კავშირის ყველა ერთეულბათათვის, იქნება ნაციონალური კულტურა სხვადასხვა კულტურა საბჭოთა კავშირის ერთეულბათათვის სხვადასხვა ენისა და ერთეულ თავისებურებათა მიხედვით. (სტალინი. „მაზიციის „განცხადებები“ შესახებ“. შავისტო, 1927 წ.).

აი, ამხანაგებო ის, რაც მოცემულია აქ ნაციონალური კულტურის განახლებისათვის და რასაც ველარაფერს ვერ დაუმატებ. და ის ხალხი, რომელიც ღარიბად ნაციონალური კულტურის მნიშვნელობას, ამჟამად ეწინააღმდეგება ლენინის მიხედვით და სდგება კოლონიზატორობისა და დიდმპყრობელობის გზაზე. ისე მოხდა, რომ ვაგანიანი და ვარდინი, რომლებიც უარყოფდნენ ნაციონალური კულტურას, აღმოჩნდნენ უპრინციპო ბლოკში იმ ქართულ უკლონისტებთან, რომლებიც ადგილობრივი ნაციონალიზმის სულ სხვა უკიდურესობაში ეარდებიან.

ჩვენი კურსის დამახინჯება

მაგრამ ცხოვრებაში ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გატარების დროს ნაციონალური კულტურის დარღვივ ბშირად აქვს ადგილი ნაციონალურ გადამახინჯებას, რის წინააღმდეგაც აუცილებელია დაუზოგველი და სერიოზული ბრძოლა. ბევრი ფიქრობს, რომ ენსახეუება ნაციონალურ კულტურას. ნამდვილად კი გვიწუდიან წინდა წყლის ნაციონალიზმს. ერთია ნაციონალური კულტურა, რომელიც ფორმისა და ენის მიხედვით უნდა იყოს ნაციონალური, ხოლო შინაარსით—პროლეტარული. სულ სხვა ნაციონალისტური თაიგული, რომელსაც ნაციონალური კულტურის სახით გვაწუდიან. აქ, ამ მხრივ, შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა, თუ როგორ ცდილობენ ამ ნაციონალიზმის გასაღებას სცენიდან. ავიღოთ ოპერის საკითხი.

ოპერა უნდა ემსახურებოდეს მშრომელი მასების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ჩვენ ვცდილობთ, რომ საქართველოში განვავითაროთ ნაციონალური ოპერა. საჭიროა, რომ ქართულ ენაზე იყოს ოპერები, ეს არ ეწინააღმდეგება კომუნისმს. კარგია, თუ ისეთ ხალხს, როგორიც ქართველებია, აქვს საკუთარი ოპერა, რაც ზოგიერთ დიდათ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი არ აქვთ.

მაგრამ როცა ქართულ ოპერაში უსათუოდ გამოყავთ მეფეები, ბერები და მონაზონები და ეს ალტაცებას იწვევს, უნდა ითქვას, რომ ეს აღარაფერს არ ვაგვს, ამას წინადა, ნაგალითად. დასდგეს „ლეილა“, რომელიც მეფის გამოჩენა სცენაზე. თერმე ალტაცებას ჰგვრის იმ ხალხს, რომელთაც საკუთარი ნერვების გალიზიანება სურთ. ეს არის გადამახინჯება და ასეთი გადამახინჯების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ.

მშენებლობის სტილი

შემდეგ აიღეთ ასეთი რამ, როგორც მაგალითად, ჩვენი შენობების სტილია. რატომღაც მიღებულია, რომ თუ კი სახლი შენდება, უსათუოდ საჭიროა ქართული სტილის დაცვა. ფიქრობენ, რომ ეს უფრო ესაიამოვნება საბჭოთა მთავრობას და საჭიროა თუ არაა საჭირო იკონებენ ქართულ სტილს, რაღაც თაღებს ეიწრო ფანჯრებით, თითქოს ეკლესიას აშენებენ. თურმე ეს სტილი არის ძველებური, ძველი საყდრებიდან გადმოღებული. ძველად ეკლესიები წარმოადგენდა ისეთ ადგილებს, სადაც ხანდახან თავს იცავდნენ მტრის თავდასხმისაგან და ამიტომ საჭირო იყო ისეთი ეიწრო სიმაგრეების აშენება, რომლებიც განოდეგებოდა თავშესაფარავად. ამ პირობების დამიხედვით შეიქნა ასეთი სტილი. მაგრამ რატომ გვჭირდება საბჭოთა ხელისუფლების დროს დამალვა ასეთ ეიწრო შენობებში მე სრულიად ვერ გამიგია. რატომღაც საჭირო ჩვენ პროლეტარულ ლენინის რაიონში კინოს შენობის აგება სწორედ ასეთი სტილით, ან ტრამეისს მუშებისათვის სახლის აშენება ისეთი ჩუქურთმებით, რომელიც „აბესალომ და ეთერი“-ს დეკორაციებს



მოგვაცანებს, — ალბათ იწვევებები და ხუროთმოძღვრები, რომლებიც ასეთი სტილით აგებენ შენობებს, ფიქრობენ, რომ ამით საარგებლოა მოაქვთ საბჭოთა ხელოსნულებისათვის, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა ამ ხალხის ცოტა შეხურება, რომ შემდეგში არ წარმოგვიდგინონ ასეთი გეგმები.

თ ე ა ტ რ ი

გადავიდეთ თეატრზე, სადაც ჩვენ აგრეთვე ბევრი რაიმეს გაკეთება მოგვიხდება. სამწუხაროდ თეატრი უკვე კიდევ მკიდროდა ვერ დაახლოვდა იმას, რაც ჩვენ გვჭირდება. მე ვლამარაკობ, კერძოდ ქართულ თეატრზე, ჩვენ გვაქვს თითქმის ერთად-ერთი თეატრი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის ყველა ფენებს და პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მშრომელთა ინტერესებს, — ესაა რუსთაველის თეატრი.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ერთგვარი გარდატეხისა ამ თეატრში, მარცხნივ გადაზრისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაიძულებთ მოვედინა ეს გარდატეხა, ამ უკანასკნელ დროს ის გადაიხარა არა სწორი მიმართულებით და იმ შერჩეულ რეპერტუართან ერთად, რომელიც თეატრს აქვს, ის სდგას სრულიად მიუღებელ პიესებს.

უსათუოდ საჭიროა, რომ აქ არ გავახუვადოთ და არ მოვიზოვოთ ის, რისი განხორციელებაც შეუძლებელია. მოსკოვში მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის მეთუ წლისთავზე გაჩნდა ისეთი იდიოლოგიურად დაბეჭდილი პიესები, როგორცაა „ჯავშნიანი მატარებელი“, „რღვევა“ და „ამბოხება“. რა თქმა უნდა ეს ძალიან დიდი მიღწევაა და ეს იმას მოწმობს, რომ რუსეთში თეატრები გასაბჭოებულაა, რომ მათ პირი იბრუნეს მასიურ მაცურებლებისაკენ და ამჟამად აქვთ ოქტომბრის რევოლუციის შესაფერი რეპერტუარი.

სამწუხაროდ ჩვენში ასე არაა. ჩვენ არა გვაქვს ისეთი ორგანიზირებული მასიური პიესები, რომლებიც გამოხატავდნენ სამოქალაქო ომის ხანას, ასეთ პიესებს თქვენ ვერსად ვერ ნახავთ და თუ პროლეტარული მწერლები სწერენ პიესებს, ისინი სუსტია, მე უნდა აღენიშნო, რომ ჩვენთან წინადაც მოაქონდათ პიესები, ჩვენ მათ ვათვლიდებოდით და ვნაზულობდით, რომ ისინი სრულიად მიუღებელი იყო, ყოველივე ეს ის არ იყო, რაც ჩვენ გვინდა.

რუსთაველის თეატრის შესახებ უნდა ვთქვა, რომ იქ გვიმასპინძლებდნენ სრულიად მიუღებელი პიესებით. სარეპერტუარო კომიტეტი იძულებული გახდა მოეხსნა პიესა „ამერიკელ ძიას გასაბჭოება“. რატომ მოხსნა მან ეს პიესა? თითქოს რეპრესიული, ადმინისტრატიული ზომები მიუღებელია კულტურულ ფრონტზე. მაგრამ ეს ზომები მოგჯერა საჭირო ხდება, როდესაც ეს ხალხი ყოველგვარ სახლვარს გადადის, „ამერიკელ ძიას გასაბჭოება“ ეს არის საბჭოთა ხელოსნობების აბუჩად აგდება, პაროდია. მალე შეიდი წელი სრულდება, რაც საბჭოთა რევოლუციისა მთლად საქართველოში და ამის შემდეგ, რომ საქართველოს სოციალში გერაფერი დაინახა გარდა ისეთ ტიპებისა, როგორიც კომბალა, რომელიც დაათრევს პორტფელს და სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე თვალთ ბრმა იყო. ჩვენ ვამბობთ, რომ რაკი შენ ბრმა ხარ, შენ კვლავ უნდა გასწავლათ. აი რატომ მოხსნა სარეპერტუარო კომიტეტმა ეს პიესა. ან აიღეთ შეორე პიესა: „ამერიკელი ძია“, რომელსაც ბევრი ანშლაგები ჰქონდა და დიდ შემოსავალს იძლევა. გამოდის, რომ თითქოს კინტოს ტიპის განვითარებას ხელი ეწყობა საქართველოში. ამ პიესაში ამბობენ ისეთ რამეებს, მღერაინ ისეთ კულტურებს, რომლებიც სრულებით არ შეეფერება ესლანდელ მომენტს. მაგალითად, კულტურები ფოქსტროტის და კინტაურის შესახებ.

რა თქმა უნდა, ფოქსტროტი — გახმაურებული ცეკვა და ჩვენშიაც არის ასეთი გადახრა ფოქსტროტისაკენ. დემიან ბენდი კარგად სწერს ამის შესახებ, რომ ეს გადახრა უნდა განიღვინოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მაგიერ შემოვიღოთ აქაური „კინტაური“. ესეც ნაციონალური გადახრაა, თავისებურ გაშუქებით.

ან გვიმასპინძლებიან კულტურებით, რომ „ადნიმ ოუკომ ვიციმატე ტრი პუდა“. ასეთი რამით გვიმასპინძლებიან დედა-ქალაქის დიდი თეატრის სცენიდან. ასეთი მოვლენები უნდა აღმოიფხვრას და სრულებით უარეყვით ასეთ პიესების დადგმა, რომლებიც არავითარ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენენ და იდეოლოგიურად მიუღებელი არიან ჩვენთვის, ამისათვის საჭიროა შეიქმნას და აღიზარდოს მასიური მაყურებელი, რომელიც შესძლებს აითვისოს ახალი პიესები კლასობრივ, პროლეტარულ შინაარსით. ეხლა კი ისეთ პიესებზე, როგორც „ამერიკელი ძია“, მეტი ხალხი დადის, ვიდრე „ზაგმეკზე, ან „საქე მარცხნივ“-ზე.

უნდა მოვიზიოდოთ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღება, რათა შევსძლოთ ამ ახალ მამენტელის გამომუშავება, ისე, როგორც ვქმნით მასიურ მკითხველებს. სანამ ეს არ განხორციელდება, მანამ ჩვენს თეატრს ყოველთვის დიდი დეფექტი ექნება მატერიალურად და ის არ მოგვეცემს მას, რაც ჩვენ გვესაძირობდა.

კ ი ნ ო

სწორედ ასეთივე მდგომარეობაა კინოს დარგში, კერძოდ საქართველოს სახეინმრწეში. სახეინმრწეზე ეხლა ბევრს ლაპარაკობენ, ის განიცდის კრიზისის ზანას. დაიწყო „წითელ ეშმაკუნების“ დადგმით და დაქვეითდა ისეთ სურათებამდე, როგორიც „მფლანგველები“. ან „საურ საფლავი“-ა. ასეთი ფილმებით სახეინმრწე სრულდება, „დაისპარებს“ თავს. ეხლა ის ისეთ კრიზისს განიცდის, როდესაც მას არ გააჩნია არც თემები, არც შესაფერი რეჟისორები, რომლებსაც შეეძლოს ასახონ სურათში ახალი საბჭოთა ცხოვრება. აი რატომ არის ის გაყინული ერთ წერტილზე და პარტია ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ დასძრას ის მკვდარ წერტილიდან. ამ ორგანიზაციას ჩვენში მოვაპოვება ყველა პირობები განვითარებისათვის. მე-15 ყრილობაზე და მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე ახმ. ბ ლ ხ ა რ ი ნ მ ა და ახმ. ს ტ ა ლ ი ნ მ ა ყურადღება მიაქციეს კინემატოგრაფიის საკითხებს. მათ აღნიშნეს, რომ არაყიდან მიღებული შემოსავალი უნდა მიხმარდეს კინოსა და რადიოს, უნდა განვითარდეს კინოშენებლობა, ვინაიდან არაყს ზიანის მეტის არაფრის მოტანა არ შეუძლია, კინო და რადიო კი მოგვეზარება ჩვენ კულტურულ რევოლუციის საქმეში. დღემდე სოფელში ვერ შედგენ კინოს, კინო აღარ მიდის სამაზრო პუნქტებს იქით, სამაზრო ქალაქებს იქით. გვექონდა კი ისეთი საგლეხო ფილმები, რომლებსაც შეიძლო წარმატებით შეჭრილიყო სოფელში? ეხლა სახეინმრწეის წინაშე სდგას იმის ამოცანა, რომ შექნას მებრძოლი რევოლუციონური ფილმები მუშებისა და გლეხებისათვის და აილოს გეზი ახალ მაყურებელზე და ისეთი სურათები კი არ დადგას, რომლებსაც აქვს ვიწრო ნაციონალური გადაზრა და ნაწილობრივ ეწინააღმდეგება სოციალისტურ აღმშენებლობის ამოცანებს.

პროლეტარულთა კავშირი

მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვთქვა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც აქვს ადგილი პროლეტარულ მწერალთა კავშირში.

მე უნდა აღვნიშნო რომ ჩვენს ასოციაციას აქვს დიდი მიღწევები, რომლების უარყოფა არავის შეუძლია, მაგრამ მიუხედავად ამისა მე ცალკე მინდა შევთვრად იმ დეფექტებზე, რომლების გამოსწორება წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას.

საერთოდ ეს დეფექტები განისაზღვრება მით, რომ ასოციაციაში არ არის სრული ერთსულოვნება. პროლეტარულ მწერალთა კავშირი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ჰგავს პარტიულ, ან პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

აქ შეიძლება დაშვებულ იქნას აზრთა მეტი სხვადასხვაობა, მიმართულებათა ბრძოლა და სხვ. მაგრამ ჩვენს ორგანიზაციაში აუცილებლად საჭიროა შინაგანი



მთლიანობა, შეკავშირება. ის მდგომარეობა, რომელიც არის ასოციაციაში, არ მოწმობს, რომ თქვენ ეს მჭიდრო შეკავშირება გაქვთ. ასოციაციაში ადგილი აქვს სენს, რომელიც დროგამოშვებით იჩენს თავს, განსაკუთრებით კი ყრილობის დროს. ახლა გამოჩნდა ლიტერატურული ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობს ანბ. პ. ქიქოძე და რომელსაც რატომღაც შეუერთდა ზომლეთელი. არსებობს ყოველგვარი უპრინციპო ბლოკი, მაგრამ მე არ მოველოდი, რომ მოხდებოდა ბლოკი ერთის მხრივ არქი-მემარცხენე ქიქოძისა და მეორეს მხრივ ზომლეთელის შორის. წინა ყრილობებზე სწორედ ისინი ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს, იყვენ სრულიად სხვადასხვა მიმართულების, ქიქოძე ყოველგვარ მომავლენებელ კოდექსში სდებდა ბრალს ზომლეთელს, ეს უკანასკნელი კი ბრალს სდებდა მას.

გზლა ჩვენ ვხედავთ მათ უპრინციპო ბლოკს და ეს ლიტერატურული ოპოზიცია ყრილობაზე გამოდის პლატფორმით. საჭიროა ამის აღმოფხვრა, საჭიროა აღმოფხვრა ყველა უთანხმოებების და შეთანხმებული მუშაობის წარმოება, რასაკვირველია, ამ ბლოკს, როგორც წესი და რიგია, წინ უსწრებდა განსაკუთრებული დეკლარაციები, მანიფესტები და სხვ.. სხვა გვარად როგორ იქნება? შეიკრიბება თუ არა 5 კაცი, მათ უკვე მხად აქვთ დეკლარაცია, მე საერთოდ არ მესმის მანიფესტების და დეკლარაციების გამოცხობის მენერა. ამ დეკლარაციების სიყვარულით დასწულებულია მემარცხენე—უმემარცხენესი ჯგუფი, ისინი შეიკრიბნენ და გამოუშვეს სპეციალური ჟურნალი „მებროლო“. ჟურნალს ყუდა აქვს ლიტერატურული, ზოლო შიგნით დაბეჭდილია რეზინგტონზე—პლატფორმულ ლიტერატურის გავრცელების ახალი საშუალება. მაგრამ ენაშთ რაში გამოიხატება მათი პრინციპიალური უთანხმოება. არაიენ არ უარყოფს, რომ ბევრი ნაკლებლოვანებები აქვს, როგორც პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას. ისე ასოციაციის ხელმძღვანელ მუშაკებს და ამ ნაკლებლოვანებათა წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. ისინი იმის მაგიერ, რომ მიუთითონ კონკრეტულად ნაკლებლოვანებებზე და დაეხმარონ მათ გამოსწორებაში, მიდიან სხვა გზით, თავისი ფრაქციის შექმნის გზით, საკუთარი მანიფესტით და დეკლარაციებით.

ლიტერატურული კომყოფიობა

„მებროლო“ გამოდის თავისი მანიფესტით, რა არის ნათქვამი ამ მანიფესტში. ერთ ადგილიდან სჩანს, რომ მათ აქვთ 7 ამოცანა, მეორე განცხადებაში სწერია, რომ ამოცანა თორმეტია. განცხადებების მიხედვით იზრდება ამოცანების რაოდენობა.

პირველ ასე ვსთქვავთ, ერთადერთ პრინციპიალურ მუხლში ნათქვამია— „პროლეტარულ მწერლების რიგებში შემჩნეულია კლასობრივ გამძლეობის შესუსტება. კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები მწერლობაში ხშირად კლასობრივ ხავად ესმით“ და შემდეგ— „ჩვენი პირველი ღოზუნგია: მწერლობაში კლასობრივი ბრძოლის გამახვილება“ („მებროლო“ 3-4 გვ).

ამ ამბანაგების ახალი ამქმად ადგილი აქვს კლასობრივი ბრძოლის რამდენიმე შესუსტებას და ამიტომ ისინი ძირითად ღოზუნგათ აყენებენ კლასობრივი ბრძოლის გაღვივებას და გამახვილებას ლიტერატურაში. მე ვფიქრობ, რომ საკითხი არ არის სწორად დასმული. ეს დაგმობილია ჩვენი პარტიის მიერ და ამ ხალხს უნდა ესმოდა ეს; ისინი უნდა კითხულობდნენ რაიმე წიგნებს, მაგრამ გამოდის, რომ წიგნებს ისინი კითხულობენ, მაგრამ არაფერი ამ წიგნებში არ ესმით, იმიტომ, რომ დაუსრულებლივ გამოდიან და იმეორებენ იმას, რაც არა ერთხელ ყოფილა დაგმობილი. ამბანაგები ფიქრობენ რომ ისინი არიან ხეცაკები, რომელთაც აღმოაჩინეს ახალი რამ, პარტიისათვის უცნობი და მიუწვდომელი. პარტია ამას უფერებს როგორც ნამდვილ კომყოფიობას. დასწერა ახალგაზრდამ რაოდენივე სიტყვა, შემდეგ გამოსცა ის თავისი პორტრეტით (საქართველოში ასეა მიღებული, თუ დასწერა ერთი ლექსი, ამ ლექსს წინ უნდა წაუმიმღვარო პორტრეტი) და მას ჰგონია, რომ თუ მოეპოვება ერთი კრიტიკული შენიშვნა, ის უკვე დამთავრებული პოეტია. ამის შემდეგ ის ფიქრობს, რომ მან აღმოაჩინოს ახალი კომყოფიობა. აცხადებს უსაზღვრო პრეტენზიებს და იძლევა დირექტივებს: კლასობრივი ბრძოლა შესამჩნევად შენეულა, საჭიროა მისი გაღვივება. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის

საკითხის სწორი დაყენება. ის, რომ კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს, ფაქტია. ქალაქში იზრდება ახალი ბურჟუაზია, ნეპმანური ელემენტები, სოფლად ეკლასური, ელემენტები და პარტია იძლევა განსახლებულ ხაზს, როგორც უნდა ევროპოლოთ ამ ანტი-პროლეტარულ სოციალისტურ ჯგუფს. ამ მოვლენებს უნდა ევროპოლოთ არა ადმინისტრაციული ღონისძიებებით, არამედ მთელ რიგ მოფიქრებულ და ფრთხილ ღონისძიებებით, რომლებიც აღნიშნულია მეთოთხმეტე პარტკომფერენციის, მეთოთხმეტე და მეხუთმეტე პარტკომპოზების მთელ რიგ გადაწყვეტილებებში.

არ შეიძლება განუსაზღვრად საკითხის დასა. მე არ მომწონს და მოდი ეს ადმინისტრაციული წესით აღმოვფხვრათო სულ სხვაა, როცა ჩვენ ელაპარაკობთ ძველი ამცანების შესახებ კაპიტალისტურ საზოგადოების დროს, როდესაც ჩვენ უნდა აგვეფიქრებინა ძველი საზოგადოება. ახლა ჩვენ ეს ამოცანები ათა გვაქვს. ახლა ჩვენ, პირიქით, ვემით, ჩვენ ვვინაა წინ წავიდეთ და გვიჩა, რომ ჩვენთან ერთად მასტბიც წინ წავიდენ. ეს არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული რეზოლიუციასი პარტიის ხაზის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში. ამა ს აღნიშნავდა ამს. ბუხარინი; ამ ამბანაგებმა კი აქედან ვერაფერი გამოიტანეს, განაოდიან ძველის თვალსაზრისით და ამბობენ: ხელი მოვკიდეთ და გადავავადოთო. რისთვის არის ეს საკითრო?

შემდეგ ისინი ამბობენ, რომ შექმნეს მწეჩალთა მთლიანი კავშირი და პროლეტარული ასოციაციაც შიგ შედისო. თქვენ წიჩაღამფიგი ხართ პროლეტარულ მწეჩალთა ფედერაციისა. მაშ რა გსურთ? ეს სწორედ ის შემარცხნეობაა, რომელიც დაჯგომ პარტიამ ცენტრშიაც და ჩვენშიაც. ეს არის ვარდინიზმი, რომელიც ჩვენ არ ვეგსაკირიება. ეს ის თაზიციასა, რომელსაც ჩვენ არ ვსაკირიობთ.

აი, რატომ არ შევჩერდები სხვა პუნქტებზე. მათ აქვთ სხვადასხვა მოთხოვნები, რომ მეტი კოლექტივობა იყოს მუშაობაში, რომ ორგანიზაციის სათავეში სხვა პირები იხდენ, რომ ჟურნალს უკეთესად გამოსცემდენ. ვეკლავები ამის გამოსწორება შეიძლება. თუ ჟურნალი ცუდად გამდის, საკითრო, რომ კარგად გამოდითდეს, ან თუ კარლთა კალაქ ამ რთლს იკისრებს და ჟურნალის ტირაჟი აიწვეს ამისათვის მას მადლობა უნდა უთბართ. მაგრამ ამბანაგებობ, ამბონ არ არის საქმე. საქმე იმაშია, რომ უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ თქვენ შევძლოთ მთაპოვით მთელი ლიტერატურის ხელმძღვანელობის უფლება, ნამდვილად კი რამდები ადამიანიც გამოჩნდება, იმდენი პლატფორმა იქმნება. ეს არჩავს პროლეტარულ დისციპლინას, სიმტკიცეს, არამედ უფრო წერილ-ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს ეკავონებს, რომელმაც ჩათბირა ზოგიერთი მერყევი პირი. ვიმეორებ. ეს არის წერილ-ბურჟუაზიულ დაუდევრობა და არა პროლეტარული დისციპლინა. აი ამიტომ ვამბობ, რომ ყრილობამ უნდა დაჯგომს გამბრწენელი მუშაობა და გადებხრანი. მან უნდა სთქვას: ის ამბანაგები, რომლებიც ასეთ-მუშაობას ეწევიან, ასოციაციის რიგებს ასუსტებენ. ისინი ელაპარაკობენ, მხოლოდ, რომ კლასობრივი ბრძოლა შენელდა და საქმით კი არაფერს აკეთებენ კლასობრივე მტრის წინაღმდეგ ბრძოლისათვის...

რაც შეიძლება ცოტა პლატფორმები

ბრძოლისათვის საკითროა დისციპლინა; იმის მაგიერ, რომ ამრავლონ ყოველგვარი კარგი პლატფორმები და თეზისები, პროლეტარული მწეჩარები უკეთესად მოიქცეოდენ, რომ კარგი პროლეტარული ნაწარმოებნი დაეწერათ.

რაც შეიძლება ცოტა ცუდი პლატფორმები და თეზისები, რაც შეიძლება მეტი კარგი პროლეტარული ნაწარმოებნი. აი ეს თეზისი იქნება სრულიად სწორი. ეს ლოზუნგი ჩვენ უნდა ინიოვდეს. ამ საკითხებისაკენ დაბრუნება ჩვენთვის საკითროა, ბოლო უნდა მოვლეთ ყოველგვარ უთანახმოებას.

მე ვფიქრობ, რომ პროლეტარული მწეჩარლობის ასოციაციას ეს დირექტივი უნდა მივცეთ. თუ არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც აფერხებენ ამ მშენებლობას, შეიძლება საკითრო იყოს, რომ კირურგიას მივმართოთ და მოვეკეთოთ ეს ელემენტი. რატომ? იმიტომ, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერი მწეჩარები, რომლებიც შეუძლიათ და სურთ მუშაობა, ჯგუფებიდან ამ ფრაქციული წრეების გარშე, ეს კი ხელს უშლის შემოქმედებთ მუშაობას, ხოლო ჩვენ დიდი მუშაობა ვეკლავს, დიდი სწავლა-მეცადინეობა და თვითკრიტიკა.



კრიტიკა უაღრესად უღმობელი, მაგრამ ჯანსაღი უნდა იყოს. ჩვენ კრიტიკას კმაყოფილებით მივცევივით, მით უმეტეს თუ ეს კრიტიკა გამომდინარეობს პროლეტარული მწერლებისაგან. ჩვენ დიდის სიამოვნებით მივიღებთ ყოველ საქმიან წინადადებას, რაა მოვიზოროთ დეფექტები კულტურულ ფრონტზე. მაგრამ სულ სხვაა ამბანაგური კრიტიკა, სურვილი საერთო საქმისათვის დახმარების აღმოჩენისა, და სულ სხვა საქმეა ფოაქციულობა, კარჩაკეტილობა, ანარქიის შეტანის სურვილი საქმეში, ყოველი ჯგუფის ჯგუფები, რომელთაც საერთო არაფერია აქვთ პროლეტარულ ხაზთან.

ამიტომ მე ვფიქრობ: თუ ჩვენ გვსურს განვანორციელოთ ყველა ის ამოცანები, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ, პირველ ყოვლისა, საჭიროა პროლეტარულ მწერალთა შედუღება, შემკიდროება. ამოცანები კი გრანდიოზული გვაქვს დასახული, დიდი მნიშვნელობის ამოცანები; ეს არის: სოციალისტური მშენებლობის გაფართოება, ინდუსტრიის განვითარება, პირისპირ მიდგომა სოციალიზმის მშენებლობისადმი სოფლად და გარდა ამისა, იმის განხორციელება, რასაც ლენინი ამბობდა — კულტურული რევოლუციის განხორციელება.

აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ყველა ერთნაირად სწერდეს, რომ ყველამ ის უნდა სწეროს, რასაც ერთი სწერს; რომ არ უნდა არსებობდეს არავითარი მიმართულებანი - ეს ასე არაა; შედუღება, შემკიდროება იმ აზრით უნდა გავიგოთ, რომ შეიქნას მუშაკების ისეთი დისციპლინის კოლექტივი, რომელმაც პროლეტარულ მწერალთა კავშირს უფლება უნდა მისცეს ჩვენს ლიტერატურაში ჰეგემონიის მოსაპოვებლად, არა მარტო ქალაქში, არამედ სინამდვილეში. მე ვფიქრობ, რომ ამ ყრილობიდან ჩვენ უნდა გავიდეთ შინაგან მთლიანის ორგანიზაციით, რღვევის ყოველგვარი ელემენტების გარეშე. ყოველგვარი ფრაქციებისა და ქვეფრაქციების გარეშე; ჩვენ უნდა შევმკიდროვდეთ პროლეტარული რევოლუციის ინტერესების დაცვის პლატფორმაზე, კულტურული რევოლუციის ინტერესების დაცვის პლატფორმაზე ლენინიზმის დროშის ქვეშ.

მე ვფიქრობ, რომ პროლეტარული მწერლების ყრილობა ამ ამოცანას შესარულებს.

ილ. ხოშბარია

საუბარი მოხუც კომუნართან

იმ დიდ ბრძოლებში გულმკერდ მაგარი მეც სხვებთან ერთად მოვმზადებულვარ, მოვხუციდი, მაგრამ ძარღვებში ისევ სჩქეფს სიხალისე ბოლშევიკური. სად იყო მაშინ, ტკბილი აღერსი მკერდში ვიკლავდი ათას ვაებას და ქარიშხალიც მოზღვავებული ვილარ ზნიქავდა ურყველ ნებას. მეგობართ შორის იყო მხნეობა, ბევრი ვისწავლეთ ჰერქვეშ კრებიდან; არ აცდებოდა დამიზნებულ მტერს, ტყვია წასული ჩვენს სანგრებიდან. ყოველ კუთხიდან მტერთან შეხვედრა გულ-გაღვილილი თუ კი შეგვიძლო, აქ ბრძოლის შემდეგ წინ აღიმართა საქმე ათასჯერ უფრო საძნელო.

კმარა შეცდომა, არ დაილუპოს
მთელი გეგმა და მთელი მიზანი,
რადგან ხომ დღესაც შურით გვიცქერის
თუგინდ ყოფილი ადამიანი.
ხმაღს ძეგლებურათ, თუ ვერ მოვიქნევ,
სხვა საქმე ჩემთვის კიდევ ბევრია,
გული სიბერემ ველარ გატეხა,
დღიურ ცხოვრების ბურჯი წვერი ვარ.
დღეს თუ კი ვხედავ ვინმე წავიდა
მშენებლობიდან, სულ სხვა მხარეში,
ეს მოქმედება ველარ დაგვირღვევს
ახალ ცხოვრების მთლიან შენობას,
ეხლა უნარი უფრო გვჭირია,
სადარაჯოზე დგომა მხედრებათ,
როგორც თქვენ ძმებო, მეც ძველ არმიელს
ბრძოლის წყურვილი გულზე მედება.

მობუც კომუნარს გრძობით უსმენდი
და გულში მომხედა სიტყვა გმირული,
რამდენი ცეცხლი დამინთო სულში,
რამდენი ცეცხლი კომკავშირული.

შ. რაღინი (შეწირული)

კარლო კალაძე

არიან ისეთი პოეტები, რომელთა აზრები და გრძობები, ისე ლარიბი, „მკლავ“ და ბანალურია, რომ თითქმის შეუძლებელია ჩამოვლიბებული იქნას ის მხატვრულ უაქტში; ხდება კიდევ ისიც, რომ პოეტს იდეური და ემოციონალური მარაგი ბევრი აქვს, მაგრამ ვერ აყალიბებს მას მხატვრულ ფორმაში, ვერ ახდენს მის კონდენსაციას.

ქ. კალაძე არ გეუთვნის არც პირველი და არც მეორე წყების პოეტების რიგს. მას აქვს მდიდარი ემოციონალური მასალა და შესაძლებლობაც ღრმად ჩამოაყალიბოს ის სრულქმნილ, ლოგიურ მხატვრულ ფორმაში.

ქ. კალაძის მხატვრულ შემოქმედების პირველი პერიოდი—ეს კომკავშირულ და რევოლიუციურ თემატიკის ხანაა; ამ პერიოდში ის გვევლინება, როგორც ბრძოლისა და რევოლიუციონერ ცეცხლის დამნთები პოეტი, ამ პირველ პერიოდში ის განმკველულია სრული პროლეტარულ-კლასიური ხედვით.

ჯერ კიდევ 13 წლის პოეტი ნახევრად არალეგალურ გაზ. „კომუნისტში“ (1920 წ.) ათავსებს ორ ლექსს: „მისაღება საქართველოს „კომუნისტს“ და „ბრძოლის ველზე“. ამ ლექსებში ის აღფრთოვანებული ესაღმება პროლეტარული რევოლიუციის ტალღების მოახლოებას კავკასიონის ქედისაკენ, მისი შუქის შემონათებას ამიერ-კავკასიაში.

ქ. კალაძე თავის შემოქმედების ამ პერიოდშივე მუშათა კლასის რევოლიუციონერ ბრძოლის თემატიკასაც აცოცხლებს. მისი „პირველი მისი“ ამ მარტივ უსათუოდ საყურადღებო ლექსია. საბჭოთა რესპუბლიკაში, პოეტი სხებთან ერთად თავისუფლად დღესასწაულობს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის და შრომის დღეს—პირველ მისს,—როდესაც „ქალაქს ამშვენებს ყვავილებით ტანის შემოსვა, შრომის ზეიმი და დროშების აღნი ჩაბირვა“. მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო. თვითმპყრობელობის დროს მშრომელ ხალხს თავის დიად დღესასწაულის ჩატარების ნებას არავენ აძლევდა, ამისათვის მათ სდევნიდნენ. მუშებს პირველი მისი



ფარულად, არალეგალურად უნდა ედღესასწაულოთ. ერთ ასეთ ფარულ პირველ მაისს, რომელიც გაიმართა ნაძალადეგში, იგონებს პოეტი. აი ამ „პირვანდელი“ მაისობის ჩატაობის სურათიც:

„ნაძალადეგი:
დაფერდილი ქედი,—ელამი.
მყერდ გახსნილ ველზე მზის სხივების ცეცვა ხანჯლებით.
ხეკულ მინდორზე
გადაღვრილი ვიწვანე მელანი,
და როგორც სუბოქვა, აორთქლებულ ნისლში ლანდები:—
ქალაქის გარეთ
შეკობილან განმარტობით,
რომ ველარ დასწვდეს მათ საუბარს ჯაშუშის თვალი.
მალლა აწედილან
ბრძოლის ფერი ბაირალები,
როგორც გრძნობების ელვარება და ცეცხლის ალი.
ლიმილ გახსნილი
მაისობას შეჭებებიან—
და არის მათი სიბარული გზნება ტყვილის...
გზლა,—ხამალლა
დამონებულ ბედის მთქმელია
ყოველი სიტყვა გულის წყრომით გადმონებთქილი.
თავისუფლებას
მონატრული მზეს უგალობენ,
და პირველ მაისს გაუშალეს სუფრა მინდორზე...
სცლიან მშრომელთა გამარჯვების სადღეგრძელოებებს
და ცას დანისლულს შეგვგუნებს მარსელიოზა“.

ასე ატარებდა წინად თავის დღესასწაულს მუშათა კლასი. ასეთი ფარული, მაგრამ თავგანწირული ბრძოლით ის რახზავდა იმ რკინის მტკიცე არმიას, რომელმაც ძირს დასცა ექსპლოატატორთა ბატონობა. განთავისუფლებულ პროლეტარულ სახელმწიფოში პირველი მაისიც, „ზემი სამაისო“ სულ სხვა ხასიათს ატარებს. აქ ყველგან „ლიმილია გადაღვრილი“, ამ დღეს „დროშებს—ალისფერს შენობები იბნევენ გულზე, ქუჩებს ამძიმებს პროცესიის უწყვეტი ზოლი“... „ქალაქი ჰფეთქავს.—ახვითებულ ქუჩებს მოდენის, ვარდებით, ყვავილებით უბე ვესება“.

„ქალაქის მყერდზე
მზის ღიმილი გადაიღვარა,—
და დაიფერფლა ხისლის ფერი ღამის სინახე;
ტუნებზე ღიმი
საოცნებოთ გადაიფარა,
შეირხა ტანი, ყვავილებით ვარდებით სავსე.
დროშებს—ალისფერს
შენობები იბნევენ გულზე,
ქუჩებს ამძიმებს პროცესიის უწყვეტი ზოლი...
გნთება ყველგან,
მოგონება ბრძოლის წარსულზე.—
აფეთქდა სიტყვა.—ტრიბუნიდან გადმონანსროლი
მო, აშხანაგო.
გადაგოცნოთ, მომეცი ხელი,
დღეს ჩვენი დღეა—სანეტარო „მუშის მაისი“.
და თუ ის ჩუმად
გეამღვრებდა მრავალი წელი,
დღეს ზემია.—გაორკეცდა ბრძოლის ხალისი.
აესწითთ მაოლა დასისხლული ჩვენი დროშები—
ეს სიხარული მტრებს ხმლებივით შემოვსევსა...
ქალაქი ჰფეთქავს, ახვითებულ ქუჩებს მოდენის,
ქალაქს ვარდებით, ყვავილებით უბე ვესება“.

ამ სტრუქტურებში უბრალოდ, მაგრამ ღრმად არის მოცემული „ძველი“ თვითმპყრობელობის ბატონობის და „ახალი“, პროლეტარიატის დიქტატურის დროის პირველ მისიობის სურათები...

სახელოვანი კომუნისტური პარტია ზრდის თავის შემცველ ღირსეულ ძალას—ა. ლ. კომკავშირს, კ. კალაძეს სურს, რომ იყოს. ამ რევოლუციონერ-პროლეტარულ რაზმის წევრი, თანამოხაწილე, მუდამ ახელებდეს „ბრძოლის ცეცხლი“, „შრომის ზეიმი“:

„ტფილისი იტყვს
თავის გულში ყველა სახელებს;
მე მინდა მერტყას: ახალგაზრდა კომკავშირელი.
მე ვარ მშრომელი,
ბრძოლის ცეცხლი მუდამ მახელებს,
შრომის ზეიმში მე საკუთარ მომავალს ველი“.
(„22.000“)

თავის მამების და უფროსი ძმების მონაპოვარს—კომუნას, კომკავშირი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს, არ დაუთმობს მას თავის კლასიურ მტრებს,—რადგანაც მას გზას უნათებს ლენინი, მისი საქმე და მოძღვრება:

„არ დაბინდდება
მზე კომუნის არას დროს ღრუბლით,
რადგან დაიპყრობს კომკავშირი ყველა მწვერვალებს.
მისი რწმენაა
ამართული ლენინის შუბლი,
ის დაუჯერებს სიკვდილამდე ლენინის თვალებს.
ჩვენ ისევ მოვალთ
როგორც მძაფრი ქარიშხალები.—
რკინეულ გულში ბრძოლის გზენება რომ არ დაბერდეს,
მიწავე! მზესავეთ
აგანთებენ ჩვენი დროშები
რომ ერთხელ კიდევ საუკუნე აოქტომბერდეს“...
(„22.000“)

ასეთი თვალსაზრისით, ასეთი პროლეტარულ კლასიური ხედვით უდგებოდა კ. კალაძე ამ პირველ პერიოდში თითქმის ყველა თემას. ასეთი „თვალსაზრისით იყო მოცემული „ოქტომბერი“, „მანქანის რკალები“, ლანქერის სვლა“, „სოფელი დღლამდე“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში კ. კალაძის პოეზიას ახასიათებდა უმთავრესად აბსტრაქტიულობა და განწყობებული პლანეტარიზმი. შემდეგ ხან ში, მეორე პერიოდში კ. კალაძეში მოხდა მოულოდნელი და მეტად ღრმა მობრუნება, უკეთ რომ ვთქვათ გადახრა. სანამ კ. კალაძის ამ გადახრების ფაქტებზე ვილაპარაკებდეთ, მანამდე საჭიროა აღინიშნოს, თუ რა არის ამ გადახრების მიზეზი.

თუ შევეცდებით მოკლეთ და პირდაპირ გამოვსთქვათ ის ძირითადი შთაბეჭდილება, რომელსაც უსათუოდ ახდენს კ. კალაძის შემოქმედება, ეს იქნება: უეჭველი და სრული გულწრფელობა. კ. კალაძე არ ახდენს დეკლამაციას, არ გვიჩვენებს მხოლოდ საზიგმო ოთახებს, თავის პოეტურ „მე“-ს, კომუნიზმის ანბანს გარეგანი მხრით შეთვისებულს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ემოციათა სამყარო ყოველთვის უკან რჩება შემეცნებას. ახალი ად მიანის ჩამოყალიბება მიმდინარეობს ძნელათ და არა ერთბაშად. ამ ახალი ადმიანის განოსახატავად პოეტს აქვს ორი გზა: პირველი—მას შეუძლია თავის ამოცანის შესრულებას ციუდგან ზეოლეო, გვიჩვენოს შემეცნების ხედაპირი, სააღლუმო ოთახები. ეს ყველაზე უფრო ადვილი გზაა, მინიმალური საშიშროებით, რის გამოც ამ გზას მიყვებიან უფრო ხშირად. მაგრამ არის მეორე გზაც, აუცილებლად უფრო ძნელი, სამაგიეროთ უფრო ნიშნელოვანი: გვიჩვენოს—თუ ახალი პროლეტარული მსოფლგაგება, გრანობათა და მისწრაფებათა ახალი წყება, როგორ ებრძვის და სპობს თანდათან ადამიანში იმ ძველ ტრადიციულ თვისებებს, განწყობილებებს, გრანო-

ბებს, რომელიც მასში აღიბეჭდებოდა მრავალი საუკუნოების განმავლობაში. (ა. ლენინი „Вопросы литературы и критики“, გვ. 170). ამ უკანასკნელი გზით ცდილობს იაროს კ. კალაძემ. მაგრამ, ცხადია, ამ გზაზე გადახრების საშიშროება უფრო მეტია. აქ ადვილად შეიძლება ჩამოვარდნა,—და იმართლედ უნდა ვაღიაროთ, რომ კ. კალაძე ხშირად მართლაც ვ. რედება მეტად მძიმედ. მისი „ძაბილი აღმოსავლეთის“, „ტფილისი“, „რუბაიები“, „ნახტომი გულიდან“ ასეთი „ჩაყვარდნის“ ფაქტებია.

ამ ჩაყვარდნას, გადახრას კ. კალაძე თვითონაც გრძნობს:

„მაღალ მიზნებთან მისვლა თუ სურდა,
ვინ არის, რომ არ წაჩოქებულა“—

—ამბობს ის.

კ. კალაძის „ჩაყვარდნები“ ან, როგორც თვითონ ამბობს „წამოჩოქება“, უმთავრესად მიემართება: 1) რევოლუციონერული ტონის შესუსტების და დაღლილობის გზით და 2) ნაციონალიზმისკენ გადახრის გზით.

პირველი ხასიათის განწყობილებას პოეტა გარკვევით ამვლავნებს ლექსში „ტფილისი“:

„და თუ ტფილ-სის სიყვარულმა ბევრი მოალა
მშობლიურ მიწის რაინდებთან ვდგები მხარდამხარ...“
„—ჩემი მთვარეო,
უკანასკნელად მსურს გესაუბრო,
უნდათ, ამოგჭრან ფერატელის გულიდან დანით.—
ჩამოუჯდეთ სადმე, სადაც ანთია ტფილისის ცეცხლი,
პროსპექტზე ცოცა, და მაწუხებს სისინი ჭარის“...
„რა საჭიროა წაიკითხო ძველი წარწერა:
„მოკალატენო, ხმა მიეცი თუ შეხუთე ნომერს“.
მე დაჭრილი ვარ—და ხმას ვაძლევ ცას მოკაშკაშეს...
„—დაგკოდეს გულო...—
დღესაც სისხლით ძარღვი გეცლება...
და გვიან მიხვდი რომ უსმენ თურმე საუბარს“..
„რდილოეთიდან ჭარს ამოაქვს ცა ამღვრეული,
გუბდება ღამე,
სიჩუმეში მარტოდ დარჩენილს
შემომესვეა მწუხრეა,—და საიდგანაც,
ჭიანურის ხმა შემოჰყენეს ამ გულის ტკივილს“.

კ. კალაძის „ტფილისი“ შეიქმნა პროლეტარულ პოეზიაში გადახრების პაროლი. მაგრამ კ. კალაძე გადახრის მარტო ამ ერთი ფაქტით არ დაკმაყოფილდა: მან ის სხვა ლექსებში იმდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა; ხოგერითი რამ, რაც მან გაბედულად ვერ თქვა „ტფილისში“ შეედგა დროის პოეტურ ფაქტებში პირველ პლანზე დააყენა; შემდეგში ის „პირწმინდათ“ მობრუნდა ნაციონალიზმისკენ. ვაძლევს ნაციონალიზმის კაობში.

ამ ნაციონალისტური გადახრის ამო ვია კ. კალაძემ მოგვცა საკმაოდ მოზრდილ ლექს „ძაბილი აღმოსავლეთში“. ამ ლექსში, პოეტა ცდილობს გაესუბროს ფერიდანის ქართველებს. მაგრამ კალაძის ეს საუბარი მეტად ცალმხრივ და ანტი-პროლეტარულ მანაარს ლებულობს. პოეტა ფერეიდანის ქართველებს გასძაბის არა როგორც რევოლუციონერი, არამედ, როგორც პატრიოტი და ნაციონალისტი:

„მოღლილხარ სულო, ერთხელე განცდილ
მწუხარების ქვეშ, თუ მოიხრები—
დაე აღსრულდეს, და ყო-ნებათ,
წამოიშალ-ნ ბნელი ფიჭრები...“
„ჩემი სხეულის ყოველი კუნთი
უცნობის ხელით გამოძვრული,

მშობლიურ მიწის მხურვალ გულიდან
მოთბობილი ხორცი არის უთუოდ...
„დაგიწრეს ძუძუ მშობელი მიწავ,
საყვარელ დედათ თუ ვერ ივარგო“...
უფსკრულებიდან მომსყდარ ქუხილში
ვგაძნობ გულმართალ კენესას მშობლიურს.—
და მე ვიფიქრე: მიწის ძარღვებთან
თუ ვარ შეზრდილი როგორც ხევსური
სისხლის ძაბილი უნდა შესმოედეს
საკუთარ სურვილს რომ დავეუფლო:
„კრულ იყოს ორგულ ვაჟკაცის მკლავი
და გამძაფრებულ სისხლის მგომბელი“... და სხვ.

ასეთი გამოქთმები და იდეები, საკითხის ისეთი დასმა და გადაჭრა, რომელ-
საც კ. კალაძე იძლევა „ძაბილი აღმოსავლეთში“ სრულიადაც არ არის ჩვენი
პროლეტარულ-კლასიური თვალსაზრისი. ამ ლექსში კალაძეს უკვე დაკარგული
აქვს გრძობის, რევოლუციონური ტაქტიკის სახეღარი.

ასეთია კ. კალაძის შემოქმედების გადაზრების ხასიათი.
კ. კალაძის უკანასკნელი მხატვრული ფაქტები („მებრძოლი“; „მებრძოლის
ლექსი“ და სხვ.) იძლევა მის იმედს, რომ მან უკვე განვლო გადაზრების დეკა-
ვარდების პერიოდი და მტკიცე, გამართულ პროლეტარულ-კლასიურ თვალსაზ-
რისს გზაზე გამოვიდა.

„მებრძოლის ლექსში“ კ. კალაძე უკვე იძლევა რევოლუციონური სულით,
ვაჟღენთილ პოეტის განწყობილებას:

„ებლა ამ გზებზე გაშლილებო,
თქვენში გადმოველ,
თქვენშივე მინდა შთაფიკარგო,—ცუდათ შეცნობილს
მაღალ მგოსანის საღიმილოთ გატეხილ სახელს
ისევ სჯობს იყო უსახელო ვინმე მებრძოლი“.

ამ განწყობილებას კიდევ უფრო რელიგიურად იძლევა კ. კალაძე — „ამბანაგ
ლენინში“..

როგორია კ. კალაძის შემოქმედების ფორმალური მხარე?

კ. კალაძეს განსაკუთრებით აზასიათებს ერთი ძირითადი ხერხი. ეს ხერხი
არის—ლექსის შენების დროს სხვადასხვა კლანის არევა, ერთი დროს ან სივრცის
ფონის შეცვლა მოულოდნელათ ძეოარეთი ან და, პარალელურად იძლევა რამო-
დენიმე პერიოდს. ასეთი ხერხით აშენებს ის თავის ლექსების უმეტესობას.

ყველაზე უფრო ნათლად ეს ხერხი მოსჩანს საპროგრამო ლექსში: „ერთი
საუბარი“:

„ისე,
საქართველო,
ხომ ხედავ შენდება,
მტკვარიც ხომ
ველავ ნაქებ ხელობის ყოფილა.—
ტფილისის ცაზე
ელვებათ აენთო
და შორი საყანე ველები მოსილა...
...ხომ გახსოვს,
ბალდადის მთებში ხომ გაზრდილხარ,
სიმინდის ყანებში
გივლია ფებშიშველს,—
მო...ერთი
ქართულად სთქვი რამე
თუ შესძლო,—
და სანაძლოდ
თან ჩამოყვეი ლექსს“.



სხენებულ ლექსის ამ ნაწივეტში მოცემულია ორი დროის პლანი (წარსულში და თანამედროვე) და სხვადასხვა სივრცე (ტფილისი და შორი საყანე ველები) მათ ერთმანეთთან აკავშირებს პოეტის სურვილი: ესაუბროს „ერთად ერთ ჯანიერ პოეტს“ (ნაიაკოვსკის).

კ. კალაძის ლექსებს, აგრეთვე, უსათუოდ ახასიათებს დინამიკა, პოეტი ფართე და სწრაფი მოძრაობით ანეითარებს ლექსს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „მოვდივართ“, „საპირველმანისო“ და „ქორდი“.

კ. კალაძე ამასთანავე ფართედ ხმარობს ლექსის გაშლაში სასაუბრო, თბრობითი ეანრის, ეს ეანრი მას მეტად ეხერხება. მისი მოხმარებით ის მნიშვნელოვანად აფართოებს ლექსის შთაბეჭდილებას, უწყობს ხელს ლექსის დაახლოებას მკითხველ მასსათან.

„ტფილისი“, პირველი სტრიქონიდანვე ასეთი თბრობითი ეანრით იწყება:

„მე ეხლა ვდარდობ, რომ ამბავი ლექსად დავიწყე.—
სრულიად არ მსურს პოეტების რიცხვში ჩაწერა...“

მე მათ უთუოდ დაურიგებ ფიქვის ჩონგურებს,
რომ უფრო მაგრად
შემოსძახონ: ი დელა, დელა“. და სხვა.

კ. კალაძე დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ თავის ლექსის მატერული შინაარსი ქართული ლექსიკონის, ქართული კოლორიტის და სახეების საშუალებით მოვეცეს.—აქედან კი ის უფრო მეტად არჩევს ხალხურ ბევრათ, „მაგარ“ სიტყვებს; ის ამ სიტყვებს სათანადოთ იმორჩილებს, ამიტომ ის ლექსში იძლევა ჩამოკვეთილ სტრიქონებს და შინაარს.—ამიტომვე, მის ლექსებში ჩვეულებრივით „ბევრი შინაარსია“.

აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ კ. კალაძე დიდათ არის დავალებული სიმბოლიზმისაგან: საგნის მისტიური მოცემა. მისტიურ-დეკადენტური სიტყვების და სახეების ხშირად ხმარება, თემის მეტის-მეტო აბსტრაქტიული განეითარება,—რაც ახასიათებს კ. კალაძეს, სათავეებს უსათუოდ სიმბოლიზმისაგან ღებულობს.

სიმბოლიზმისაგანვე ისეხსა კ. კალაძემ წინადადებათა შორის მიულოდნელი და ხშირად ძლიერ დამორეზული გადასვლები,—რაც ლექსს ძნელად გასაგებს ხდის; აგრეთვე ხშირად დავირეების და კითხვის ნიშნის, შრავალ წერტილის, წერტილმომის და ტირუს ხმარებაც სიმბოლიზმის გავლენას უნდა მიეწეროს...

პირობები და საშუალებები კ. კალაძეს წინსვლისათვის საკმარ აქვს. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავის მატერულ ძიებაში კ. კალაძეს უყვარს ზიგზაგებები და „სარისკო“ გზებით სიარული, რის გამოც ხშირად ჰკარგავს კომპასს, არ მიდის იმ მხრით საითაც საკიროა. ამაზე კი მას სერიოზული დაფიქრება მართებს.

კ. კალაძეს უფრო მეტი მომავალში აქვს გასაკეთებელი...

ღავით რონდელი

ლიტერატურულ რევოლიუციის საზღვრებთან

ქართული მწერლობის ლიტერატურული ცხოვრებას შემოქმედებითი უძალობა ახასიათებს. ამას გვიმტკიცებს ის გაურკვეველი მდგომარეობა და შემოქმედებითი ჩიხი, რომელშიდაც მოქცეულია ქართული მწერლობა. ეს დაგუბებული ატმოსფერო ლიტერატურულ უსიცოცხლობისა ქართულ მწერლობაში, მისი ერთგვარი კონსერვატიული ბუნების მაჩვენებელია. საქართველოს გასაბჭოების მერვე წელში გადავდივართ და რევოლიუციის წინა დროინდელ ქართული ძველი მწერლობის დიდი ნაწილი, შემოქმედებითი „პირველი კანის“ გამოცვლას ეხლა იწყებს. მატერული პოლიტიკის დარგში მომუშავე



ზოგი კრიტიკოსი ასეთ მდგომარეობას მწერლების სურვილის უქონლობით ხსნის და მისზე გარეგან დაწოლას ახდენს. ცხადია, ქართულ მწერლობაში ეხლაც მოიძებნება შინაური ემიგრანტული განწყობილების მქონე ფენები. თუ შეიძლება დავარქვათ ყოველი მწერლები, რომელნიც „მრავალმნიშვნელოვანათ“ სდუმან და თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ხელაპირზე წაოსულის ჩრდილებად გვევლინებიან. კიდევ არის ძველი მწერლობის ნაწილი, რომელსაც სურვილი აქვს ახალ ცხოვრების მასალებზე შემოქმედებითი მუშაობის, მაგრამ ეს სურვილი ზოგ შემთხვევაში ახალი ბურჟუაზიის, ანტი-საბჭოთა, მეშინურ განწყობილების შინაარს ატარებს.

ჯერ კიდევ მწერალთა პირველი ყრილობა დეკლარატიულად დადგა საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიურ პლატფორმაზე. მას შემდეგ გავიდა ორი წელი და ქართულ მწერლობის მხატვრულ პროდუქციაში ეს დეკლარატიული განცხადება ქალაქზე დარჩა და შემოქმედებით მუშაობაში ნაკლები და ცუდი განსახიერება იპოვა. ამ წლების განმავლობაში ქართული ძველი მწერლობის რიგებში ადგილი ჰქონდა, ერთგვარ დაცემულობის განწყობილებას, რომელიც ესენინის ცხოვრების და შემოქმედების ეკვივალენტი იყო, — ზოგს ეშინოდა „სადემო ჩაძაღლების“ და ზოგი „გაგიყვას ამჯობინებდა თუ გაუთავდებოდა სიტყვის მადანი“. მაგრამ ჩვენ ვხედავთ. რომ ქართული მწერლობა პრაქტიკულ თანამშრომლობას ეწევა საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შემოქმედებითი მონაცემების მხრივ კი, ჯერ კიდევ არ გასცილებია ძველი ცხოვრებით გამოქვედილ ლიტერატურულ ტრადიციებს და რუტინას.

ერთის მხრივ ძველი მწერლობის საგრძნობი ნაწილი, რომელიც სხვა და სხვა შემოსავლელ გზებით კიდევ თავის ტრადიციულ შეხედულებებს და გემოვნებას იცავს. — მეორეს მხრივ, კრიტიკის მოთხოვნილება, რომ ქართული მწერლობა შეიქმნეს თანამედროვეობის მხატვრული ამსახველი და ეპოქის სოციალური დაკვეთის შემსრულებელი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს კრიტიკა სასარგებლო არ იყოს, მაგრამ საქმე მასში მდგომარეობს, რომ არსებულ სხვა და სხვა ლიტერატურულ შეხედულებისა და მიმართებათა ურთი-ერთ დამოკიდებულებაში პოზიციების გამსაზღვრელი გზა და ძირითადი იდეოლოგიურ-მხატვრული ტენდენციები სათანადოთ არ არის გამოვლენილი თეორიულ კრიტიკულ აზრის მიერ. აქ თითქოს ადგილი აქვს ერთგვარ თავშეკავებას, თუ შეიძლება ითქვას ლიტერატურულ მოთმინებას, თუ უძლეობას, რომლის გამოც ლიტერატურულ ცხოვრებაში იდეოლოგიურა და მხატვრულად ბრძოლის არსებობა გაყინულ წერტილზე იმყოფება. კრიტიკის მიერ გასროლილი ისრები ზოგჯერ მისამართით არ ხედება და თუ ხედება, მიმღებში გამოხმაურებას არ იწვევს, ან სურვილი არ არის ამ გამოხმაურების.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ქართულ მწერლობაში არ იყოს თანამგზავრული მიმდინარეობა, მწერალთა ზოგიერთ ჯგუფების გულწრფელი სურვილი თანამედროვე რევოლუციონური ცხოვრების მხატვრული შემოქმედებითი ასახვისა. მაგრამ თანამგზავრ მწერლების დამახასია-



თებელი მოვლენა, მერყეობის ამპლიტუდის ხშირი ცვალებადობა, ზოგიერთი კუროზები და გადადგმულ ნაბიჯების უკანა გეზით მოტრიალება. ჯერ კიდევ არ გამოჩნეულა ნამდვილი და ქემარატივი თანამგზავრები, მაგრამ ფაქტია მწერალთა იდეოლოგიური დიფერენციაციის პროცესი, მემარჯვენე და მემარცხენე ფრთების განვითარება. თუმცა ეს მოვლენა ჯერ ჯერობით არ სცვლის მწერალთა ლიტერატურულ-იდეოლოგიურ ჩამორჩენილობის მდგომარეობას, რადგან ზოგიერთი მწერლები საბჭოთა იდეოლოგიაზე დადგომას, მხოლოდ კერძო საქმიანობით ფარგლავენ და შემოქმედების ახალი მოთხოვნილებების პასუხზე ისევ სდუმან და ერთგვარ ნილილისტურ განწყობილებასაც კი ამქლავებენ მხატვრული სიტყვის საჭიროების და გადახალისების საკითხში.

ჩვენი აზრით, ეს მდგომარეობა შეიძლება ახსნილ იქნას იმ ფაქტით, რომ ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა არსებობს საბჭოთა ცხოვროების თემატიურ არჩევანსა და ამ თემების და მასალების ძველი მეთოდებით მხატვრულ შესრულებას შორის. ეს გარემოება არის სწორედ მიზეზი, რომ ძველი მწერლობის „გიგანტური სიშები და წყირა“ ახალ მკითხველის მოთხოვნილებას ხმას ვერ უსწორებს და თანამედროვეობის დირექტივებს ნაწილობრავათაც ვერ ასრულებს. აქ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მხატვრული შემოქმედების კანონებიც, რომელიც გარკვეულად აპირობებს და აყალიბებს მწერლის შემოქმედებით განვითარებას ის ლიტერატურული ინტელიგენცია, რომელიც ათე წლების განმავლობაში პატრიოტულ და ნაციონალისტურ იდეოლოგიურ საზრდოზე არის აღზრდილი და ამის შესაბამისი მხატვრული მეთოდები აქვს გამოიმუშავებული, ცხადია ეხლანდელ თავის დონიდან ნახტომია ვერ შესძლებს, რაც „უკან არ უნდა ეგულეოდეს გზები“.

მართალია მწერლობის საუკეთესო ნაწილი შესამჩნევად დასცილდა ისტორიულად დაკარგულ ფენების იდეოლოგიას და საბჭოთა თანამგზავრულ ლიტერატურის აღმავალ ხაზზეც შესდგა, მაგრამ როგორც ვხედავთ, მიუხედავად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ფრთხილი სალიტერატურო პოლიტიკისა, მწერლობამ მაინც ვერ შესძლო პირველ ყრილობის თავის დეკლარატიულ დაპირებათა რეალური შესრულება.

ამ მოვლენის გამოსარკვევად საკითხის დასმა იმით უნდა დავიწყოთ, რომ სოციალური თემა და ლიტერატურული თემა ამ შემთხვევაში ერთ სიბრტყეში არ ძევეს ანუ ახალი სოციალური მასალა და მუშურ-გლეხური მკითხველის სოციალური დაკვეთა მხატვრულ განსახიერებას და რეალიზაციას ვერ პოულობს, ქართულ მწერლობის ამ ნაწილში. მისი ტრადიციული მხატვრული შემოქმედებითი საშუალებებით და მადგომით ქართულ მწერლობას არ ძალუძს დადგეს ამ მოთხოვნილებების სიმაღლეზე და პირდაპირი მხატვრული თქმით დასძლიოს ტრადიციული ესთეტიური სიმბოლიკა და დააკმაყოფილოს ახალი მკითხველის აქტიურ ემოციონალური მოთხოვნილება.

ჩვენ მხედველობიდან არ უშვებთ იმ გარემოებას, რომ ქართული მწერლობის ამ ნაწილის კონსერვატიულ ემოციებს და საეჭვო იდეურ



მარავს თავისი მკითხველი და „მოპოვდნე მომხმარებელი“ არა დეს. ეს არის ქართული წვრილ-ბურჟუაზიულ ფენების და ობივატე-ლურ „სასუფეველის“ მოყვარულ „უენებელ“ პატრიოტული ოჯახე-ბის „სუფთა“ აუდიტორია, რომელიც ჯერ კიდევ, პოტენციისა რა-საკვირველია, ალვიებს უკმაყოფილობის გრძობობას ახალ ცხოვრე-ბისადმი და ამ თავის სურვილის დაკმაყოფილებას ცდილობს ერთ-გვარი სენტიმენტალური ვამალიზიანებლებით. ამ უბადრუკ ფუნქციის ასრულებს ქართული მწერლობის ზემოსენებული ნაწილი და ამით მას, ცხადია, თავისი მოხმარებითი ეკვივალენტი მოეპოვება. ამ მდგო-მარებას ითვალისწინებს ჩვენი კრიტიკა და საჭირო იდეოლოგიურ-ლიტერატურულ ბრძოლას აწარმოებს ამ აშკარა რეაქციონურ და ანტი-საბჭოთა მოვლენის წინააღმდეგ, რათა შესუსტებულ და უკა-ნასკნელ ანგარიშში აღმოთხვრილ იქნეს იდეოლოგიურათ მავნე მხატ-ვრული პროდუქციის არსებული და შესაძლებელი გავლენა სოცია-ლურად პროგრესიულ მკითხველ ფენებზე. მაგრამ როდესაც ჩვენი კლასიური კრიტიკა და მხილება არაერთაზრ მნიშვნელოვან გამოძა-ხილს და ორგანიულ მხატვრულ შემოქმედებით გამოვლენას არ პოუ-ლობს ლიტერატურულ ცხოვრებაში, მაშინ პირდაპირ და აშკარად უნდა დავსვათ კითხვა, შესაძლებელია თუ არა ამ ძველი მწერლო-ბის მხტვრული თემის და თანამედროვეობის სოციალური თემის შე-თავსება და მორგება მთლიან შემოქმედებით სიბრტყეში, რომელიც აუცილებელი პარობაა ახალ საზოგადოებრიობის თვალსაზრისით გამა-რთლებულ მხატვრულ ფაქტის მისაღებად და საერთოდ მხატვრული შემოქმედების კანონების თვალსაზრისითაც. ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი შეთავსება ქართული მწერლობის ამ ნაწილში, არ შეიძლება მოხდეს, რადგან ძველი ლიტერატურის მორფოლოგიური მუხის შტოები გა-დაზრდილი არიან ძველ, უქუქცეულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყო-ბასთან და არ შეიძლება, რომ, ამ ხემ შესძლოს ახალი, მუშათა სა-ზოგადოებრივობის შესაბამისი მხატვრული „კვირტების გამოხსნა“.

აქ გარკვეულად და პირდაპირ მეორე პასუხა არსებობს, რომ ახალი ცხოვრების მისაღის დაგროვებას, მის თემატიურ საზღვრების და ძირითადათ ახალ მხატვრულ პერსპექტივების გამორკვევას შეს-ძლებს ის ლიტერატურა რომელიც უშუალოდ გამოდის პროლეტარუ-ლი საზოგადოებრივობიდან და მისი იდეოლოგიური მსოფლხედვით უყურებს სამყაროს და მიმდინარე სოციალურ ცხოვრებას. ეს არის პროლეტარული ლიტერატურა, რომელიც დღითი დღე რაოდენობითად და თვისობრივად იზრდება და თავის შემოქმედებითი გზებით მიიმა-რთება ისტორიულად დაკისრებულ იდეურ ჰეგემონიის მოსაპოებლათ.

ჩვენ განზრახვა არა გვაქვს, რომ ეს მოსაზრება გავრცელდეს ქა-რთული მწერლობის ყველა ფენებზე. ჩვენ აღვნიშნავთ და მიუთითებთ, მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ერთგვარი ლიტერატურულ-სამწერ-ლო „ავტორიტეტი“ სარგებლობს ზოგიერთ წრეებში და თავის იდე-ურ-მხატვრულ ჩამორჩენილობას, — დეკლარატიულ განცხადებით ფარავს. ქართულ მწერლობაში აშკარაა თანამგზავრული გამო-რკვევის ტენდენციები, მაგრამ ეს მოვლენა უმთარესათ ახასიათებს

ქართული არაპროლეტარული მწერლობის იმ ფენებს, რომელთა შემოქმედებითი მუშაობა საქართველოს გასაბჭოების შემდგომ წყნარ ეკუთვნის.

„მემარცხენე ფრონტით“ წოდებულ ლიტერატურულ ჯგუფმა თავის ლიტერატურულ-იდეოლოგიურ განვითარებაში კურონული საფეხურები განვლო. — ლიტერატურული ეკლექტიზმი, წერილ-მურყუანულ ფენებზე ორიენტაციით აღმოცენებული აპოლიტაზმი და ნაპიდევილათ კი მემარჯვენე ტენდენციები. მაგრამ თავის ლიტერატურულ მუშაობის უკანასკნელ პერიოდში, — ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავთან დაკავშირებით და პროლეტარულ კრიტიკის დახმარებით ამ ჯგუფის ნაწილში მოხდა იდეოლოგიური გარდატეხა და საბჭოთა იდეოლოგიურ პოზიციის გამომტლავება. ეს ჯგუფი ქართულ ლიტერატურის სინამდვილეში თავის მოწოდებათ სთელიდა მოეხდინა ქართული პოეზიის ფორმალური რეფორმა. ეს განხრახვა შეუსრულებელი დარჩა იმ გეგმით, როგორაც მათ ქონდათ დასახული თავის დეკლარაციებში. ერთ-ერთი მათი თეორეტიკოსი ბ. ელენტი კურნალ „მემარცხენეობაში“ სწერდა, რომ ისინი „იბრძვიან ფორმალურ და არა თემატურ რევოლიუციისათვის“. ამასთან დაკავშირებით მათ, პროლეტარული მწერლობის შემდეგ წამოაყენეს „ახალი ადამიანის“ მხატვრული ჩვენების ამოცანა. (ს. ჩიქოვანი „ახალი ყოფა და ახალი პოეზია“). მაგრამ ეს მით უმეტეს არ გამომტლავებულა მათ მხატვრულ პრაქტიკაში. ამის მიზეზი აგრეთვე, თანამედროვე სოციალურ თემატკის და მხატვრული განსახიერების ძველი მეთოდების შორის, არსებულ წინააღმდეგობაში უნდა ვეძიოთ რადგან ახალი მხატვრული ჯგუფის თუ სკოლის კრისტალიზაციის წინა ფაქტორია საზოგადოებრივ-იდეოლოგიური პოზიციის გამორკვევა, რომელიც ამ ჯგუფს არ ახასიათებდა და ეხლაც არ ახასიათებს.

მხატვრული შემოქმედების დანიშნულების გასამართლებლად აუცილებელ პირობას შეადგენს, რომ სოციალური თემის და მხატვრული თემის საზღვრები მხატვრულ შემოქმედების პროცესის მთლიან სიპრტყეში ვითარდებოდეს. ამისთვის პროლეტარულ მწერლობის მიერ წამოყენებული ლიტერატურული სწავლების და თვით კრიტიკის ლოზუნგის პრაქტიკულ განხორციელებისათვის ზრუნვა ზედმეტი არ იქნება. ყოველ შემთხვევაში ქართული მწერლობის იმ ფენებისთვის, რომელიც პრეტენზიას აცხადებს „ლიტერატურულ რევოლიუციონერობაზე“ პროლეტარიატის სოციალურ აღმშენებლობითი ეპოქის მასალის ცოდნისა და იდეოლოგიურ-პოლიტიკურ სწორი ორიენტაციის გარეშე, შეუძლებელი იქნება ქართული მწერლობის თანამგზავრულ ტენდენციების გაღრმავება და გაფართოება. ამით ის აიცილებს იმ კრიტიკულ მომენტებს, რომელიც ეხლა მის შემოქმედებით მუშაობას ახასიათებს.

კონკრეტულათ ქართული პოეზიის სინამდვილეში ძველ და ახალ მხატვრულ მეთოდების შორის ბრძოლას საფუძვლათ უდევს ამ ლიტერატურულ მიმართულებათა კუთვნილი სოციალური სარჩული და განსაზღვრული იდეოლოგიურ-პოლიტიკური შინაარსი. ქართული მწერლობის ლიტერატურულ მიმართულებებს შორის პროლეტარულ მწერ-



ლობას თავის იდეოლოგიურ-კლასიურ ორიენტაციით და მხატვრული ძიების ხასიათით მოწინავე ადგილი უკავია. ქართულ პოეზიის ლექს სალურ განვითარებაში „ცისფერ ყანწების“ ლექსი ყველაზე უფრო კონსერვატიულია და ლიტერატურულ ჩამორჩენილობის მაჩვენებელი. ტიციან ტაბიძის და ბაიოლო იაშვილის ლექსალობის წინააღმდეგ გამოვიდა ს. ჩიქოვანი და „მემარცხენე დრონი“, მაგრამ ამ ჯგუფის სოციალურ-იდეოლოგიურ გაუგნებლობის გამო სიმბოლისტების ღვესალობის მთავარი თვისება განუწყვეტელ ტრადიციაში დარჩა. ამ მოვალეობის შესრულება ქართულ პოეზიის ღვესალობის ძირითადი შეცვლა, ანუ ლიტერატურულ რევოლუციის პრაქტიკული ამოცანების განხორციელება ეკუთვნის პროლეტარულ მწერლობის, ისეთ ძლიერ და ენერგიულათ მომუშავე პოეტებს, როგორც არიან კ. ლორთქიფანიძე, ალ. შაშაშვილი, კ. კალაძე და სხვები, რომელთა უკანასკნელი შემოქმედებითი მუშაობის ხასიათი ამის პერსპექტივას იძლევა.

ალექსანდრა სულავა

იური ლიბედინსკის შემოქმედება

პროლეტარული ლიტერატურა იმყოფება ეხლა, განვითარების იმ ეტაპზე, როცა ღრმით და ფართოდ მუშავდება შემოქმედებითი მუშაობის საკითხები. კურსი აღებულია პროლეტარული რიალიზმ ს მიმართულებით, ფსიხოლოგიზმისაკენ, შემოქმედი კლასის—პროლეტარიატის საქმიანი, ცოცხალი ადამიანების ფსიხოლოგიური გზით ჩვენებასაკენ. კომუნისტური იდეების და ეპოქა კონკრეტული მოთხოვნისა და პათოსის, რეალისტური, მხატვრული ათვისებისაკენ, ცხოვრების ძირითადი და უკანასკლი მოვლენების სრულყოფილი ფართო მხატვრული ტილოებით მოცენისაკენ—ეს ამოცანები მუდამ შედიოდა პროლეტარული ლიტერატურის ვალდებულებაში, მაგრამ წყდებოდა შესაძლებლობის მიხედვით. ჰეგომონია არც დღეს არის მოპოებული, მაგრამ ვერცინ უარყოფს უკანასკნელ ხანებში, ამ მიმართულებით პროლეტარული ლიტერატურის იდეო-მხატვრული ზრდის დიდ სინამდვილეს, რომელსაც განსაკუთრებით ადგილი აქვს რუსეთში, სადაც პროლეტარული ლიტერატურის აქტივში, გარკვეულათ ირიცხება ისეთი ლიტერატურული ფაქტები, რომლებიც მთელ ლიტერატურულ მოვლენებს წინაწ და დაკავებულ პოზიციებს აპაგრებენ.

ასეთი ფაქტებია: ს. სემიონოვის „ნატალია ტარპოვა“, ფადეევის „დარბევა“ ტარასოვ-რადიონოვის „მძიმე ნახევები“ და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორცა თუ გინდ დ. ფურმანოვის, „ჩაპაევი“. „ჯანაყი“; გლადკოვის „ცემენტ“ და უკანასკნელათ ი. ლიბედინსკის ის მხატვრული პროდუქცია, რომელიც უკრ კიდევ იმ პერიოდში დაიწერა, როცა მკვეთრად დადგა საკითხი, პროლეტლიტერატურაში კონკრეტული თემატიკისაკენ მობრუნების.

ამ მხრივ კი, პროლეტარული პროზის სფეროში, შეიძლება თამამათ ითქვას, ი. ლიბედინსკი—პირველი ბელეტრისტიკა, რომელმაც ნამდვილათ და პირდაპირ შეგზო იმ კონკრეტული სახის მასალას—ადამიანებს, რევოლუციონურ სინამდვილის, სოციალურ ურთიერთობის, ფსიხოლოგიურ კოლიზიებს და მოვლენებს, რაც დღეს პროლეტლიტერატურის შემოქმედებითი განვითარების ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ი. ლიბედინსკი უკრ მხოლოდ ავტორია, რამოდენიმე ნაწარმოების, როგორცა „შვიდი დღე“ „ხვალ“ და „კომისარები“ თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ახალ რომანს („მობრუნება“) რომელიც ეხლახან იბეჭდება. მიუხედავად ამისა მისი სახელი შესულია პროლეტარულ ლიტერატურაში, როგორც მტკიცე ყალიბობის პროზაიკი კომუნისტი მხატვარის.



ი. ლიბედიანსკის შემოქმედების მთავარი საგანია: რევოლუცია და პარტიული რევოლუციონერი თანამედროვეობის სინამდვილე, რევოლუციის ცოცხალი მისი მებრძოლი იდეალები.

მისი შემოქმედების სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ მან ორიოდ ლიტერატურული ფაქტით შესძლო გამოვლინა—ეს პათოსი კომუნისტური საქმიანობის, პარტიული ადამიანების აქტივისტური შემოქმედების ბუნება, ჩვენი დღეების მამოძრავებელი ძალების ხასიათი და მისწრაფება.

ერთი მხრივ სტიქია, სიმშლეები, სამიწროებანი, ჭაობი, მეორე მხრივ გმირული თავგანწირულობა, უტყუარ რწმენა და ბრძოლის ხალისი.

ი. ლიბედიანსკის ეს ნაწარმოებები—ბრწყინვალე მხატვრული დოკუმენტებია, ბოლშევიკური პარტიის ისტორიის, მისი გმირული ბრძოლების და გამაგრების დღეების.

ლიბედიანსკის ნაწარმოებების მთავარი გმირები—კომუნისტებია. ჩვეულებრივი სამაზრო მასშტაბის და გაკანების მომუშავე პარტიულები. ტყუილ კურთუხვით დაძრვული სახის აქტივისტები. „შიდ დღეში“—სამაზროების წვერები, ჩვენი პასუხისმგებელი აზნაზები. პოლიტიკური სამართველის თავმჯდომარის მოადგილეები. „გელეში“—ტრესტის დირექტორები, სამაზროების ბიუროს წვერები, „კომისარებში“—კომისარები, სამხედრო პირები და ასე ცოცხალი ადამიანების, მთელი გაღერეია. აღებული და ნაჩვენები: ყოველდღიური მუშაობის სინამდვილეში, მოხაზული საერთო და ძირითადი მოქმედების ფუნქციონალობაში. ავტორის ყველა ნაწარმოებში ეს მანერა რელიეფურია და მისი შემოქმედების დამახასიათებელი და დადებითი თვისებია. ამ მხრივ იგი პირველი მხატვრია მასიურ გამოვლენაში, კომუნისტური პარტიის ცხოვრების, რევოლუციის ნაწილი, მამოძრავებელ ადამიანების და კონკრეტული ვითარების.

პილნიაკის და ერენბურგის ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში, როცა რევოლუციონერი სინამდვილის ათვისება ზედბოდა საეჭვო კუთხით, როცა მათ ეს—ცხოვრება „ესნოდათ“, როგორც გრანდიოზული პროვოკაცია (ერენბურგი) რევოლუცია, როგორც შეჩვიდმეტე საუკუნის რესტავრაცია (პილნიაკი) და ერთიანი სქესობრივი ექსცესი (ნიკიტინი), ი. ლიბედიანსკის მიერ მაშინ ასეთი ხასიათის ნაწარმოებების მოცემა დიდ გამარჯვებას უდრიდა და სრულიათ სამართლიანად ამხ. ნ. ბუხარინმა მის პირველ ნაწარმოებში „შიდი დღეში“ რევოლუციონერი ლიტერატურის „პირველი მერცხალი“ უწოდა.

ამით აიხსნება ის პოპულიარობა, რომელიც ლიბედიანსკიმ იმ თავითვე დაიქსახურა და პროლეტმწერალთა პირველ რიგებში დადგა.

მთელი თავისი შემოქმედებით ი. ლიბედიანსკი ორგანიზულად რევოლუციის საფუძველზეა, იგი ისეთი მხატვრია, რომელიც მოწოდებულია ცხოვრებაში, რევოლუციის მიერ, რომ მას იდეურად და მხატვრულად ემსახუროს. მხატვარი, რომელიც ორგანიზულად გრძნობს და ასრულებს ეპოქის სოციალურ კარნახს.

ამ მხრივ შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მისი პირველი და მნიშვნელოვანი ნაწარმოები „შიდი დღე“ დაწერილია ამ დაკვეთის გზით.

„შიდი დღე“, რომლის მხატვრული მოსახრება გაშლილია სამოქალაქო ომის, ს.მხედრო კომუნისმის კოლსალური პათოსის და კოლხიის ფონზე, იმ ხასიათის მხატვრული ტილოა, სადაც რეალისტურად გამოვეთილია პროცესი ადამიანთა კოლექტივის, კომუნისმისათვის თავდადებული მიძე ბრძოლების და თავგანწირვის.

არა ინტერეს მოკლებული ამ ნაწარმოებზე წარმოშობის მიზეზი, რომელზედაც აი რას სწორს თვითონ ავტორი: „მე წავიკითხე ბ. პილნიაკის „კარბთან“, იქ მოცემულია სამაზრო ქალაქი და კომუნისტები, რომლებიც ინტელიგენციასთან ერთად ლოთობენ—ვერას გაარჩე, რაც იქ ხდება, პილნიაკის წარმოდგენით ეს ქალაქი მხოლოდ საზოგადო სახლია, რომელიც ერთი წლის განმავლობაში არ გამობრბა, სიბინძურე, სიცივე და სხვა. წავიკითხე და აღმერა სურვილი, მტყუნებია თავათ სწორად და ნამდვილად ეს სინამდვილე, თან მეპასუხნა მისთვის. (ი. ლიბედიანსკი—„Учоба, творчествა и самкритика“). აი ის მიზეზი და მიზანი, რომელიც წამოყენებულია ამ ნაწარმოებში ი. ლიბედიანსკის მიერ გადასაკრეგლად და საჩვენებლად. და მან შესძლო „შიდი დღეში“ ეჩვენებია ნამდვილად და სწორად სამაზრო პარტიოგანიზაციის საქმიანობა, კომუნისტი პრაქტიკული მუშაობის, რევოლუციის ლაბორატორიის სინამდვილეში.



პროვინციალური პარტიული კოლექტივის გმირული ბრძოლა კომუნისტების საბჭოთა სინამდვილისთვის ობიექტულად სიძულვილით განწყობილ ქალაქში „ქუდაქური“ აჯანყების პირობებში.

თავისებური ხუსტი მანერით ნაწარმოებში მოხაზულია რევოლუციის ამ განსაზღვრული ეტაპის ნაცნობი და საყვარელი ტიპების პლეადა... კლექტიანი რევოლუციონერი, საზოგადოებრივი მოვალეობის ფანატიკი ახმ. რობიცი, რევოლუციონარი შვეყარბული ახალგაზრდა ინტელიგენტი კომუნისტი მარტინოვი, ძველი ჯარისკაცი მტკიცე. მებრძოლი, ბოლშევიკი სამხედროკომი—კარაჯოვს მუდამ ფოთხილი ჩეკისტი—გორნიბი და სხვა. „შვიდი დღე“ მთელი „კომეა ბოლშევიკებზე“ სადაც დიდი უშვალობით მოცემულია ფოლადის კოგორტის კომუნისტური გვარდიის, პატარა სამხრო მანშტაბით რევოლუციის გმირული კეთების საქმე.

თავისი პათოსით ნაწარმოები რომანტიკულია, მაგრამ საფუძველში უმთავრესად რეალისტური, რადგან გმირული პათოსი რევოლუციის პათოსია.

„შვიდი დღე“ დიდი სოციალოკრიტიკა და მხატვრული მნიშვნელობის ფაქტია (გ. გორბაჩოვი) და დიდი ხალხით იკითხება მუშურ-გლეხური ფართო მასების მიერ, გადათარგმნილია თოთხბეკ ენაზედაც და სხვ. ი. ლებდინსკის მეორე მნიშვნელოვანი ნაწარმოები „კომისარებია“, რომელიც არსებითად დაწერილია „ხვალის“ შემდეგ. „ხვალში“ კი მან განიკადა იდუალოკრიტიკა და მხატვრული რიგის დამატება, მიუხედავად იმისა, რომ აქაც გამოჩნდა კომუნისტური ყოფის საუკეთესო მცოდნე მხატვარი. სამხედრო კომუნისმის რომანტიკა, რომელიც „შვიდი დღეში“ ახასიათებდა ავტორს, ნებისა ახალ პირობებში ვერ გამოდგა სწორ შემოქმედებით მეთოდით, ამან შეუშალა მას ხელი, რომ სწორად შეეფასებინა ცხოვრების მიმდინარე პროცესი, სწორედ გაეგო ნების მნიშვნელობა და სოციალისტური აღმშენებლობის პერსპექტივა. „ხვალში“ ნაჩვენებია მხოლოდ საბჭოთა ახალი სინამდვილის უარყოფითი მხარეები. პარტიულების გამესანების მხარე და მათი გამოფინილების იმედი, გერმანიის რევოლუციის ფაქტით და სხვა. საერთოდ, როგორც თვითონ ავტორიც ფიქრობს „ხვალე“ იდუალოკრიტიკა და მხატვრულადაც სუსტი პრაქტიკაა.

მაგრამ „ხვალის“ შეცდომები გამოსწორებული და სწორი კლასიური აღლოთი დაყენებულია „კომისარებში“.

„კომისარებში“ აღებულია თემათ, სამხედრო კომუნისმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მომენტის პროცესი, რომელიც მტკივნეულად წამოაყვანა ავტორმა „ხვალეში“, მაგრამ სწორად ასახა და გადაჭრა „კომისარებში“. რომანის პერსონაჟები აქაც ისე, როგორც „შვიდი დღეში“ კომუნისტებია, სამოქალაქო ომებში გამომჩვედილი პრაქტიკით პარტიული აქტივის საშუალო ფენის კომუნისტები—მინდილოვი, ელასოვი, ზლიდნევი, სმირნოვი, არაოფიცი და სხვები.

თუ „შვიდი დღეში“ ნაჩვენებია პარტია მუშათა და გლეხთა ძალაუფლების გამაგრების ბრძოლაში, „კომისარებში“ კი შინაგანი გამაგრების და წმენდის მომენტი, ახალ ისტორიულ ეტაპში გადასვლისას.

ქვეანის ყოველდღიური აღმშენებლობითი პრობა, ნების სინამდვილე მტკივნეული პროცესი შეიქნა იმ ადამიანებისათვის, ვინც რამდენიმე წლის განმავლობაში შეეხარდა სამხედრო რომანტიკას. მაგრამ რევოლუციის სინამდვილე საკიროებს კონკრეტულად ამ პირობებს და მათსადავამე საკიროა ამ მოვლენასთან შეგება და გამაზივლება „ძაღვების შეოწმება, ძლიერის და საკიროს შერჩევა“ (Проверить как старое оружие: не заржавели ли, не дали ли трещины) აი ის ფონი რომელზედაც ვითარდება „კომისარების“ მხატვრული მოსახრება. კონფლიქტი, რომელიც პერიოდულად დგება ასეთ ისტორიულ გარდატეხის მომენტში, აქ გამოყენებულია მთელი რიგი ყოფითი ეპიზოდების და ტიპების სახით.

თუ „შვიდი დღეში“ ნაჩვენებია პარტიულ-რევოლუციონერი წრეების ფსიხოლოგია კონტრევოლუციისთან ბრძოლაში, „კომისარებში“ პარტიის ნებაზე გადასვლის მომენტი, შინაპარტიული მდომარეობის ფსიხოლოგია.

ი. ლებდინსკის შემოქმედების მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ ის რეალისტური და პროლეტარული მისწრაფებით ხატავს არა თუ მარტო აღებული სინამდვილის დადებით, არამედ უარყოფით მხარეებსაც. იგი არ ფარავს მტკივნეულ და აუცილებელ შეცდომებსაც, რომელიც თან ახლავს კომუნისტური საქმიანობის პროცესს. მაგრამ ამავე დროს მტკიცეთ მისამს კომუნისტური იდეების

საქმის პერსპექტივა. ამიტომ ყველგან ისე როგორც „შეიდ დღესი“ „კომისარებს ში“ გამარჯვებული იდევრობა, ორგანიზაციულობა, დარაზმულობა. მისრ/ვრ/დღესის პირველ პლანზე ყოველთვის კომუნისტური პარტიის და მისი მებრძოლ წევრების უზარაზნობის, გამარჯვების და რწმენის ძალაა წამოყენებული.

ფორმალურად ი. ლიბედინსკის ფაქტები არ ხასიათდება განსაკუთრებული მხწყვებით, განსაკუთრებული მხატვრული ოსტატობით, მაგრამ სამაგიეროთ ამ ფაქტების შინაგანი ძალა, თეატრული ენერგია, იმდენათ ძლიერია ომ ჩრდილავს ყოველგვარ მხატვრულ სიეწროვეს და იძლევა კომუნისტური მსოფლმზედველობის და მსოფლ-მეგრძობის მიმართულებით ჯანსაღ, ორგანიულ ემოციონალურ-იდეოლოგიურ ზეგავლენას.

ი. ლიბედინსკი არაა ჯერ სავსებით დასრულებული მხატვარი, ლიტერატურული მუშაობის ხუთი თუ ექვსი წელი პატარა დროა, წინ კი უფრო დიდი პერსპექტივა აქვს. მოსალოდნელია, რომ „შეიდ დღეს“ და „კომისარებს“ მიემატება კიდევ უფრო მონუმენტალური, მხატვრული ტილოები. ამის თავდება თუ გინდის ახალი ნაწარმოები „მობრუნება“, რომელიც ეხლა იმეცდება. ერთი რამ კი ამ თავითვე გარკვეულია. „გი ჩვენი დიდი ეპოქის ლიტერატურაში დარჩება, იმ სახელით, რამელიათუც უკვე დიდ ლიტერატურაში შესულია.

3. მახავარიანი

სიუჟეტინი სემები თუ რეალური მასალა*)

შემოქმედებითი მუშაობა ხელოვნების ყოველ დარგში კრიზისის განიცდის. ზოგან მეტს და ზოგან ნაკლებს. მაგრამ საერთო დიაგნოზი, როგორც საკრიზისო მდგომარეობა აუცილებლათ სწორი და მართებულია. არც კინემატოგრაფიას ასცდა ეს ბედი.

ყველასათვის ურყევი დებულებაა, რომ ჩვენი კინემატოგრაფია ჩიხში მოექცა. საქართველოში ამ ექვსი წლის გასწვრივ არ დაწერილა არც ერთი შენიშვნა, მით უმეტეს არც ერთი წერილი, რომელიც დადებითათ ახასიათებდეს სახკინმრეწვის პროდუქციას. მხოლოდ გ. ჯოჯიტიძეს ჰქონდა პროექტში ასეთი წერილი, და ასე იფიქრეთ, რომ იმანაც უარი განაცხადა მის რეალურ განხორციელებაზე. ამ მდგომარეობის ასახსნელად ბევრა სწორი და არა სწორი აზრი გამოითქვა. ამ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ერთი რამ ახასიათებდა, ის მეტად ზერეალურათ უდგებოდა საკითხის დასმას და მის გადაწყვეტას. შეუძლებელია ისე წარმოვიდგინოთ საქმე, თითქოს სახკინმრეწვის გაუზედლოება ამა თუ იმ მისი ხელმძღვანელის ბრალი იყო. თითქოს თუ პეტრეს მაგიერად სახკინმრეწვის მართველათ ივანე დადგება, ამით საქმე გამოსწორდება. რომ ეს სწორი მოსაზრება არ არის, თვით ცხოვრებამ დაგვანახა. ამ პატარა ხნის განმავლობაში, მგონი რამოდენჯერმე გამოიცივალა სახკინმრეწვის ხელმძღვანელები.

მოჰყვა თუ არა რაიმე რეალური ეფექტი ამ ცვლილებას? რასაკვირველია არა. ხელმძღვანელობის ერიამა სისტემამ და განსაკუთრებულმა პირებმა ჩვენ მოგვცა „ბელა“ „თავადის ასული მერი“ და მეორე ახალმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორიც ეკუთვნოდა, „მთის კანონი“ და სხვა.

ეხლახან კვლავ მოხდა ხელმძღვანელობის შეცვლა. ეს ხელმძღვანელობაც გამოიცივლება აუცილებლად, ვინაიდან ჩვენი ახალი ამ-

*) დისკუსიის წესით. რ. ე. დ.



ხანავები ისევ „ამოკებს და იბრაგიმ და გოდერძებს“ გვაჩვენებენ. მთელი უბედურება იმაშია, რომ ხელმძღვანელი ორგანიზაციული აპარატი იცვლება და „ბელების“ და „იბრაგიმ და გოდერძების“ ავტორები კი იქვე რჩებიან და როგორც ძველი „ზანდუკი“ სამახსოვროდ რჩება ძველის მოსავლანათ ახალ ხელმძღვანელ ამხანაგებს. კინემატოგრაფიულ ფაქტის მშენებელთა ახალ კადრების შექმნაშია საქმე და არა ივანეს მავიჯრად პეტრეს დაჯენაში ხელმძღვანელათ. საქმე „ზანდუკშია“. ეს სხვათა შორის.

კინემატოგრაფიაში მომუშავე კადრების საკითხს ჩვენ კვლავ დაუბრუნდებით ჩვენი თურნალის ფურცლებზე, თუ ამის საშუალება გვექნება, მაგრამ ერთი რამ ეხლაც მინდა აღვნიშნო. ამას წინათ ამხ. რუბინი „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე ირონიით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ თითქოს ჩვენ ამხანაგებში გამეფებული იყოს აზრი იმის შესახებ, რომ ხელოვნების ახალ ფაქტებს მხოლოდ ახალი ადამიანი, ჩვენი დროიდან გამოსული, „კომკავშირელი“ შექმნის. ირონია საზოგადოთ კარგი საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად უმართებულო. აზრი იმის შესახებ, რომ ახალ ხელოვნების ფაქტს მხოლოდ ახალი ადამიანი შექმნის და სხვა არაფერ, უდავო კეშმარიტებაა ყველასათვის ვინც ამ საკითხებზე ფიქრობს და მუშაობს. რა ჩვენი ბრალია თუ ზოგი ამხანაგი იმდენათ დატვირთულია პრაქტიკული მუშაობით, რომ ამ საკითხებშიც სათანადოთ ვერ ერკვევა. სახკინმრეწვის უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას ეს ახალი ხალხი არა ჰყავს, რომ იქ „კომკავშირლები“ არ არიან. რუბინის თეორია ახალი ამბავი არ არის. ამ თეორიამ პატარა როლი როდი ითამაშა სახკინმრეწვის გაბითურების საქმეში. მას დროზე უნდა მოეღოს ბოლო, თუ საქმის გამოსწორება გვინდა.

ამ შენიშვნაში მე მინდა დავაყენო მხოლოდ ერთი საკითხი. კინემატოგრაფიული ფაქტი—სურათი იქმნებოდა და ეხლაც იქმნება არა სპეციფიურ კინო-დრამატურგიულ პრინციპების მიხედვით, არამედ ის კონსტრუქციის მთავარ პრინციპებს იღებდა ლიტერატურულ-დრამატურგიულ რიგიდან. ამიტომ აუცილებელია მთელი რიგი ლიტერატურულ ანალოგიებისა როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ კინემატოგრაფიაზე, მთელი რიგი თერმინებისა, რომელნიც სრულიათ სწორი არიან ლიტერატურაში და რომელნიც ვერ აკმაყოფილებენ კინოგრაფიის*) მცნებათა გარკვევას,—მათი ხმარება სჯობია, ვიდრე ახალ სპეციფიურ კინემატოგრაფიულ მახინჯ თერმინების გამოგონება.

კინემატოგრაფიულ ფაქტის შექმნას წინ უძღვის ლიტერატურული პროცესი. ეს პროცესი მდგომარეობს გადასაღებ მასალის გვემის დასახვაში. თუ ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრულ კინემატოგრაფიას-

*ეს თერმინი ამხ. სუტირინს ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში ჩვენ პირველად მისგან გავიგონეთ ეს.

თან, წინასწარ მუშავდება თემა დასადგამ მასალისა, რასაც ლას ეძახიან*).

შემდგომ მუშავდება ლიბრეტო ან სააქტორო სცენარი და დაბოლოს სცენარისტი რეჟისორთან ერთად (უმეტეს შემთხვევაში) ამუშავებს დადგმის სამონტაჟო ფურცელს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ უკანასკნელ პროცესს (ე. ი. სამონტაჟო ფურცლის დამუშავებას), რომელშიაც კინემატოგრაფიულ კადრების საშუალებით მუშავდება სიუჟეტი, წინააღმდეგობარე პროცესები (თემა, ლიბრეტო, სააქტორო სცენარი) წარმოადგენენ წმინდან ლიტერატურულ პროცესებს. ამ საკითხების გარშემო ეს მოსახრებანი გამობატავენ ჩვენ პრინციპიალურ შეხედულებებს, ვგრედ წოდებულ მხატვრულ პროზის და პოეზიის შესახებაც.

რა ახასიათებს უმთავრესად ვგრედ წოდებულ მხატვრულ კინემატოგრაფიას? განსაკუთრებული შაბლონიური სიუჟეტი, რომელიც აშენებულია ან ოჯახურ ყოფის კოლიზიებზე, ან სიუვარულის პრობლემაზე, ცნობილ სამკუთხედზე—ქმარი, ცოლი, საყვარელი. აქ შესაძლებელია ათასი ვარიაცია: ერთ ქალს უყვარს ორი კაცი, ორ ვაჟს უყვარს ერთი ქალი, იყო ბედნიერი ოჯახი, გაჩნდა საყვარელი ან ქმარს გაუღდა ან ცოლს, ქმარი კვდება, ცოლმა არ იცის რა ქნას ქერივი დარჩეს თუ საყვარულს წაყვეს, ცოლი კვდება; ქმარი ამ მდგომარეობაში რჩება და ასე შემდეგ დაუსრულებლათ. ეს სიუჟეტური სქემები ყველასათვის ცნობილი არის და იყო. ამ შაბლონით აშენებულ სიუჟეტზე მუშაობა ყველაზე ადვილია, ვინაიდან ათასი წლებით მოდიან ეს ხაზები; ძველი ჩინეთის და ინდოეთის ლიტერატურა და თეატრიდან დაწყებული ეს მოტივები ცოცხალი არიან. ამ მოტივებზე სწერდა ჰომეროსი, რუსთაველი. ამ საკითხებზე სწერს ალიო მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნ. ჩაჩავა და ტიცვიან ტაბიძე. ცოტაოდენი განსხვავებით: რუსთაველი, ჰომეროსი და დანტე უფრო უკეთ, ჩიქოვანი მაშაშვილი და ტაბიძე უფრო ცუდათ.

ეს ხაზი ძველ ხელოსნებს გამართული ჰქონდათ ძლიერათ და კარგად, რადგან ყველა ეპოქები, რომელნიც ჩვენ წინ იყვნენ, ამ საკითხებით ასახრდობდნენ ლიტერატურას და საზოგადოთ მთელ ხელოვნებას. ჩვენი დროის პოეტები და მწერლები კი ამას (ხაზის გამართულობას) ვერ ახერხებენ, ვინაიდან ჩვენი ეპოქა სულ სხვას მოითხოვს. აქ ეფიროს ტალღები ვერ ამღვრებენ ძველ ქნარის სიმებს, ვინაიდან ტალღების სიძლიერე და სიგრძე სწყვეტს სიმებს და ამსხვრევს ამ სათუთ ინსტრუმენტს.

ამხანაგებო, საქმე იმაში არ არის, რომ ზელიმხანს ქალი წყალში გადააგდებინოთ.

ჩვენი ეპოქის რევოლიუციონური გაქანება, მისი გრანდიოზულობა და ნახტომი ვერ ჩაეტევა და არც ეტევა ძველ სიუჟეტოვან ფორ-

*) ჩვენის აზრით თემა და ფაბულა კინემატოგრაფიაში ერთი და იგივე მცნება არ არის. ამის შესახებ შემდეგ.



მებში. ეს ფორმები წინააღმდეგობაში იმყოფებიან ახალ მასალასთან, ამიტომ ისინი იმსხვრევიან. თუ როგორ უნდა იქნას გადმოცემული სიყვარულზე აგებული ურთიერთობა, თუ როგორ ფორმებში შეიძლება გადმოცემა ახლომელ ადამიანის სიკვდილის განცდის, ეს ყველასათვის აშკარაა და მაგალითი ლიტერატურაში და დრამატურგიაში ათი ათასობით მოგვეპოვება. მართალია ბრიკი, როდესაც ამას წინეთ „ახალ ლეფში“ სწერდა, რომ სიყვარულის გრძნობის ასახვა ლიტერატურულ და საზოგადოთ მხატვრულ ფორმებში ადვილი საქმეაო. ამ გრძნობის გამოსახატავად მოცემულია მთელი რიგი ცნობილ შტამების, მაგრამ აბა ერთი გვიხარით როგორი ეესტებით და მიმიკით გამოდის ამხანაგი სხდომიდან, რომელიც აღშფოთებულია უმრავლესობის მოქმედებით, ანდა ჩვენ ვიცითო — ამბობს ამხ. ბრიკი, — რამდენ ვარიანტებით შეიძლება ითქვას სიტყვა „მე შენ მიყვარხარ“ ან „მე შენ არ მიყვარხარ“, მაგრამ სრულებით უცნობია ვარიაციები, თუ როგორ უნდა იქნას წარმოთქმული ფრაზა „ადგილკომის სხდომას გახსნილათ ვაცხადებ“. ო. ბ-იკი ამ მაგალითებს სხვა კავშირით ხმარობს. მაგრამ ჩვენი აზრის დასამტკიცებლათაც ეს მოსაზრებანი მეტად მართებული არიან.

თანამედროვე ეპოქა, რეალური მასალა, კონკრეტ ცხოვრებაში შექმნილი კოლიზიები უფრო მნიშვნელოვანი არიან, ვიდრე ყველა ბითუმით და კერძოთ აღებული სიუჟეტური შაბლონები. თანამედროვე რეალურ მასალის გადმოცემა, ეგრეთ წოდებულ მხატვრულ სიუჟეტურ ფორმებში შეუძლებელია. საბჭოთა რევოლიუციონური ფაქტიური მასალა, უშუალოთ მოცემული უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე, ვიდრე მისი მხატვრულ ფორმებში გაფორმება.

ვერც ერთი ძველი რევოლიუციონერი სიმშვიდით ვერ უყურებს იმ საზიზღროებას, რომელსაც ჩვენ გვაჩვენებენ ეკრანებიდან ეგრედ წოდებულ რევოლიუციონურ სურათებში. ყველა ჰერკვემ მომუშავე ამხანაგი საზიზღროების გრძნობით იხსენიებს „ჰერკვემ მუშაობის“ ჩვენებას ეკრანიდან, რომელსაც ადვილი ჰქონდა ბარსკის „მეცხრე ზეირთში“.

სურათი გამართლებული და ძლიერი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არღვევს ოჯახურ და სასიყვარულო კოლიზიებს და იძლევა მასსების მოძრაობას, მათ აღშფოთებას და მათ გეგანტურ სვლას. ამიტომ არის გენაალური ეიზენშტეინის „პოტიომკინი“, ამიტომ არის უდიდესი გამარჯვება რევოლიუციონურ რეალურ მასალის — ეიზენშტეინის „ოქტომბერი“. ამ სურათებში არ არის აღებული ჩვეულებრივი შაბლონი, აქ მუშაობს მასა და ნივთები, მაქსიმალურათ, სინამდვილესთან დაახლოებით, ახალ ურთიერთობაში, ახალ უჩვეულო კოლიზიებში. ეს ახალი მასალა იწვევს ახალ საშუალებებს მათი გაფორმებისათვის და მეორეს მხრით ახალ ფორმის საშუალებით მასალა ლებულობს არა შაბლონურ საშუალებას გამოხატულებისა (Выразительность). ეიზენშტეინის „ოქტომბერი“ ტყვიის მურქვევლის სროლა, ისეთ ახალი რიტმიული მონტაჟის წესებით არის გაკეთებული, რომ თქვენ თითქოს უშუალოთ გესმოდეს ტყვიის ხმა. ვერც



ერთი ფსევდო-რევოლუციონური სურათი, რა გინდ კარგად უნდა იქნეს ის გაკეთებული, ისეთ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს თქვენზე, როგორც კადრები ესფიორ შუბის რევოლუციონურ ქრონიკიდან. აქ მასალა უშუალოდ მოქმედებს მაყურებელზე. მე ლენინზე ბევრა ლექსი წამიკითხავს, პოემებიც. მათ შორის ყველაზე ძლიერი და მშვენიერი მაიკოვსკის პოემა „ლენინი“ და პოლეტაევის ოთხი სტრიქონი, მაგრამ ჩემში სამუდამოთ დარჩა, და დაუფიქვარი იქნება ცოცხალი ილიჩი. ჩვენი ლენინი, როდესაც ის კატას ეთამაშება ესფიორ შუბის ქრონიკაში—«Великий путь». მე ვერ წარმომიდგენია ვერც ერთი გენიალური სურათი, გენიალურ მხატვრის მიერ დახატული (მე არ ვლაპარაკობ ისეთ „მხატვრებზე“, რომელთაც ბროდსკი ეკუთვნის), რომელსაც მეტი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლოს, ვიდრე ცოცხალ ილიჩის კადრს. ლენინის შესახებ ბევრი მხატვრული ნაწარმოები დაწერილა, მაგრამ არც ერთი მათგანი იმოდენ ინტერესს არ იწვევს მკითხველში, რამდენსაც უბრალო მოგონებანი მისი ახლობელ ამხანაგებისა, რომელნიც იძლევიან მშრალ ფაქტითურ მასალას ილიჩის შესახებ. შეიძლება მაგალითების გამრავლება. გაცილებით უფრო მეტის ინტერესით იკითხება შლიაპნიკოვის წგნება, მოგონებანი ოქტომბერზე, ვიდრე მთელი რიგი მხატვრულ ნაწარმოებებისა. როგორც არის ტარას როდინოვის—„თებერვალი“ და სხვა. მკითხველში გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას სთვებს ფორმანოვის „ჩაპაევი“. „შიატაეი“ ვიდრე გლადკოვის და სხვათა მხატვრული ნაწარმოებნი.

ეს იმიტომ რომ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამხ. ბრიკი*) „ყოველ გვარი სიუჟეტისმიერი აღნაგობა (построение) უთუოდ ერთგვარ ძალდატანებას იჩენს მასალაზე, რომლისაგანაც ამოირჩევის მხოლოდ იმას, რაც გამოადგება სიუჟეტის განსაზღვრატარებლათ და ამ ამორჩეულს ამავე მიზნით კვლავ ამახინჯებს“. ცხადია თანამედროვე მაყურებელს რეალური მასალა ურჩევნია ვიდრე სიმახინჯე.

იგივე აბსოლიუტურად შეიძლება ითქვას კინემატოგრაფიულ ფაქტებზე. სიუჟეტიანი მხატვრული კინემატოგრაფია ამახინჯებს დღევანდელ და წარსულ რევოლუციონურ რეალურ ფაქტების სილიადეს. ფაქტები, რომელშიაც თავის თავად არის მოცემული სილამაზე და სიმძლიერე, ჩვენამდე აღარ აღწევენ. რადგანაც ისინი მახინჯდებიან ეგრედ წოდებულ შემოქმედთა მიერ, და, რასაკვირველია, თუ კულტურულ შემოქმედის მიერ დამახინჯება თუ ჩვენში საზიზღროებას იწვევს, რა გრძნობა უნდა გამოიწვიოს ჩვენში უკულტურო ხალხის მიერ გაორკეცებულმა დამახინჯებამ და სწორედ ამ უკულტურო ხალხით არის სავსე ჩვენი საბჭინმრეწვი (გამონაკლისი ყველგან არის. ჩვენ ვიცით მაგალითად, რომ იქ მუშაობს წუწუნავა, კლემშოვი, მარჯანიშვილი, რომელთაც ჩვენ უკულტურობას ვერას ვხვით ვერ დავსწამებთ, მაგრამ ეს სრულიათ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ამხანაგები რაიმე მნიშვნელოვანს მოგვცემენ ჩვენ, თუ განაგრძობენ მუშაო-

*) იხ. ბრიკ. „ახალი ლეფი“ გვ. 48.



ბას ძველი არქაულ გზით). მე მგონი რომ ნათელია ის, თუ საზოგადოება ჩვენი კინემატოგრაფია რატომ მოექცა ჩიხში, ორიოდე ფილმი, გამონაკლისის გარდა („პოტიომკინი“ ოქტომბერი — ეიზენშტეინი) და კერძოთ რატომ ილუპება საბკინმრეწვი. თანამედროვე მაყურებლის დაკმაყოფილება ძველი მასალით და მის შაბლონიურ გაფორმებით შეუძლებელია.

თუ ჩვენ გვინდა საბკინმრეწვის გადარჩენა დალუპვისაგან, ის უნდა მობრუნდეს თანამედროვე რეალურ მასალისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოგონება დარჩება საბკინმრეწვის მაგივრად და ისიც „წითელ ეშმაკუნებისა“.

გ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ი. გრიშაშვილი. — „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“. სახელგამი 1928 წ. გვ. — 256 ფ. 2 მ. 50კ.

ლიტერატურული საზოგადოება კარგად იცნობს ი. გრიშაშვილის გულის „მურაზს“ ამიტომ მასზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ: პოეტმა სცადა განაპირებოდა ძველი ტფილისის რომანტიკას (იხ. „დუდუკის საარი ჭარს ალარ ზოაკეს“ 1925 წ.), მაგრამ ორმა სოციალურ და ფსიქოლოგიური მიზეზების გამო ვერ შესძლო, შემოქმედებით კრიზისში მოექცა და თავისი შემოქმედებითი უნარი „არქეოლოგიაში“ გადაიტანა (იხ. „სოლ, გოშაძე“ და სარეცენზიო ფაქტი, თუმცა არც წინად იყო ძალზე დაშორებული შემოქმედების ამ ეანის (იხ. „საიათნავა“). გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მისი „გულის მურაზი“ მონოკრატიებშიც პირველ პლანზე იჭრება და ობიექტიურად აგრძელებს თავის „ტრადიციულ“ ხაზს. სამწუხაროდ რეცენზიის ფარგლები არ იძლევა შესაძლებლობას რათა ყოველ მხრივად და დეტალურად შევაფასოთ სარეცენზიო მონოგრაფია, ისე კი ვცდებით საერთო შტრიხებში მოვხაზოთ მისი სოციალურ-ლიტერატურული ღირებულება.

უსათუოდ სამართლიანი იყო ტიციან ტაბიძის შენიშვნა, როდესაც ვარაჩოლელი — „სომხეთის, აზერბ.იჯანის და აღმოსავლეთ საქართველოს რასიულ ნაღლეკად“ განსაზღვრა. ამ რასიულმა ნაღლეკმა, ამ ეტნოგრაფიულმა ელემენტმა ისტორიულად (მე 18 და 19 საუკ.) ქართულ ხელოვნებას, განსაკუთრებით კი ქართულ მწერლობას სათანადო უარყოფითი დაღი დაასო და ნაწილობრივ დღესაც მოშემედა: რესპუბლიკის აკადემიური თეატრი ჯერ კიდევ „ჯიგრიან კინტოების“ კორტუმების რიტმიულ რხევას და ავღაბრულ გარგონის (გრიშაშვილი ამ გარგონს „ქალაქურ ენას“ უწოდებს და მის რესტავრაციას მოითხოვს) ნიშნის ქვეშ მიიშრთება. გრიშაშვილი მოცემულ მონოგრაფიაში „ისტორიკო-ლიტერატურულ მასალასთან“ სუბიექტიურ-რომანტიული მიდგომით ნახსენებ „ეტნოგრაფიულ ელემენტს“ ავეთილშობილებს.

ბოგემა ისტორიულად „безмятежного ничего неделанья“-ს დიდი მოყვარული იყო, მისი ყოფითი და ფსიქო-იდეოლოგიური ფიზონომია შემდეგით ისაზღვრებოდა: ანარქიული ფსიქიკა, ამორალიზმი, მტკიცე საარსებო საშუალებათა უქონლობა, ხელოვნების პრაქტიკის სინამდვილეზე, სოციალ-პოლიტიკური პროტესტი ცხოვრების მშვიანურ ფორმების წინააღმდეგ (მაგ. პეტრიუს ბორჯელი, ვერა და ბერტო) და სხვ. ამითი იმის თქმა გვსურს, რომ ი. გრიშაშვილს თავის ნაშრომისათვის „...ლიტ. ბოგემა“ არ უნდა დაერქვია, ვინაიდან მართლ „ლოთობა“ და ძაბილი: „ლამახების პრეზიდენტო“, არ განსაზღვრავს ლიტ. ბოგემას. ბოგემას ახასიათებს ფორმის კულტივ: თითქმის ყოველი ბოგემა ამა. დაწილის სწორი შენიშვნა-თ „ლიტერატურული იუველირია (მაგ. კარკო, დელტეი, პოლ მარანი და სხვ.) ბოგემა „დასაშვებს და დაუშვებელს ანგარიშს როდი უწევს, (მაგ. ს.



ესენი) მისი ფსიქიკა ამორალურია. მართალია ბოგემა დეკლასიური საზოგადოებრივი ჯგუფია, მასში სხვადასხვა კლასების და სოციალურ წრეების წარმომადგენლებია გაერთიანებული, მაგრამ საქმიანობის და მოქმედების ერთიანი ფსიქო-იდეოლოგიური შტამში შექნეს. გრიშაშვილის „ბოგემა“ კი ყოველივე ამას მოკლებულია. მისი ბოგემისთვის ამორალიზმი და სხვ. ბოგემის დამახასიათებელი ატრიბუტი წარმოუდგენელია. ვინაიდან ისინი „დარბაისელნი“ იყვნენ და მათ შემოქმედებით გამხირობე დადაქტიურ ელემენტს გარკვეულად მნიშვნელოვანი სიპრტყე ვაკვა. უსათუოდ გამართლებული იქნებოდა თუ ავტორი თავის ნარკვევს „რეფლექსის ყარაჩოლელი მწერლობას“ დააჯმევედა, ვინაიდან მონოკრაფიის მასალა და ხასიათი ამას მოითხოვდა.

თუ ი. გრიშაშვილმა თავისი „საიათნავა“ მე XVIII საუკუნის ფარგლებით შემორკალა, მოცემული მონოგრაფია მხოლოდ მე XIX საუკ. მეორე ნახევ. „ყარაჩოლელ მწერლებს“ (ყოფითი მომენტების ფონზე) ენება, რომელნიც პარალელურად ილია ჭავჭავაძის და აკაკის პერიოდში საქმიანობდენ ე. წ. დაბალ ფენებში. უსათუოდ დამახარებება ის, რომ აკადემიური მწერლობის (ლიტ. გენერლების) მიერ დაფარული „ყარაჩოლელი მწერლობა“ ავტორმა დავიწყებიდან გამოათრია (როგორც მასალა—ე. ლ.), რითაც საშუალება მიეცემა მონაველ მკვლევარს გაერკვეს იმ ფსიქო-იდეოლოგიურ დინებაში, რომელიც არსებობდა მე XIX საუკ. მე II ნახევრის, ე. წ. დაბალ ფენებში.

ხშირათ ერთ „გადახარაზე“ „გვითითებენ“. თითქოს ჩვენ ვზრუნავდეთ ლიტ. ფაქტის მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიურ მომენტზე და მის ფორმალურ შესრულების მხარეს ნაკლებ ყურადღებას ვაკეცვდეთ; ასეთ მოსახრებას „პროვოკციული“ საფუძველი უდევს. გადაებედით მონოგრაფიის მეთოდოლოგიურ მხარეს, როგორი ორიენტაციითაა შერჩეული და სისტემატიზაციაში მოყვანილი წინამდებარე ნაშრომის მასალა? გრიშაშვილი ცდილობს „გვიჩვენოს“ წარსულის გაცოცხლებას, ყარაჩოლელ წარსულს იდეურ თანაგრძობით იძლევა და მოსახრ რომანტიული ორეოლით. ცხადია, შეიძლება ყარაჩოლელ წარსულზე წყრა, მაგრამ არ უნდა იქნეს დავიწყებული კვლევითი პროცესის დროს მთავარი: აუცილებელია ამ „არქეოლოგიასთან“ ჩვენი დამოკიდებულების გათვალისწინება—განსახლერა, მით უმეტეს, მონოგრაფიის ავტორიც „პათიურად“ შენიშნავს რომ „მე თანამედროვე ადამიანი ვარ... ვისა სკლიან ლოპიანას დარდებისათვის“.. და სხვ. (გვ. 191). საჭიროა არა მონტორი წარსულის იდეალიზაცია, დიდი ჰლანით ჩვენება და რომანტიულ ბურჟუში გახვევა. როგორც ამას კატ. ი. გრიშაშვილი სჩადის, არამედ წარსულის ისტორიულ-კლასიურ პიზიზაში მოკემა, რაც გრიშაშვილისათვის მიუწოდებულია და აღბნა „პროზოლოკ“, ვინაიდან ასეთი მეთოდით მუშაობის დროს ხომ შეუძლებელია ლირიული შეტაკებები და სენტიმენტალური ქაილევი? ამ მხრივ „...ლიტ. ბოგემა“ მთლიანად გაუმართლებელია.

მოცემულ ნარკვევში (უკეთ მასალათა გრკვა) სრულებით არ სჩანს ანალიზის ნასანი, სოციოლოგიურს თავი დაეანებოთ. (ნუ აუხიროდებთ ავტორს). დიალექტიურ მიდგომის მაგიერ—ს უბიექტიურ რომანტიული მისვლა (გრიშაშვილის კვლევის მეთოდი). მოვლენებთან და ნივობებთან დიალექტიური მისვლა მოვლენის ევოლიუციაში შეფასებაში და მეორე მხრივ სოციალურ ცხოვრების სხვა მოვლენებთან მისი კავშირის განსახლერაში შდგომარეობას. გრიშაშვილი, ასე ესთქავთ სტატეკურაე, მექანიკურად უდგება ამ მეორე ხარისხივან ეტნოგრაფიულ მასალას.

მოსახრებათა განსამგრებლად ზოგიერთ ნიმუშებ; მოვიყვანთ: თავი — „ქალაქის ენა“, (გვ. 13-15) ეს თავისებური ფილოლოგიური ეტიუდი პარველ ნაწილში რამდენიმედ დადებითადაა მოცემული, ხოლო მეორეში—გაყალბებელი და გამარცხბული. ავტორი საჭიროდ სცნობს ე. წ. „ქალაქური ენის“ (ე. ი. ყარაჩოლელი ლექსიკონის, —ე. ლ | რეატკარაციას რაც რეატკიონურა... ამას რომ თავი დაეანებოთ ეწინააღმდეგება ენის ბუნების დიალექტიურ განუთარების კანონებს

ი. გრიშაშვილმა სახანდრების და მეშანერ პოეზიას „ქალაქური ხალხური პოეზია უწოდა; ტერიზნი გაუმართლებელი და ანტრებულად ნახმარი, უფრო მისანმეწონილი იქნებოდა „ყარაჩოლელი პოეზია“ უწოდებინა: ცნება უფრო კონკრეტული და მოგნებული, „ქალაქური ხალხური პოეზია“ ძალზე გაურკვეველი;



ბუნდოვანი ცნება, რომელიც აუცილებელიც ბრძნილების გახსნას საჭიროებს და ბუნდოვანად ამისა სხვადასხვა გვარად შეიძლება მისი ტრაქტოვაც.

მონოგრაფია რამოდენიმედ ანეკდოტური ელემენტითაა დატვირთული, ნახევრად ბელეტრისტული მანერითაა და ტფილისური (ე. ი. კრელი) ენით დაწერილი, ხასიათდება გამომთქმთა ლირიკული კონსტრუქციით და სხვ.

„ადამიანი-სტილია“... იტყვიან! თუ ეს მართალია პირდაპირ „...ლიტ. ბოქმის“ ავტორზეა ზედ გამოკრალი:

... მეგობრებო, მწერლებო, პოეტებო, ნუ დაუთმობთ ტფილისს არქელოგებს. უშუალოთ შევეცემეთ მას, ვისუნთქოთ მისი ჰაერით. ქუჩაბანდებით, ნანგრევებით და შეივყაროთ ისე, როგორც ჩვენი პირველი ლექსია... მე ტფილისი მიყვარს... ეს დასაწყისი და დასასრული ჩემი ობოლი არსებობისა“ (ნანგრევების, ქუჩაბანდების სურნელება!! კომენტარები ზედმეტია—ვ. ლ.).

გრიშაშვილის ლიტმოტივი: ავტორის ორგანიულ „მექვევ გრძნობად“ გამხდარი ფარაჩოლულ წარსულის, მონურ და ბნელ წარსულის ობიექტური აპოლოგია, ბოდიშს ვიხდით „... დატვირთული მეცნატური ყბედობით, რასაც არაკვალიფიკაციურ მკითხველში ფსიქო-იდეოლოგიურ გაბრუნის შეტანა შეუძლიან.

ჩვენ ისტორიის, ლიტერატურის ისტორიის, არც მე XIX საუკ. ყოფითი მოხაზვის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ მიმდინარე წლებში კი (5 წლიანი გვემა) იმის წინააღმდეგი ვართ, რომ საზეგლამი თავის ძირითად საწარმოო თანხებს იმავ ხარჯადღეს თუ რას ნიშნავს ქართულად „იეთიმ-გურჯი“, რა ხასიათს ატარებდა ფარაჩოლული პაექრობა: „ქერიე“, სჯობია თუ „ქალწული“ და სხვ. ჩვენ გვეგონა: დღეს უფრო აქტუალური საკითხებია გამოსატანი ფართო მკითხველ მასაში, ვიდრე „აქეთ ნუში, იქით ნუშის“ პოეზიის პოპულარიზაცია!

3. ლუარსამიძე.

P.S მონოგრაფიაში დამაკაყოფილებელია შემდეგი თავები: ყვენობა, ყარაგიონის თეატრი, ძველი ტფილისის ბიბლიოთეკა, ნაწილობრივ ამქრობა, რაც შეეხება „მოკალაქობრივ მოტივებს“ (90 წლების ხელოსან და მუშა მწერლებზე) საკითხი სწორად არაა დასმული და გადაჭრილი, რასაც ჩვენი ეჭვი, მორიგ №-ში სპეციალურად შევეხებით. ავტორის სერიოზული და უმეცურად უმეცურად დაჯიშული წარაჩოლულ ხასიათს და კოლორიტს, მდიდრადაა წარმოდგენილი მივიწყებულ, ფარაჩოლულ სიტყვების ლექსიკონი. წიგნს დართული აქვს რეპროდუქციები და ნოტები, კორექტურული შეცდომები თითქმის არა; წიგნი კულტურულადაა გამოცემული.

3. ლ.

თ. გლადკოვი—„ცემენტი“. რომანი. დ. შენგელაიას თარგმანი. გამოც. სახელგ. 1928 წ.

თ. გლადკოვი ნაყოფიერი პროლეტმწერალია.

რომლის ნაწარმოები „ცემენტი“ შესულია ლიტერატურაში, როგორც მონუმენტალური, დიდი ლიტერატურული მოვლენა.

რუსეთის ფართო მკითხველ მასებში თ. გლადკოვი დიდის პოპულარიობით სარგებლობს.

იგი პროლეტარიატის აღმშენებლობითი პერიოდის დასაწყისის, გმირული თავგანწირვის და ენტუზიაზმის თემატიკაა.

„ცემენტის“ მხატვრულ მასალათ გამოყენებულია ჩვენი ეპოქის სამეურნეო სინამდვილის ის დიდი და ძირითადი მნიშვნელობის პროცესი, რომელიც დაიწყო რუსეთში სამოქალაქო ომებში ბრწყინვალე გამარჯვებების მფორე დღიდან, პროცესი, რომელმაც ქვეყნის წინაშე წამოაყენა გრანდიოზული მუშაობის ამოცანები, სოციალისტური აღმშენებლობის და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების მიმართულებით.

ამ პერიოდის ტიტანიურა მისწრაფებათა, ინდუსტრიალური პათოსის ეპოპეიას, ღრმა და ფართო მხატვრულ ტილოს წარმოადგენს „ცემენტი“.



„ცემენტ“ ჩვენი ეპოქის, პირველი და სერიოზული პროლეტარული რომანია. პროლეტარიატის მხატვრული აზრის დიდი მიხვევა.

იგი იმდენათ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომ მასში არა თუ მარტო აღმშენებლობის პრობლემა და ქვეყნის ახალი გიგანტი ქარხნის აღდგენისათვის გამართულ ბრძოლის ათთვება, არამედ ახალი ყოფის მოვლენათა ფსიხოლოგიური რიგის ამოცანების დაყენება.

ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ რომანში ორი ცენტრია, ერთი და იგივე მოვლენის ორი დიდი მხარე, სადაც პირველი უშუალოთ ანეითარებს მეორეს, პირველია პრობლემა აღმშენებლობის, მეორე ახალი ოჯახური ურთიერთობის.

აქ მთავარია არა მარტო შემოქმედებითი მუშაობის ტენდენცია, გაპარტახებული ქარხნის აღდგენის საქმე, რომელიც მშრომელი მასების მიერ, ფორმირდნად დაბრუნებული წითელარმიელი გლეხ ჯემალოვის მეთაურობით ჩაიდება, არამედ ახალი კომუნისტური მსოფლმხედველობის, ახალ მსოფლმეტარსობათ და ინსტინქტათ ჩამოყალიბების ტენდენცია, ახალი სოციალური პიროვნების შექმნის ამოცანა.

მართალია, ავტორი ამ ამოცანას ვერ სწევებს, რამდენათ თვით ცხოვრებაში არაა იგი გადაწყვეტილი, მაგრამ აყენებს ახალი სოციალური ძვრების სისწორეში.

დრამატული კოლიზია გაშლილია, რომანის მთავარი გმირების გლეხის და დაშას ოჯახის და სიყვარულის ურთიერთობის ფონზე.

გლეხი საზოგადოებრივ საქმეში ახალი ადამიანია—კომუნისტი, მშენებელი მუშათა მასების მეთაური, მაგრამ პირადად ცხოვრების საკითხებში ჩამორჩენილი, გაორებული, იგი გაკვირვებულია თავისი მეოჯახე ცოლის—დაშას ცხოვრებაში მომხდარი იმ ცვლილებებით, რომელიც მოსვლისთანავე მტკივნეულათ იგრძნო.

დაშა ახალი ფორმაციის ქალის ტიპია, რომელიც უბრალო მეოჯახე დედა-კაციანად, საზოგადო მუშაეთა გადაიქცა. იგი კომუნისტაა, ახალი ცხოვრების მშენებლობაში აქტიური მონაწილე. მან უარყო სიყვარულის და ოჯახის ძველი პრინციპები, ქმარის „მონოპოლირია“ უფლებაც, რითაც „ბავშვით დააბნია“, გლეხი.

გლეხი ამდენმანს იცნობდა დაშას, როგორც საყუთარ ცოლს, და დედაკაცს, მაგრამ აწი იძულებულია უცქიროს როგორც ამბანაჯს და ადამიანს. დაშაც თავის მხრივ ამას თხოულობს მოსგან და გეობას მასში ამ წარსულ ნარჩუნს: „შენ კომუნისტი ხარ, მაგრამ შენ მაინც პირუტყვი ხარ—მიმართავ იგი გლეხს,—შენ ქალი მონათ გინდა, შენ გინდა, რომ ის შენი სათელაეი არსება იყოს მხოლოდ... შენ კარგი მეომარი ხარ, მაგრამ ცხოვრებაში ცუდი კომუნისტი“.

გლეხი მარცხდება დაშასთან ბრძოლაში, მაგრამ ბოლომდის არ რჩება „ცუდ“ კომუნისტათ, რადგან თავად აღიარებს შემდეგ ამ მოთხოვნილებების სიმართლეს.

რომანის მთელ ინტერესთა ამ კომფლიკტშია სწორედ და სრულიად მართალია ა. კოვანი, როდესაც „ცემენტის“ შესახებ ამბობს, რომ—ეს რომანი არა მსუბუქად საკითხავი წიგნია, არამედ დაწერილი მათთვის ვინც მხატვრულ ნაწარმოებში, ავტორთან ერთად ეძებს ჩვენი დროის მიერ წამოყენებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემების გადაჭრას“.

რევოლიუციის გამარჯვება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მოწესრიგებული იქნეს მფორეობა, ქარხანა არამედ ახალი ყოფა-ცხოვრება, რომ უნდა გამოიცივლოს გლეხის „ავთომყოფი უჯრედები“ და ფსიხოლოგია, ჩამოყალიბდეს მასში ახალი გარემონიული ადამიანი.

ავტორის მისწრაფებაც აქმთვენაა, მაგრამ გაუგებარია გლეხიდან დაშას დაცილების ამბავი, როცა უკანასკნელი აღიარებს მისი საზოგადოებრივ და სქესობრივი ცხოვრების თავისუფლებას.

გლადკოვის ამ რთულ რომანში გარდა ამისა, ნაჩვენებია აღებული სინამდვილის სხვა მრავალი საინტერესო აქტუალური მნიშვნელობის მხარეები. პარტიული ცხოვრების საყოფადლებო მომენტები, მუშათა მასების მოქვეყება და ფსიხოლოგია, მუშათა საზოგადოებრეობის ბრძოლა ბიუროკრატისმთან, მოწინავე მუშა-კომუნისტების ურთიერთობა მასებთან, „სპეცებთან“ დამოკიდებულება ინჟინერი კლეისტის (სახით) მათი პროლეტარიატთან დაახლოვების საქმე და სხვა.

რომანი დაწერილია დინჯი ეპიური თაროების მანერით, ფსიხოლოგიური და მხატვრული ძლიერებით და საცხებით ამართლებს იმ მიზანს, რომელიც ავტორს იმ თავითვე დაუსაბავს „ჩვენი ეპოქის ტიპური, ღრმა და ფართო ასახვა; თავისი ბრძოლებით, აღწერებლობით, მომავლისაკენ სწრაფებით“. წიგნი იკითხება დიდი ინტერესით, საჭიროა მას გაეცნოს ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრივობა.

რომანის ქართული თარგმანი უნაკლოა.

ალ. ხულაგა.

ლევ ესაკია. „ახალი მხატვრობა“. სახელგამი, ტფილისი, 1927 წ.

შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევაა ქართულ ენაზე მხატვრობის შესახებ ცალკე წიგნის გამოცემისა, ამიტომ საჭიროა მისი ობიექტურად განხილვა. მით უმეტეს რომ მას ახის „სახელგამის“ მარკა.

რუსულ ანდაზის თქმით „первым блин комом“—სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს ეს წიგნი. საქმე იმაშია, რომ მხატვრობაზე წერა თხოულობს ამ საგნის ყოველმხრივი და დიდიხნის შესწავლას. როგორც მაგალ., მათემატიკაზე არ შეიძლება წიგნის დაწერა თუ არ იცნობ ზედმიწევნით მათემატიკას, ისე მხატვრობაც. ზერეფე გაცნობა, წიგნების საშვალეებით ან თუ გინდ ზოგიერთ მუხუმების დათვლიერებით, არ იძლევა მხატვრობაზე წერის უფლებას. გადავიდეთ თვით წიგნზე. ვისთვის არის დაწერილი ეს წიგნი და რა მიზნებს ემსახურება იგი? ავტორი უძღვის მას „აკადემიის ახალგაზრდობას“ ე. ი. მოწაფეობას. ამის შემდეგ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ აკადემიის ახალგაზრდობა საცხებით მოკლებულია ქართულ ენაზე მხატვრობის განვითარების და ისტორიის სახელმძღვანელოს, ან წიგნს, მაშინ თავისთავად უნდა გოგულისხმობთ რომ ლ. ესაკიას წიგნს აქვს პრეტენზიები ამ სიცარელის შეესებაზე. ვნახოთ რამდენად განახორციელა ავტორმა თავისი მიზანი. ავტორს თავის ნაშრომის ცენტრად აღებული აქვს ნიკო ფიროსმანიშვილი და რომ „მოუნახოს ნიკო ფიროსმანიშვილს ადგილი მხატვრობაში“ იგი იღებს საფრანგეთის „ახალ მხატვრობას“, „150 წლის გასაქანზე“. უპირველესად, უნდა აღინიშნოს რომ ასეთი გრძელი დროის აღება მხოლოდ იმისათვის, რომ ფიროსმანიშვილს თავისი „ადგილი მიეცეს მხატვრობაში“ სრულიად უსაფუძვლოდ და ზედმეტად მიგვაჩნია. ავტორს ალბად სხვა რამ აწუხებს, მას სურს „აკადემიის ახალგაზრდობის“ თვალწინ გადაშალოს საფრანგეთის მხატვრობის განვითარება. მაგრამ უკანასკნელი ისეთი მდიდარია, საცხე სხვადასხვა ერთი მეთრის საწინააღმდეგო სკოლებით და მიმართულებებით, რომ ავტორს შეეძლო მხოლოდ სქემატიური და აბსტრაქტული განხილვა მისი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ამიტომ მორფოლოგიური ხაზი სუსტად არის გატარებული და აქა-იქ იგი ირღვევა კიდევაც, ან ვითარდება გაუმართლებელ ნაბტომებით და არა თანდათანობით. შემდეგ ავტორი აცხადებს რომ იგი უმთავრესად ეხება საკითხის ე. წ. პლასტიურ მხარეს „ხოლო მისი სოციალ-ეკონომიური ბაზისის ახსნა“ არ შედის მის წერილში და გეპირდება სხვაგან (სხვა წიგნში) ამის გაშუქებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამაში ავტორის დიდი შეცდომა. დღეს ჩვენ ისეთ ხანაში ვიმყოფებით, რომ ახალი წიგნის გამოშვება ზელოვნების რომელიმე დარგის, ამ შემთხვევაში მხატვრობის შესახებ, ყოვლად შეუძლებელია მხოლოდ მისი ერთი, „იმანენტური“ მხარის აღნიშვნით. ასეთი წიგნი დღევანდელ მკითხველს არავითარ შემთხვევაში არ დააკმაყოფილებს. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა სინამდვილეში ყოვლად შეუძლებელია არ აღინიშნოს სოციალოგიური განხილვა მხატვრობის განვითარების, რად-

3. „თუ რომ დელაკრუამ თავისი ანტიური ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში წახა...

„ისევე როგორც დავიდიმა—რომაულ პათოსში, ხოლო ენგრი იტალიურ აღორძინებაში ხედავდა“...

(გვ. 23 სტრ. 14 ზემოდან)

4. „...საგნის ფერი, როგორც ასეთი, თავისთავად არ არსებობს. ფერი იქმნება განათების სხვადასხვა კომბინაციებით. ერთი და იმავე საგანი იცვლის თავის ფერს, დღის სხვადასხვა დროს, იმათან დამოკიდებით, თუ როგორ მდგომარეობაში და ადგილზეა ის, სინათლის წყაროს მიმართ“ და სხვა ასე.

(გვ. 25. სტრ. 9 ზემოდან)

კიდევ ბევრი მოიძებნება ასეთი რამ, მაგრამ ესეც საკმარისია და კომენტაციებს არ საჭიროებს.

ავტორის უპრინციპობა იმაში სჩანს, რომ შეეხება თუ არა რომელიმე ახალ სკოლას, ყოველთვის აქედან იწყებს „ახალ მხატვრობას“ ჯერ კლასიციზმიდან (დავიდი), მერე რომანტიზმიდან (ვერიკო-დელაკრუა), შემდეგ იმპრესიონიზმიდან (მანე)... ასეთი ამბავი ყოველად დაუშვებელია და ვერაფერითაა მორფოლოგია მას ვერ გაუძლებს. მე-22 გვერდზე ავტორს ასეთ უპრინციპობის გამო აურევია ერთმანეთში რუსო, მილლე, კურბიე და კორო. როგორ შეიძლება ამ ჩამოთვლილ მხატვრების გაერთიანება „რეალისტების ახალ სკოლის“ სახელწოდებით. კორო რუსოსა—რომელმაც შექმნეს „განწყობილების პეიზაჟი“, ინტიმური პეიზაჟი, სადაური რეალისტები არიან? სულ სხვაა, მილლე—ეს სოფლური ცხოვრების განრისხტი, და კურბე რომ ნამდვილი რეალისტი, რომლის ცალკე გამოყოფა აუცილებლად საჭიროა, შემდეგ კურბეს კი არ ეძახდენ „ამ ნახირის მწყემსად“ არამედ თვითონ კურბე იძახოდა თავის ტილოების შესახებ: „C'est moi qui suis Courbet, berger de ce troupeau“ („ეს მე ვარ—კურბე, ამ ნახირის მწყემსი“).

არც ერთ სკოლის გარჩევას დროს არ არის მოყვანილი ქრონოლოგიური დატებით, ან სკოლის გამოსვლის, ან ამა თუ იმ საპროგრამო სურათის. ეს კი ასეთ წიგნისათვის დიდ ნაკლს წარმოადგენს. სკოლების დახასიათება მეტად არა პოპულარული და გაუგებარ ენით არის მოყვანილი, მაშინ როდესაც შეიძლებოდა ნაკლები, მაგრამ ვნკრეტული და გასაგები თქმით, ავტორს თავი დაეწვია ბევრი ლაპარაკისაგან, რომელიც უფრო მეტ გაუგებრობას ქმნის, ვიდრე გარკვევას ამა თუ იმ სკოლის პრინციპებში. მაგალ. რა საჭიროა იმპრესიონიზმზე ასე გაკვიანურებით ლაპარაკი, როდესაც შეიძლებოდა რამდენიმე სიტყვით თქმა რომ რეალისტებისაგან განსხვავებით, იმპრესიონიზმი ნივთის გადმოცემას კი არ იძლევა არამედ ნივთისაგან მიღებულ შთაბეჭდილების (impression) გადმოცემას. და ამ დებულების გამაგრება შეიძლებოდა არა მხოლოდ ე.დ. მანე თი, რომელიც როგორც ყოველი დამწყები, სხვა სკოლათა გავლენებისაგან მაინც არ არის განთავისუფლ-

3. „Если Делакруа и шел.. Свой античный мир на ближнем Востоке“.

«Как и Римский пафос Давида или преданность Энгра традициям итальянского Возрождения».

(стр. 19 стр. 4 снизу)

4. „Цвета предметов не существуют сами по себе, а создаются различными комбинациями освещения: один и тот же предмет может менять свою окраску в различные часы дня и при различном своем положении относительно источника света“ и т. д.

(стр. 31. стр. 7 снизу)

ბული, არამედ ისეთი წმინდა წყლის იმპრესიონისტებით როგორც იყვნენ კ. ლ. დ. მონე (ნიუთონის ასინილიაციის გარემოში) და კამილ პისსარო (ტრანსპარენტული პეიზაჟის პირველი შემქმნელი). იმპრესიონიზმის შედევრებს მონეს „არჟანტილის იასამანი“ (1873) და „რუანის ტაძრის“ ორი ვარიანტი (1897) წარმოადგენს. ავტორი არც კი იხსენიებს „პლენერის“ (plein-air) შექმნას, რომელზედაც გავლენა იქონიეს იაპონელებმა (კიონგა) და ინგლისელებმა (ტერნერ, კონსტებლ): პისსარო, რომელმაც შექმნა ქალაქის პლენერი, და რენუარი ნამდვილი იმპრესიონისტი-ფანრისტი), რომელმაც შექმნა პორტრეტული პლენერი. აგრეთვე არ არის აღნიშნული ის გავლენა, რომელიც იმპრესიონიზმმა იქონია პლაკატის და წიგნის ილიუსტრაციის შექმნა-განვითარებაზე. პუანტილიზმი, რომელიც დაიწყო 1880 წლებში იყო იმპრესიონიზმის უკიდურესობამდე მიყვანა: სურათი, როგორც განტიურ ფიგურას ახალ მხატვრობის როგორც იყო სეზანი. სეზანის შესახებაც ავტორის მიერ არის მოყვანილი არა სწორი შეხედულებანი, ავტორი სეზანს მიაწერს რაღაც „უნივერსალური, მსოფლიო გაქანების საკითხის გადაჭრას ტილოზე“ რაც სრულიად არ შეეფერება სეზანის შემოქმედებას. შემდეგ ავტორი ამბობს რი. სეზანმა „ჯერ შეუგნებლად დაიწყო, ხოლო შემდეგ მისი (შემოქმედების) თეორეტიულ გამაგრებას შეუდგაო“. პირველი მართალია, რაც შეეხება მეორეს, უნდა ითქვას რომ თვითონ სეზანმა არავითარი თეორეტიული შრომები არ დაგვიტოვა და არც სწერდა მათ. არსებობენ მხოლოდ მისი მეგობრის ემილ ბერნარის მოგონებანი სეზანზე და სეზანის მიერ მიწერილი წერილები იმავე ბერნარისადმი. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე იმაშია რომ პერცუვის ახრით სეზანი სიმბოლისტია და ამას თითქოს ჩვენი ავტორიც იზიარებს: „სეზანის ნოვატორობა“ ფორმის და ფერის გაშიშვლებაში“ გამოიხატაო. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. პერცუვი, და მასთან ერთად ესაკია, იზიარებს იმ აზრს რომ, რადგან სეზანის შემოქმედება „შურო რეალურია ვიდრე თვით რეალობა“ ამიტომ იგი სიმბოლისტიაო. სეზანს ყველაზე ნაკლებ მიეყრება სიმბოლისტობის იარღიკი. და არც ვან-გოგი და არც გოგენი სეზანის „გამაგრებლებდენი“ არ არიან, როგორც ეს გონია ავტორს. სეზანში იწყება კუბიზმი და არა სიმბოლიზმი. სეზანს აინტერესებს მხოლოდ ნივთის ფორმალური აგებულობა, მისი მონუმენტალობა. სეზანი წინააღმდეგ იმპრესიონისტებისა და სიმბოლისტებისა, ფერების კონტრასტებით იძლევა ნივთების ახალ ინტერპრეტაციას. ბერნარის თქმით, მისი „ოპტიკა უფრო ტყინში იმყოფება, ვიდრე თვალში“. იგი იძლევა არხიტექტორულ ჰარმონიას და დისონანსების ორკესტროვებას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სეზანმა პირველად წამოაყენა კონსტრუქციის მოთხოვნა. მანამდე ყოველი სურათის გაგრძელება შეიძლებოდა ჩარჩოს ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, სეზანს შეაქვს პირველად კონსტრუქცია. რომლის წყალობით სურათი ყოველმხრივ დამთავრებულია და მისი გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება. აქედან კონსტრუქციის მონუმენტალობა, ფორმების სკულპტურობა, ნივთის მოცულობის და წონის გადმოცემა. ამიტომ სეზანიდან სიმბოლიზმზე გადასვლა და არა კუბიზმზე ვერავითარ მორფოლოგიით არ მართლდება. სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს ავტორის მტკიცება, რომ „გოგენი ფორმაშიც (ე. ი. კიდევ სხვა რამეშიც!) სეზანიდან გამოდიოდა“. გოგენი, რომელიც იძლევა აღმოსავლურ დეკორატიულ სიმბრტყეს საყვებით ეწინააღმდეგება სეზანს, რომელიც სიმბრტყეს კი არ ეშობდა, არამედ სიღრმეს. აქვე უნდა აღინიშნოს ფაქტორი შევდომა, რომელიც დაშვებულია ავტორის მიერ 29 გვერდის



შენიშვნაში ხიროშიგეს „ტოკაიდა“-ს შესახებ. „ტოკაიდა“ მთა კი არ არის, ეს არის 53 სადგური კოტორიდან ტოკაომდე სანაპირო რკინის გზისა, რომლის ციკლი შექმნა იაპონელ მხატვარმა ხიროშიგემ 1835 წელში.

ვან-გოგზე ავტორი სრულიათ არ ამბობს. მაშინ როდესაც იგი თავის დინამიზმით და მოძრაობის ტილოზე გადმოკვივით, თითქმის ფუტურზიზმის წინამორბედად ითვლება. („ლამის კაფე“, „პეიზაჟი“ და სხვ.). ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი მატისზე. საკვირველია როგორ გამოჩნდა ავტორს ეს მხატვარი, მაშინ როდესაც დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ექსპრესიონიზმის დაწყებაში მატისი დიდი როლი უთამაშნია: ვ. ჰაუზენშტეინი პირდაპირ ასახელებს მატისს (შეიძლება პაულ კლე იყოს სეზანისტი) როგორც ამას გვიმტკიცებს ავტორი: „ეს სკოლაც თავის მორფოლოგიის გადასაბმელ საწყისებს აგრეთვე სეზანის შემოქმედებაში ხედავს“. ექსპრესიონიზმს მრავალი საწყისები აქვს და მათში სეზანზე ძლიერი გოგენ-მატისის საწყისი უნდა იყოს აღიარებული, მართალია ექსპრესიონიზმში მრავალი სკოლა და მიმართულება ხედება ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით რომ მისი თეორია 1910 წლიდან დღევანდლამდე კარგათ გარკვეული და დასაბუთებულია ყურნალ „Der Sturm“-ით. რომელსაც რედაქტორობს ჰერვარტ ვალდენი. ასე რომ რადლოვის ავტორიტეტის მოყვანა აქ საჭირო არ იყო.

სეზანიდან ავტორი პირდაპირ დადაიხმზე გადადის, ისიც ექსპრესიონიზმს განიხილვის შემდეგ. პირდაპირ გასაოცარია ასეთი „მორფოლოგია“ ავტორის. დადაიხმზე გადასვლა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ კუბიზმზე ერთი სიტყვაც არ იყო დაძრული, ჩვენის აზრით შესაძენვე „მორფოლოგიურ“ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. სეზანიდან პირდაპირ გამოყვანა დადაიხმისა უკუბიზმით ეს ნამდვილი არგვდარევა გახლავთ სკოლებისა. გროსის კლასიფიკაცია დადაიხტათ, არ იძლევა გროსის სრულ გაცნობას. დადაიხმი გროსისთვის მხოლოდ მოსაშაადებელი სტადია იყო. დადაიხმის უტოლინარობათ უნდა ჩაითვალოს ასეთი დებულება: „დადაიხმი ერთის მხრივ წარმოშობილია მხატვრულ ფორმალ განვითარების საპირობებით, მეორეს მხრივ (უმთავრესად) იდეოლოგიურად გამოფიტულ ახალგაზრდობის უმეთოდო ძიების ნაყოფია „დადაიხმი და „ფორმული განვითარება“? ან რა საერთო აქვს დადაიხმს „ძიებასთან“ თუნდაც „უმეთოდო“? შემდეგ რა მოსატანი იყო ვინკლმანის ციტატა ანტიურ ქვეყნის შესახებ დადაიხმის გარჩევის დროს? 41* მხატვრობა, რომლის მოღვაწეობა უმთავრესად თბილისში სწარმოებდა, არ არის ნათლად წარმოდგენილი, საერთოდ არც ერთი მხატვარის სახელი არ არის მოყვანილი არც 41*-იდან არც იტალიანურ ფუტურზიზმიდან, რომელსაც ავტორი რატომღაც „სამხედროს“ უწოდებს.

პიკასოს შემდეგ პერიზში და მერე ლევე—ასე აქვს წარმოდგენილი ავტორს, მაშინ როდესაც სწორი მორფოლოგია ასეთია: კუბიზმი, პურიზმი, სუპრემატიზმი და კონსტრუქტივიზმი. ლევე ავტორის მიერ კუბიზმის სისტემიდან გამოყოფილია, მაგრამ ლევე ისეთივე ნამდვილი კუბისტია, როგორც თვითონ პიკასო. მართალია, მან წამოაყენა 1917 წელს „მექანიკური ფლემენტი“ პრობლემა, მაგრამ მაინც კუბისტური სისტემის შინაგან ევოლუციას გვერდს არ უხვევს. ლევეს „მექანიკური ფლემენტი“ არის თეორია „ნივთის ეკვივალენტის“ მოცემისა. შემდეგ პურისტები არავეითარ „მუსიკალურ-ბგერითი სახის სურათებს“ არ იძლევიან, გამოდიან რა კუბიზმიდან. პურისტები ცდილობენ „დაწმენილი ფორმების“ მოცემას. სურათი,



როგორც „ემოციების მანქანა“, რომელიც იძლევა ნივთის ასე ვსთქვათ „მათემ-
ტიკურ ლირიზმს“. ნივთის ობიექტივიზაცია, მიღწეული მისი ორგანიული თავი-
სებების გადმოცემით. ამაში მდგომარეობს მოკლედ პურიზმის თეორია და
პრაქტიკა.

ოსკარ კოკოშკა, ნამდვილი ექსპრესიონისტი, რატომღაც სუპრემატიზმ-
ში არის მოათავსებული. თურმე კოკოშკა განირჩევა კანდინსკისაგან „წმინდა ინ-
დუსტრიალიზმით“ (გვ. 55). სუპრემატიზმი (მალევიჩი)—აბსტრაქტიული მხატვ-
რობაა გაშლილი სულ სხვა პლანში, ვიდრე აქნობამდე არსებული მხატვრობა.
მთავარი ფერები: შავი, წითელი და თეთრი. მთავარი ფორმები კვადრატი (აკტუ-
ალური ფორმა: ადამიანი) და რკალი (პასიური ფორმა: ბუნება). და მასთან არა-
ფერი არა აქვს საერთო კოკოშკას „ფერთი მოჩვენებებს“, ისევე როგორც კოკოშ-
კას—„წმინდა ინდუსტრიალიზმთან“.

„ახალი მხატვრობა საქართველოში იმპრესიონიზმით იწყება“, არსად არც
ერთ ქვეყანაში არ ყოფილა ამის მაგალითი, რომ იმპრესიონიზმით დაწყებულიყო
მხატვრობა. ამიტომ მოხდა რომ ავტორს რეალისტი გაბაშვილი „იმპრესიონიზ-
მის უდიდეს მხატვრათ“ მიაჩნია. მაგრამ ეს მართალი არ არის. ნამდვილი იმპრე-
სიონისტი იყო მოსე თოიძე. შემდეგ არავითარი პუნტელიზმი ქართულ მხატვ-
რობაში არ არსებობდა, მ. თოიძის „მთვარიანი ღამე“, სადაც მოცემულია პერლა-
მეტრის და საფირონის გამებები, ავტორს შეეძლოთ „პუნტელისტურად“ მიაჩ-
ნია. ვე სურათი, ისევე როგორც „ხეები ჩრდილოში“ და „სინათლე ტყეში“ საუკე-
თესო ნიმუშებია ქართულ იმპრესიონიზმისა; შავი ჩრდილი გადმოცემულია მუქი
იისფერით და მუქი მწვანე ფერით, ფრანგულ იმპრესიონიზმისავით.

ნიკო ფიროსმანიშვილზე ჯერ-ჯერობით საბოლოო სიტყვის თქმა შეუძლე-
ბელია. მრავალ კრიტიკოსს ვისთან არ შეუდარებია იგი, რუსსო, ჯოტო, გრეკო
და სხვ. ეზლა ლ. ესაკია ადარებს მას სეზანს. რა საბუთით? „ნიკოს მსგავსება,
როგორც მოვლენის, პოლ სეზანთან“ თურმე იქიდან გამომდინარეობს, რომ
„სეზანმაც არ იცოდა პირველად თავის შემოქმედების მთელი მიზნენლობა“ და
ნიკოსაც „შესძლებოდა მხატვრობაში ახალი სიტყვის თქმა“. საკვირველია, ასეთი
გარეგნული ნაძალადევი მიმსგავსება ორ მხატვრებისა. გარეგნული, რადგან ავტო-
რის მიერ მოცემული გარჩევა სხვა არაფრით ამტკიცებს ამ „მსგავსებას“. ჩვენის
აზრით ფიროსმანიშვილი არც დამწყებია და არც მასწავლებელია. მისი ძირი უსა-
თუოდ ხალხურ ქართულ შემოქმედებაში („ამქრული ოსტატობა“) უნდა ვეძიოთ.
აქ არის სპარსული მხატვრობის არქაისტული დეკორატიულობა, ფერების მკვეთ-
რი შეგრძობა, რიტმიული კომპოზიცია, ფრესკალური სიმრტყე, არც პერსპექტი-
ვით, არც სინათლე-ჩრდილის პრობლემა. არც ტონალობა, მით უმეტეს „გეომეტ-
რიულ საფუძვლებამდე დაყვანილი ნივთები“, „ფერის გაშიშვლება“, და სხვა ამ-
გვარი. ყოველად გაუმართლებელი და ჭაერში დაკიდული რჩება აგრეთვე მტკიცე-
ბანი, რომ ფიროსმანიშვილი „ახალი მხატვრობის გიგანტიურ განვითარების მთა-
ვარი ნაკადის საწყისი შეიქმნა“, რომ მან შესძლო „რევოლუციონერობა ხელოვნ-
ებაში (მის პლასტიურ სფეროში)“, რასაკვირველია, ფიროსმანიშვილი ჯერ სავ-
სებით შესწავლილი არ არის. კიდევ მრავალი აზრთა სხვადასხვაობა იქნება მის
გარშემო. აქ ადგილის უქონლობის გამო, ვერ შევჩერდებით დიდხანს მის შემოქმე-
დებაზე. იგი სპეციალური წერილის საგანია. მაგრამ ავტორის მიერ წამოსროლი-
ლი „სეზანთან მიმსგავსება“ მაინც ჭაერში დაკიდული რჩება, რადგან სათანადოთ
დასაბუთებული და კონკრეტულ მაგალითებზე დამტკიცებული არ არის. ყოველ



შემთხვევაში, ავტორმა უნდა იცოდეს, რომ ფიროსმანიშვილი კლდე-ძიგის და შესწავლის საგანია და არა წაბაძვის და გაგროვების, თანამედროვე მხატვრობის გზები ვერ წავლენ ფიროსმანიშვილის გზით. ამიტომ ცხადია რომ ფიროსმანიშვილის დღევანდელ პირობებში, საბჭოთა გარემოში, არავითარი, ნიდაგაი არა აქვს სკოლის შექმნისა. ეს იქნება უბადრუკი ეპიგონიზმი მხოლოდ და დიდი ოსტატის შემოქმედების გაბანალება და ვულგარიზაცია.

შ. ა.

„პროლეტარული პოეტები ოქტომბერზე“ — ვ. ლუარსაშიძის და ა. მაშაშვილის რედაქციით. სახელგამი — 1927 წ. — გვ. 86. ფასი — 30 კ.

აღნიშნულ კრებულის გამოცემა გამართლებულია იმ უბრალო ფაქტით, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩვენი პროლეტპოეტები ვალდებულნი არიან — მობილიზაცია უკონ თავიანთ ძალებს და ათი წლის თავის სათანადო გამოხმაურებით შეხედენ.

კრებული იხსნება აშ. ვ. ლუარსაშიძის წინასიტყვაობით: „ოქტომბერი პროლეტარულ პოეზიაში“. ავტორს სათანადოთ აქვს მთხაზული „ოქტომბრამდე არსებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სტრუქტურის დამბობა“ და რევოლიუციის მიერ „ოქტომბრამდე არსებულ გ. წ. სულიერ კულტურის დაშლის გამოწყვეა: ვიწრო ოთახური მწერლობის დარღვევა, ხელოვნების რომანტიულ ღორებულების უკანა პლანზე მოქცევა, რაც აუცილებელი იყო და საზოგადოებრივად უტილიტარული, იმდენად, რამდენად ბურჟუაზიული ეთიკის ძირითადი საყრდენები გაბრწყინა-დაშლაში მოყვება“. ავტორი განაგრძობს: „ასე რომ ოქტომბრის ფაქტით მწერლობა (ძირითადად) იდეალისტურ აზდა-უბდას, კულტარულ განსაზღვრულობას, უსაგნობას ჩამოშორდა და სოციალურ წყალგარდნილს, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ რიგის მოვლენებს დაუკავშირდა“.

წერილობი კარგადაა მოცემული ძველი ხელოვნების კრიზისის სურათი და ამ დროს პროლეტარული მწერლობის წარმოშობის ფაქტი რუსეთ-საქართველოს მასშტაბით. ავტორი მოკლე და სხარტ ქრონიკას იძლევა იმისას, თუ ვინ და როგორ დასწერა ოქტომბერზე, ვის გამოუვიდა „ყალიბი“ და ვის ორგანიული რევოლიუციის ათვისება.

კრებულში წარმოდგენილია პრაქტიკით პროლეტპოეტები: კ. ბოლობიძე, ს. ეფელი, ი. ვაკელი, ნ. ხომლეთელი, ი. ლისაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ა. მაშაშვილი, შ. ხავთელუღელი, ფ. ნაროუშვილი, კ. კალაძე, კ. ფეოდოსიშვილი, პ. ქუთათელაძე (სამსონიძე), გ. შინატიშვილი, ს. ხიდისთაველი და გ. ხეჩუაშვილი.

კანის მხატვრობა კარგია. წიგნში ბევრი კორექტურული შეცდომებია.

შ. კ.



ქ რ ო ნ ი კ ა

ლიტერატურული ცხოვრება

■ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმმა გამოყო სამოსწავლო-მეთოდოლოგიური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ს. ამაღლობელი, ბ. ბუაჩიძე, ა. ვართანიანი, შ. დუდუჩავა, გ. კრეტიანი, ვ. ლუარსაშიძე, ვ. მაკავარიანი, დ. რონდელი, შ. რადიანი, ალ. სულავა, ვ. სუტირიანი და ვ. ტატულავა.

სამოსწავლო-მეთოდოლოგიური კომისიის ფუნქციას შეადგენს: გეგმიანი მუშაობის წარმოება; სწავლის, შემოქმედების და თეოთკრიტიკის ლოზუნგების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ა) ასოციაციის წევრებს შორის შემოქმედებითი საღამოების სისტემატიურად ჩატარება. ბ) ასოციაციის ლიტერატურულ წრეების მუშაობის ხელშეწყობა. გ) ბიბლიოთეკების გამოკვლევის საშუალებით მკითხველთა ფენების შესწავლა. დ) ასოციაციასთან კრიტიკისა და რეცენზიის მეთოდოლოგიური სემინარის მოწყობა და სხვა.

■ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან ახსებობს კომკავშირულ მწერალთა წრე, — რომელიც დაარსებულია ს. ა. ლ. კ. კავშირის ცქკს და ასოციაციის ინიციატივით. წრემ სწარმოებს სისტემატიური გეგმიანი მუშაობა. წრე თავისი ნაყოფიერი მუშაობით ასოციაციის ერთ-ერთი სანიშნოა წრეა. წრე აწარმოებს კოლექტიურ შეჯამებებს, მასალების გარჩევას საბით. აგრეთვე სისტემატიურად იკითხება მთელი რიგი ნიშნულებებისა, როგორც საკუთარი ძალებით, ისე ასოციაციის წევრების (რონდელი, ს. ამაღლობელი და სხვა) და მოწვეულ ძალების მიერ (მ. გოგობერიძე და სხვა).

წრე აწყობს ლიტერატურულ გამოსვლებს ასოციაციის წევრებთან ერთად: (ლორთქიფანიძე, მაშაშვილი, პოლუმორ-

დინოვი და სხვა). კომკავშირის სხვადასხვა უჯრედებში კომკავშირულ მასასთან მეტი დაახლოებისათვის, წრე გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტთან“ უშვებს ლიტერატურულ ფორცულს „კომკავშირული მწერლობა“-ს. რომლის დანიშნულებას შეადგენს კომკავშირული ლიტერატურული შემოქმედების გამოქვეყნება.

წრეს კავშირი აქვს ლიტერატურულ პროვინციასთან. წრეს ხელშეწყობენ ბიურო სადაც შედიან: წრის, „ახალგაზრდა კომუნ.“ რედაქციის, კომკავშირის ცქკს და ასოციაციის წარმომადგენლები: კ. ბობოხიძე, დ. ვოლსკი, ვ. ლუარსაშიძე, ფრ. ნაროუსვილი, დ. რონდელი, ალ. სულავა, ს. წევრავა და ილ. ხოსტარიანი.

■ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და გაზ. „კომუნისტთან“ არსებულ მუშაობა წრის ინიციატივით დაარსდა მუშაობა ლიტერატურული წრე, წრემ შედიან მუშა-მწეულები, მუშაობები და ლიტ. ახალგაზრდობა. წრეს ხელშეწყობენ ბიუროს და ასოციაციიდან ანბ. ბ. ბუაჩიძე.

■ სახელ. უნივერსიტეტის პროფესორთა ალმასბიუროს და საქ. პროფ. მწერალთა ასოციაციის თაოსნობით დაარსდა ლიტერატურათ მეტყველების დარგის სტუდენტთა გაერთიანებული ლიტერატურული წრე. წრემ აირჩია გამგეობა, სადაც შედიან: ანბ. აშირეჯიბი, ბ. ბუაჩიძე, კ. ბობოხიძე, დ. გეგბუაძე, კე. შელავა, დ. რონდელი, და ჯინჯიხაძე. გამგეობის თავჯდომარეთ: დავ. რონდელი, მოადგილე ვ. აშელავა, მდივანი: კ. ბობოხიძე. სარევიზიო კომისიაში: გ. ბახტაძე, პ. კეკელიძე, რ. გუმბერიძე.

■ ცენტრალურ პარტსკოლასთან არსებულ პროფ. მწერ. ასოციაციის ლიტერ-

რატურულ წრის ხელმძღვანელათ ნიანგ-რებულ იქნა ამხ. შ. რ ა დ ი ა ნ ი.

❑ ოკინის გზის მთავარ-სახელმწიფოებთან არსებულ „კომკავშირულ მწერალთა წრის“ ხელმძღვანელათ ასოციაციიდან მიმავრებულ იქნა ამხ. ალ. ს უ ლ ა ვ ა.

❑ პოლიგრაფიულ სკოლაში დაარსდა ლიტერატურული წრე, სადაც ასოციაციიდან ხელმძღვანელობს ამხ. კ. ლ ო რ თ-ქ ი თ ა ნ ი ძ ე.

❑ საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ამხ. მ. კ ა ხ ი-ან ი ს სახელობის ქართულ ცენტრალურ მუნიციპალიტეტში განაახლოს ლიტერატურული წრე.

❑ ამიერ-კავკასიის ან-კომკავშირის სა-ოლქო კომიტეტთან არსებულ რუსულ კომკავშირულ მწერალთა წრეთ, ხელმძღვანელებათ მიმავრებულ იქნა ამხ. მა გ ე რ ი და კ ი ე ვ ლ ი ა ნ ი.

❑ ნ ა რ ი მ ა ნ ო ვ ი ს სახელობის კლუბთან არსებულ საქ. პროლ. მწერ. ასოციაციის თურქულ ლიტერატურულ წრის ხელმძღვანელათ მიმავრებულ იქნა ამხ. აზ ი ზ ო ვ ი.

❑ გახ. „პროლეტარის“ რედაქციასთან არსებულ სომხურ ლიტერატურულ წრის ხელმძღვანელათ მიმავრებულ იქნა ამხ. მ ა რ ტ ი ნ ი.

❑ 26 კომუნარის სახელობის ქარზან-სთან არსებობს რუსული ლიტერატურუ-

ლი წრე, რომელიც სისტემატიურ მუშაობას აწარმოებს. ასოციაციიდან ხელმძღვანელობს: ამხ. ი. გ ო ლ უ ბ ე ვ ს კ ი.

❑ გახ. „ქრასნი ვოინ“-თან დაარსდა რუსული ლიტერატურული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ა. ო ც ი ა კ ი ა. მიმავრებულთა ამხ. გ რ ე ბ ე ნ შ ჩ ი კ ო ვ ი.

❑ ა.წ. 15 მარტს მოსკოვში შესდგება სრულიათ საკავშირო პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობა.

❑ ა.წ. მარტში გაიხსნება სრულიათ საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. დღეს წესრიგში დასმული იქნება შემდეგი საკითხები: 1) კულტურული რევოლუცია და საბჭოთა მწერლობის აიოცანები, 2) მწერალთა კავშირის ანგარიში, 3) ს.ხელგამის მოხსენება, 4) მთავარ სახელოვნო კომიტეტის და ხელოვნების სასახლის ანგარიში, 5) მწერალთა კავშირის ორგანიზაციული საკითხები, 6) მიიღინარე საკითხები.

❑ იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ლიტერატურულ ჯგუფის „არტიფიანის“ ერთდროული აღმზანბი.

❑ იბეჭდება და უახლოეს ხანში გამოვა ქართველ ფუტურისტების აღმზანბი „მეზარცხენობა“.

❑ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ნიკო ასლამაზაშვილის მოთბრობების ახალი წიგნი.

რედაქტორი: დ. რონდელი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83-
მოწინავე	1
ალ. მაშაშვილი — ლენინ	3
ბ. ბუაჩიძე — საქართველოს პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობის შედეგები	6
კონსტ. ლორთქიფანიძე — გარეუბნის უჯრედი. იგავ-არაკი კრი- ლოვის ფინიას შვილის შვილის შესახებ	12
ვ. ლუარსაშიძე — შენიშვნები ბლოკნოტიდან	13
ს. ეული — ლენინის სახელს	17
მ. კახიანი — სოციალისტური მშენებლობა და კულტურული რე- ვოლიუცია	18
ილ. ხოშტარია — საუბარი მოხუც კომუნართან	27
შ. რადიანი — კარლო კალაძე	28
დ. რონდელი — ლიტერატურულ რევოლიუციის საზღვრებთან	33
ალ. სულავა — ი. ლიბედიანსკის შემოქმედება	38
ვ. მაკავარიანი — სიუჟეტური სქემები თუ რეალური მასალა .	41

ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა უ შ ი ა

ვ. ლუარსაშიძე — ი. გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ბოჰემა“ .	46
ალ. სულავა — თ. გლადკოვის „ცემენტი“	48
შ. ა. — ლ. ესაკიას „ახალი მხატვრობა და ფიროსმანიშვილი“ .	50
შ. კ. — პროლეტარული პოეტები ოქტომბერზე	56
ქრონიკა	57

შეცდომის გახსოვება.

მე-16 გვერდზე, მეშვიდე სტრიქონში ზევიდან, სწერია ანტრო-
პოლოგიური, უნდა იყოს—ანტროპოფობიური.





1928 წლის 15 მარტს

გ ა მ ო ვ ა

ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სა-
ლიტერატურო-სამხატვრო ყოველთვიური დიდი ჟურნალი

„НА РУБЕЖЕ ВОСТОКА“

№ 1

ვ. სუტიორინის (პ. ზ. რედაქტორი), ბ. ბუაჩიძის, ვანანდუცის, დაბაგიანის, გ. კრეი-
ტანის, დ. რონდელის, ს. რუსტამ-ზადეს, შარიფის და მ. იურიანის რედაქციით.

ჟურნალში წარმოდგენილი იქნება შემდეგი განყოფილებები: მხატ-
ვრული პროზა და ლექსები, „ლიტერატურული მეშვეობა“,
თეორია და კრიტიკა, „საბჭოთა კავშირის გარეთ“, ბიბლიოგრაფია
და ქრონიკა, პაროდია, შარუები და სხ.

უმთავრესათ ჟურნალში მოთავსებული იქნება: საქართველოს, სომხე-
თის, აზერბეიჯანის, სპარსეთის და ოსმალეთის მწერალთა ნაწარ-
მოებების თარგმანები.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მანაბლის ქ. № 13.

ხელოვნების სასახლე, ტელ. 24—51

ს ა ს ე ლ ბ ა ე ი

წელიწადი მეორე

პროფესორული მწერლობა

საქართველოს პროფესორულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური
ორგანო

ბ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, ვ. ლუარსაშიძის, ალ. მაშაშვილის,
შ. რადიანის და დ. რონდელის რედაქციით.

რედაქტორი: დ. რონდელი.

მიიღება ხელის მოწერა 1928 წლისათვის

წელიწადში 4 მ. სამი თვით 1 მ. 20 კ. ექვსი თვით 2 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი 50 კაპ.

რედაქცია

ტფილისი, ივ. მაჩაბელის ქ. № 13.
ბელოვნიების სასახლე.
ტელ. 24—51.

კანტორა

ტფილისი, სახელგამი პერიოდ
სექტორი.
რუსთაველის პრ. № 22.

143

1928 1-6
10-12